გიორგი სანაძირაძე

„სრულიად არასაიდუმლოდ“
1998 წელი

წინამდებარე წიგნის — „მონოლოგების“ შექმნის იდეა საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, გენერალ—მაიორ **რომან გვენცაძეს** ეკუთვნის. ეს იყო 1993 წლის მიწურულს. მაშინ მე „კრიმინალური ქრონიკის“ რედაქტორი გახლდით. სწორედ ამ გაზეთის საშუალებით გაეცნო მკითხველი „მონოლოგების“ ფრაგმენტებს. ვფიქრობ, მას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. და კიდევ უფრო წარმოაჩენს საშშობლოსათვის დაფერფლილი რაინდის სახეს.

ᲡᲠᲝᲚᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ.

შე შინებული ვილვიძებ. ერთიანად ოფლში ვარ გახვითქული. რა დროა? წამით ვკარგავ დროის შეგრძნებას. ასე მგონია ცათამბრჯენიდან გადმოვხტი, მიწას დავენარცხე და მთელი ათასწლეული უსასრულობაში გადავვარდი. უსიამო გრძნობა მეუფლება - ასე მგონია ყველაფერი თავდაყირა დგას. თითქოს ქვემოდან კი არა, ისევ არწივის გადასახედიდან გადმოვყურებ ქვეყანას...

ბრძენთ უთქვამთ, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. ასეა ცხოვრებაც. არ შეიძლება იცხოვრო ორჯერ. მაგრამ ის ცხოვრებაც - შენი წილხვედრი და გასავლელი - ლამაზი უნდა იყოს და ამაღლებული.

მე მინდა გავარკვიო ეს ზღვარი.

მე მინდა ადამიანმა ხელმეორედ გაიაროს თავისი ცხოვრების დახლართულ ლაბირინთში. სწორედ ამიტომ ავირჩიე იგი. ჩვენი დროის ჭეშმარიტი გმირი, გმირი, რომელიც არაფრიდან წარმოჩნდა, ლამაზი სულით დაგვიპყრო და აგვაფორიაქა.

გენო ადამია!

... მე მესმის სროლის ხმა.

მე ვხედავ, როგორ ენარცხება მიწას ტოტებდალეწილი მუხა...

საქართველოს სახელით...
ჩემი და თქვენი სახელით...
ხვალინდელი დღის სახელით...
მუხა ენარცხება მიწას...
შეაჩერეთ ეს კადრი...
მერე თვალი მიატანეთ შენელებულ მოძრაობას...
მის უკან - ცეცხლოვანი ცა.
მის წინარე - ათასობით მტერი.
ასე მგონია მისი დაცემით წერტილი დაესვა აფხაზეთის ტრაგედიას...
ასე მგონია იმ წუთს წარი შალა სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარი - წინ მარადიულობა იდო.
მიატანეთ თვალი ამ გზას...
სულის უხილავ სათავსოში თუ კიდევ შეგრჩათ სამშობლოს სიყვარული, ღამღამობით უსათუოდ გაგაღვიძებთ სროლის ხმა...

***

დათო გულუა. ჩემთვის ძალზე სამძიმოა უკან მოხედვა. მაგრამ ახლობელთა ხსოვნა მაიძულებს ამას. ჟამი უნდა აღვნიშნო. მოსახლეობა მოუმზადებელი შეხვდა ამ ომს. 12 აგვისტო. სამთავრობო ძალების შემოსვლა. ის, რაც აქ მოხდა - აბსოლუტური უმრავლესობისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. გა-

მართლებაც მოუძებნეს. შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე აფხაზეთში ჰყავთ დატყვევებულიო. დიახ, იყო ასეთი ვერსია. იყო ათასნაირი მითქმა-მოთქმაც. თითქოს ამისთვის მოუხმეს ძალებსაც - ამ ტერიტორიაზე კონტროლის გასაწევად. შეიძლება ეს საჭირო ღონისძიებაც იყო. ზუგდიდს ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა. ასე იყო გალის რეგიონშიც. სანდრო კავსაძე იქ ჰყავდათ. ყველაფერი აქეთ იყო მიმართული. კონტროლი! პირველად სოსო ახალაიას ბატალიონი გამოჩნდა. ეს ბატალიონი ომამდე იყო ჩამოყალიბებული. სამაჩაბლოდან გადმოისროლეს გარკვეული ტექნიკით. უკან შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის სამმართველო მოჰყვებოდა დავით ზეიკიძის მეთაურობით. ესენი მსუბუქი მანქანებით მოდიოდნენ. თითო მანქანაში - ოთხი-ხუთი თანამშრომელი. აგუძერას სანახებთან ცეცხლის ქვეშ მოჰყვნენ. შეიქმნა პანიკა: მკვდრები, დაჭრილები. ქაოსი. საერთოდ, ამ ძალების შემოსვლა ქაოსური იყო. არ ჰქონდათ საერთო გეგმა და საერთო მიზანი. ეს მიზანი არც იგრძნობოდა. როგორც იყო მიაღწიეს სოხუმის შესასვლელამდე. იქ ტურბაზა - „ცხუმი".. „ცხუმთან" მოიყარეს თავი. წითელი ხიდის მიდამოებში მოხდა შეტაკება აფხაზებთან. ეს შეტაკება სამ

დღეს გაგრძელდა. ჯარს არ ჰქონდა უპირველესი და უმარტივესი ატრიბუტები: რუკა, შტაბი. წარმოჩნდა ზოგიერთთა განწყობილებაც. ქვენა მიზანი. მანქანისა და სხვა ხელმოსათბობი რამის საშოვნელად ჩამოსულიყვნენ! ამ კონფლიქტის დროს ერთი ძალა იყო ორგანიზებული - აფხაზთა მხარე. მისი საპირისპირო მხარე უფრო მრავალრიცხოვანი იყო, თავისი შესაძლებლობებითა და აღჭურვილობით. მაგრამ, როგორც ვთქვი, ქაოტურად მოქმედებდა.

აგვისტოს თხუთმეტი, თექვსმეტი. გია ყარყარაშვილი 700 მებრძოლითა და ტექნიკით გამაგრდა გულრიფშში, ზღვის ნაპირას. ეს იყო შედარებით ორგანიზებული, დახვეწილი ძალა, რომელიც უმალ ენიშნა ყველას. რა ხდება ამ დროს მთელს აფხაზეთში?

... ტყვეთა გაყოლებით აფხაზური და ქართული ძალები ენაცვლება ერთმანეთს. ქართველები უპირატესად სანაპიროს მიჰყვებიან. აფხაზები - ტყეს აფარებენ თავს. ოჩამჩირედან მოყოლებული ქართული მოსახლეობა ჭარბობს. არადუ, ცაგერა, კინდღი, ახალდაბა - ქართული სოფლები. ეს ტყის გაყოლებით. ზემოთა სოფლები - გვარდა, ტამიში. ლაბრს ზედა ნაწილი. ათარა. კუნძულივით შეჭრილი - კოჩარა. ქართველმა მეომ-

რებმა ყველა ესენი გაიარეს. იყო უნდობლობაც ადგილობრივთა მიმართ. თითქოს ზვიადისტები იყვნენ. არ ვიცი, საიდან გაჩნდა ასეთი მოსაზრება. სინამდვილეში თბილისში პროცენტულად უფრო მეტი ზვიადისტი იყო. ოღონდ თბილისში ეს შეფარული იყო, სოხუმში კი მათ მოძრაობას არძინბა უწყობდა ხელს. მახსოვს, მათი მიტინგიც სოხუმში. ათასი კაცი ძლივს შეაგროვეს! სწორედ ამ უნდობლობის გამო ადგილობრივ მოსახლეობას იარაღს არ ვაძლევდით, ზვიადისტები არიან და მერე არ მოგვიბრუნდნენო. იქ მდგარი ქართული ჯარი კი სტაბილური არ იყო - დღეს შეიძლება ორასკაციანი ყოფილიყო, მეორე დღეს კი გაიხედავდი, ასორმოცდაათი კაცი დაადებდა თავს და წავიდოდა უკან. არავინ იყო მათი გამჩერებელი და განმკითხავი. იქმნებოდა სიტუაცია - რაც უფრო ღრმად შევიდოდით, მთელი რიგი რეგიონებისა დაუცველი დარჩებოდა. ასე მოხდა გაგრაში. ახლა გავიძახით, - გაგრელებს არ უნდოდათ თავის დაცვაო... იქ ჩამოყალიბებული იყო ადგილობრივი ბატალიონი. მაგრამ ორასზე თუ გაიცა იარაღი. არადა, ტყვიის გავარდნა და გაგრის დაცემა ერთი აღმოჩნდა. შვიდასმა კაცმა დაიპყრო იგი, შვიდასმა - აფხაზების მხრიდან. ერთი შეტევით გაიარეს თავიდან ბო-

ლომდე. ვერ გავუწიეთ სერიოზული წინააღმდეგობა და იმიტომ. შემდეგ იქ ჩავიდა ყარყარაშვილი, მაგრამ რას გააწყობდა უკვე დემორალიზებული ჯარით?

მანამ ყარყარაშვილის ნაწილები ფსოუზე გავიდნენ, მას გენო ადამია მიაცილებდა. მიაცილებდა თავიდან-ბოლომდე. ეს იყო იანვარში. იქ ჩასვლა, სოხუმში შემოსვლა და ორგანიზაცია. შემდეგ მოხდა ის გამოუსწორებელი შეცდომა - რადგან ეს ძალა უკან გამოიყვანეს. არადა, პირიქით უნდა მომხდარიყო. იქ უნდა ვყოფილიყავით. გავძლიერებულიყავით და ყოველგვარი კერაც ამოიძირკვებოდა. ეს უდიდესი შეცდომა იყო. თავიდან ორასი იარაღი გაიცა ადგილობრივ მოხალისეებზე. თექვსმეტ აგვისტოს გენო წავიდა - და სოფელ არადუდან მოყოლებული - თორმეტი ავტომატი დატოვა, ცაგერაში - თექვსმეტი, ახალდაბაში - თექვსმეტი. ჩამოუარა კინდღს, განახლებას, შრომას, კელასურს - ყველგან იარაღი გაანაწილა - სოფლებს საკუთარი თავის დაცვა რომ შესძლებოდათ. ეს მანამდე არავის მოუფიქრებია. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო. შემდეგში - ბატალიონები თუ არა, ასეულები და პატარ-პატარა დანაყოფები მაინც ჩამოყალიბდა. მერე სასწაულ ამბებს ყვებოდნენ. ცაგერაში ძალზე მოკლე

ხანში თხუთმეტმა ავტომატმა ასორმოცდაათი კაცი შეაიარაღა. ზოგი - ნადავლი, ზოგი - წართმეული. და უმთავრესი წინააღმდეგობაც შემდგომში მაინც სოფლების მოსახლეობამ გაუწია მტერს. ეს ყველაფერი გენოს დამსახურება გახლდათ. ისინი ხედავდნენ - **არის კაცი, რომელიც მათზე ზრუნავს!** თუმცა ამ ზრუნვას უფრო შორი ფესვები ჰქონდა. ეს ყველაფერი ჩემს ჩანაწერებში არის. გენომ ამ ხალხის მობილიზაცია მოახდინა. ისინი დაუფიქრებლად ეწერებოდნენ სოხუმის ბატალიონში. ასე რომ, სოხუმიდან ოჩამჩირემდე გარკვეული სერიოზული სამხედრო ძალა შეიქმნა. მართლაც! პირველი ბატალიონის ჩამოყალიბება უცებ შეიძლებოდა. იყო მეომრების კონტიგენტიც. იყვნენ მოხალისეებიც. ბაზა: ავაზა, თეთრი არწივი, მხედრიონი... და სხვა. გული ერჩოდათ. საომრად იწევდნენ. ნაღდი პატრიოტები და ვაჟკაცები იყვნენ. მათ აჩერებდნენ: აბა, რა მეომრები თქვენ ხართ. ომი არ იცით. გამოუცდელები ხართ. ტყუილა დაიღუპებითო... მართლაც ასე მოხდა. ისინი მაინც ებმებოდნენ ბრძოლებში. უმეტესობა დაიღუპა. იმიტომ დაიღუპა, რომ მათი გამაერთიანებელი, დამკვალიანებელი და წინამძღოლი არავინ გამოჩნდა. არცერთი საქმე - აგიტაცია, ხალხთან

მუშაობა, ჯარისკაცთა დისციპლინის განმტკიცება - ნორმალურად გაკეთებული არ მინახავს. არადა, მსოფლიოს ნებისმიერ ჯარს შეშურდებოდა მათი სიმამაცე და შეუპოვრობა. ეს იყო ოღონდ - როცა მოეხალისებოდათ, მაშინ იბრძოდნენ. ასეც იყო - „მოხალისეებს" ეძახდნენ. მაგრამ მე სხვა მხარეს მინდა გადახედოთ. უმთავრესი საფანელისაკენ. ვერავინ გაიგო: რა გვინდოდა ფსოუზე. რად დავბრუნდით სოხუმში. ვერც მთავრობამ ჩამოაყალიბა ეს. იყო ერთადერთი თეზისი - **ომი სასახელოდ უნდა დამთავრდეს ჩვენთვის!** მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო. რომელსაც ცოტა მოგვიანებით მიეცა რაღაც მნიშვნელობა, როცა ფართო მასშტაბით გაიშალა მუშაობა და ჯარი ჯარს დაემსგავსა, შტაბი - შტაბს, ბრიგადა - ბრიგადას. მაგრამ მანამდე? ასეთმა მიდგომამ საშინლად დაგვაზიანა. უფრო მეტიც - ერთადერთი მიზეზი აფხაზეთის დაცემისა სწორედ ეს არის! ჩვენ რას ვქადაგებდით, რას გავიძახოდით საქვეყნოდ? რომ აფხაზები ჩვენი ძმები არიან და ერთად უნდა ვიცხოვროთ. და ამ დროს აფხაზური ტელევიზია თავის გადაცემებს ასე იწყებდა: **ქართველი მეომარი მიწაზე ანარცხებს აფხაზ ბავშვს და ხიშტით კლავს.** აქედან მოყოლებული მთელი მათი პროპაგანდა

ამგვარ სიძულვილზე იყო აგებული. გაურკვეველი ვითარება შეიქმნა. აგვისტოს თვეს ვგულისხმობ და მერე ეს გაურკვევლობა წითელ ხაზად გაჰყვა მთელ ომს. მოლაპარაკება: ჩვიდმეტში, თვრამეტში, ცხრამეტში. გუმისთის მეორე მხარეს იდგნენ აფხაზები და აფხაზები სისტემატურად არღვევდნენ ამ შეთანხმებებს. ამას მოჰყვა დიდი შეტევა, რომელიც გია ყარყარაშვილმა წამოიწყო. ოციოცდაორი აგვისტო. უცებ წარმოჩნდა ამ ფართომასშტაბიანი ოპერაციის სუსტი მხარე. ყველა სამხედრო ფორმირებას თავისი უფროსი ჰყავდა და სხვას არ ემორჩილებოდა. ამან სრული არევ-დარევა გამოიწვია. გამოსავალის ძებნამ გივი ლომინაძესთან მიგვიყვანა. მაშინ იგი აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და ვთხოვეთ ეხელმძღვანელა ახალშექმნილ საგანგებო კომიტეტისათვის. მეც ვიყავი ამ კომიტეტის წევრი. სოხუმის კომენდანტად გია გულუა დაინიშნა. ამ კომიტეტში შეიყვანეს ყოფილი მინისტრები - გამოცდილი ადამიანები. მიზანი - სტაბილიზაცია. მაშინ პური ტყვარჩელსაც ეგზავნებოდა და მის მიმდებარე სოფლებსაც, სადაც უპირატესად აფხაზები ცხოვრობდნენ. ამის დამნახავი მაინც არავინ იყო. ერთ-ერთი სხდომის შემდეგ გენო ადამია მოვიდა ჩვე-

ნთან. შეწუხებული იყო. სახის კუნთი ნერ-
ვიულობისაგან უტოკავდა. ასე ცხოვრება
აღარ შეიძლება - გვითხრა, - რაღაც საშვე-
ლი უნდა მოეძებნოს ჩვენს არეულ-დარეულ
საქმეს. არავინ არაფერი არ იცის... არავინ
არაფერზე არ აგებს პასუხს. ვთხოვოთ ბატონ
გია ყარყარაშვილს, რომ ყველა ფორმირებას
უხელმძღვანელოს. მივედით გიასთან. გია
უარზე დადგა. მე ჩემს თავზე ვაგებ პასუხსო.
ერთი სიტყვით, შორს დაიჭირა თავი. მაგრამ
იმ ღამეს დაიწერა ბრძანება საგანგებო კო-
მიტეტში და გია ყარყარაშვილი დაინიშნა
აფხაზეთის შეიარაღებული ძალების სა-
რდლად. სწორედ მაშინ მიენიჭა გენერალ-
მაიორის წოდებაც. მისმა დანიშვნამ ერთბა-
შად გამოასწორა სიტუაცია. შეიქმნა ერთი-
ანი შტაბი. მომზადდა 25 აგვისტოს ოპერა-
ცია. აფხაზებმა ისევ არ დაიცვეს შეთანხმე-
ბის პირობები. ამ ძალებთან ერთად მონაწი-
ლეობდა (მაშინ ბატალიონადაც არ იწოდე-
ბოდა) გენო ადამიას ე. წ. მოლაშქრეები: სო-
სო ახალაიას ორასკაციანი ბატალიონი. და-
იწყო შეტევა გუმისთის მიმართულებით. აფ-
ხაზეთს მოვთხოვეთ ამ ჯარების გატარება
ტრასის გასწვრივ საზღვრის გადასაკეტად.
აგრეთვე უნდა გახსნილიყო სატრანსპორტო
მაგისტრალებიც. მანამდე, რკინიგზის მაგი-

სტრალზე განსაკუთრებით - საოცარი ყაჩაღობები ხდებოდა. გაიტაცეს თითქმის ყველა ტვირთი, როგორც ჩვენი, ისე - სასომხეთისა. თანხამ ასტრონომიული ციფრი შეადგინა. აფხაზები ამას ორგანიზებულად აკეთებდნენ. გამოირჩეოდა გუდაუთის მონაკვეთი. ტამიშის მონაკვეთი და გალიც. აფხაზებმა უარი თქვეს ჯარის გატარებაზე. დაიწყო გუმისთის შეტევა. ჩვენებმა მდინარე გადალახეს და თითქმის ათონამდე გავიდნენ. მაშინ იყო - რუსები აშკარად რომ ჩაერივნენ ამ ომში. გუმისთის მეორე მხარეს ასე 800-900 მეტრის დაშორებით მდებარეობს ის ავად სახსენებელი ლაბორატორია, რომელიც მათი ჩარევის უმთავრესი საბაბი გახდა. ჯერ განგაში ატეხეს, თითქოს ჩვენს არტილერიას ეს ლაბორატორია მიზანში ჰყავდა ამოღებული და წარამარა უშენდა ჯურვებს. ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ თავი „დაეცვათ". ბევრმა ჩვენთაგანმა მაშინ საერთოდ არ იცოდა, რა იყო „ნურსი". რამდენიმე ტანკი აგვიფეთქეს. ჰაერში გამოჩნდნენ რუსეთის თვითმფრინავები - მაღალზე დაფრინავდნენ - იქედან ბომბავდნენ ჩვენს პოზიციებს. სინამდვილეში ამ ლაბორატორიის სანახები ჩვენმა ჯარებმა გაიარეს და აქამდე არ ვიცი, ვისი ბრძანებით დავიხიეთ უკან. მაშინ მე

რიგით მეომრად ვიყავი ფრონტზე. უკანდახევა - არ ვიცი ვისი ბრძანება იყო ეს. მაგრამ ვიცი, რომ უდიდესი შეცდომა დავუშვით. გავიკითხ-გამოვიკითხეთ, ვის არ მივმართეთ, მაგრამ ამის მიზეზის დადგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. ახლა, რაც შეეხება ლაბორატორიას. შემდგომშიც ყოველთვის საბაბი იყო ჩვენი პოზიციების ინტენსიური დაბომბვისა. უფრო მეტიც - რუსეთის თვითმფრინავებს ქალაქზეც მიჰქონდა იერიში. განმკითხავი და მეთვალყურე არავინ იყო. საკმარისი იყო ვიღაცას ეჭვი დაბადებოდა, ჩვენს მიერ გასროლილმა ყუმბარამ ლაბორატორიის მიმართულებით ჩაიქროლა, ერთი უბედურება დატრიალდებოდა. ამ დროს გუმისთის გამოღმა მხარეზეც იდგნენ რუსები. აქ იყო სადესანტო ბატალიონი. იდგნენ მესაზღვრეები, ჰქონდათ ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა... ჰქონდათ თავიანთი სანატორიუმებიც, მაგრამ ამ სანატორიუმებს არ მორიდებიან. დაბომბვით გართულებმა ეს შენობებიც არ დაინდეს. იყო მრავალი მსხვერპლი. ეს მაშინ, როცა ჩვენი მხრიდან ერთხელაც არ მომხდარა საპასუხო ცეცხლის გახსნის შემთხვევა. ასე გამოიკვეთა ამ ომში მესამე - რეალურად არსებული ძალა. მანამდე თუ პოლიტიკური თამაში იყო, ახლა - მათი მხრიდან დაღუპულებიც წარმო-

ჩნდნენ. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ამას მოჰყვა სამი სექტემბრის სოჭის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება საკმაოდ მიმზიდველი ჩანდა. რადგან რუსეთი გამოდიოდა როგორც გარანტი. სინამდვილეში ეს იყო შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის, სადაც აფხაზეთი წარმოჩენილი იყო, როგორც მხარე და მასში მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლები, აგრეთვე საქართველოსა და რუსეთის მოსაზღვრე კრასნოდარისა და სტავროპოლის წარმომადგენლები. ცნობილ იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ხაზი გაესვა შემდგომ გარემოებას - აფხაზეთს არ შეიძლება ჰყავდეს თავისი შეიარაღებული ჯარი; ან ფორმირება. დასტაბილურდა ფრონტის ხაზი - გუმისთასა და გაგრის ცოტა იქით, მდინარე ბზიფის გასწვრივ. ამან ქართული ჯარის სრულყოფის შესაძლებლობა მოგვცა. დავიწყეთ ამ შეთანხმების პუნქტთა შესრულება. დავიწყეთ... და ეს იყო ჩვენი უდიდესი, გამოუსწორებელი შეცდომა. მაშინ უნდა გენახათ გენო ადამია! გამძვინვარებული გაჰყვიროდა სახალხოდ: სისულელეა ეს შეთანხმება. არ შეიძლება მათი ნდობა, ყველაფერი დროის მოსაგებად ხდება. აი, ნახავთ, ესენი უფრო მომძლავრდებიან და

ჩვენ დავმარცხდებით!

ისე აგიხდათ ყველაფერი! სწორედ დროის ამ მონაკვეთში მოხდა ჩრდილო კავკასიიდან „ბოევიკების" ჩამოყვანა. ისინი გუდაუთასა და ტყვარჩელის ზონაში იყრიდნენ თავს. ასევე ინტენსიურად ხდებოდა იარაღისა და მძიმე საომარი ტექნიკის შემოზიდვა. ეს ყველაფერი ბომბორას აეროდრომის საშუალებით ხდებოდა. მაგრამ არა ნაკლებ საამსახურს უწევდათ იქვე მდებარე პატარა ნავსაყუდელი, რომელსაც გამუდმებით ადგებოდნენ რუსეთის გემები. საზღვრები, როგორც მოსალოდნელი იყო, რატომღაც არ ჩაიკეტა. ასევე არ ჩაიკეტა რიწის ტბის ხუთკილომეტრიანი მონაკვეთი. ამ დროს უცხოეთის პრესა და ტელევიზია პროპაგანდას უწევდა „ბოევიკების" ჩამოსვლას. აღნიშნავდნენ მათ ბაზებსაც. რამდენკაციანი ჯგუფი გადავიდა შემდეგი მიმართულებით - ზუსტად, ისრებით აღნიშნავდნენ მათი მოძრაობის მარშრუტს. რითაც უკან მომავალ ჯგუფებს აშკარად მიანიშნებდნენ, უხიფათოდ როგორ უნდა მიეღწიათ დანიშნულ ადგილამდე. ამას ჩვენ ვერაფერი დავუპირისპირეთ. სექტემბერში ყველა ეს ცნობა გაგვაჩნდა. ამასობაში აფხაზებმა გუდაუთის ზონიდან ინტენსიურად დაიწყეს გადაადგილება

ოჩამჩირისაკენ, ასევე აფხაზეთის, სვანეთის ტერიტორიიდან. ბევრი მათგანი ტყვედ ავიყვანეთ. გვქონდა უმცდარი მონაცემები „ბოევიკთა", მათი გადაადგილებისა და შეიარაღების შესახებ. მაგრამ ტაშითა და ფანდურით ხოტბას ვასხამდით სამი სექტემბრის ხელშეკრულებას. რა იყო ეს? რად გვჭირდებოდა თავის მოტყუება, როცა ჩვენს თვალწინ მტერი გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა? თქვენ გგონიათ, არ სცემდნენ განგაშის ზარებს? ერთ-ერთი მათგანი გენო ადამია იყო. მას თავისი, როგორც მერე გაირკვა, რეალური გეგმა ჰქონდა. ადილობრივი მოსახლეობისაგან შეიარაღებული ძალების შექმნა. სწორედ ამ ძალებით უნდა დახვედროდნენ მოსალოდნელ თავდასხმას. დაუჯერეს. სასწრაფოდ დაიწყეს მეომართა შეგროვება. ამ მიზნით ჩამოვიდა ახლა უკვე გენერალი გუჯა ყურაშვილი. იგი ყოფილ საბჭოთა ჯარში სადესანტო-საშტურმო ბრიგადას სარდლობდა. მისი ჩამოსვლის მიზანი: სოხუმის ბრიგადის შექმნა. ამ ბრიგადის მეთაურად თავად დაინიშნა. თავდაცვის სამინისტროს გვარდიის მესამე ბრიგადა, ასე იყო მოხსენიებული თავდაცვის მინისტრის ბრძანებაში. სარდლის პირველ მოადგილედ დაინიშნა გენო ადამია. შეიქმნა შტაბი. შტაბის უფრო-

სი - სამხედრო აკადემია დამთავრებული გურამ ღრუბელეიშვილი. არტილერია ჯიშკარიანს ჩააბარეს. მერე მოხდა საშინელი რამ. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა გვიღალატა. გასცა პოზიციები. აფხაზები წინასწარ შედგენილი გეგმით დაგვესხნენ. დაიღუპნენ ჩვენი შესანიშნავი ბიჭები. მათთვის წარმოუდგენელი იყო მტრის თავდასხმა და ისე დაიღუპნენ, გასროლაც ვერ მოასწრეს. ის ჯარისკაცი, ღალატისათვის დახვრიტეს. მაგრამ ამით რა გამოსწორდა? რა ეშველა წაგებულ საქმეს? ორი-სამი კილომეტრით დავიხიეთ ქალაქისაკენ. შეიქმნა პანიკა. სწორედ ასეთ დროს წინა ხაზზე გამოჩნდა გენო. „რას შვრებით. სად გარბიხართ? ან ვის გაურბიხართ?" ეს იყო წუთი, როცა დაბნეულ, ქვეცნობიერ შიშს აყოლილი ჯარი - თავკაციდან მოყოლებული - რიგოსნამდე - მართლა საჭიროებდა ასეთ ომახიან შეძახილს. გენო გოლიათივით აღიმართა მათ წინაშე და ბრძოლაში ჩაბმა ბრძანა. სასწაული მოხდა. მან თავისი მამაცობით თითქოს ახალი ძალა შთაბერა მებრძოლებს. გაქცეულებმა პირი იბრუნეს და დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გამარჯვებულები შევიდნენ შრომაში. შრომის უკან ახალშენი იყო. გენომ იკითხა: არის იქ ჩვენთაგან ვინმე? ათკაციანი რაზმი თუ იქ-

ნება... იყო პასუხი. უნდა დავეხმაროთ. დაფიქრებით წარმოსთქვა გენომ. - კარგი იქნება თუ იქ დესანტს ჩავსვამთ. ამან შტაბის ხელმძღვანელთა ეჭვი გამოიწვია. შეიძლება ისინი არც არიან იქ... კავშირი კარგა ხანია დავკარგეთ. გენო დაფიქრდა. ამ მოულოდნელი დარტყმით მტერი დაბნეულია. მისი ძალები დაიქსაქსა. ვიდრე გონს მოვა, დესანტის გადასხმა აუცილებლად მიმაჩნია. იქნებ იმ ჩვენი ჯგუფისაგან დარჩა კიდევ რაღაც? მიშველება უნდათ, თან - სტარტეგიულად მდგომარეობასაც გავიმტკიცებთ. საერთოდ, იყო მათგან რაიმე ინფორმაცია? აღმოჩნდა, რომ იყო. თითქოს - აფხაზები უკვე იქ იყვნენ შესულნი „რაოდენობის შესახებ თუ გადმოსცეს რამე?" „არაფერი გადმოუციათ" „აბა, ეგ ინფორმაცია უფრო შიშის ნაყოფია. ვიდრე რეალური ვითარებისა" შეტევის გაგრძელება! აი, გენოს საბოლოო სიტყვა. ასეც მოვიქეცით, იმავე ღამეს გავაგრძელეთ ახალშენის მიმდებარე სანახების გაცხრილვაც და ბოლოში რომ გავედით, გაირკვა - იქ აფხაზთაგან არავინ იყო! გენოს მაინც არ გახარებია ეს. იგი იმ საშინელ ღალატზე ფიქრობდა, რომელმაც გაუთვალისწინებელი მსხვერპლი მოგვიტანა. ოპერაციამ თხუთმეტი მებრძოლის სიცოცხლე იმსხვერპლა. აფხა-

ზებს კი ორასზე მეტი მკვდარი ჰყავდა. უფრო დიდი იყო დაჭრილთა რიცხვი. მაშინ ვიგრძენით ნამდვილი გამარჯვების გემო. ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი კი გენო იყო. „გენო ბიძია!" - როგორც მებრძოლები ეძახდნენ. იგი დაღვრემილი იჯდა. რას ფიქრობდა, რას წვდებოდა გონების თვალით? რას ხედავდა მოჭუტული თვალებით? აფხაზებმა პირველი სერიოზული დარტყმა იგემეს. მერე ყოველთვის ასე ხდებოდა - გენო იქ გამოჩნდებოდა, სადაც ყველაზე უკიდურესად მძიმე ვითარება იქმნებოდა.

***

ლირიკული პაუზა.

ამ კაცს რაღაც შინაგანი ინტუიცია ჰქონდა. რაღაც ზებუნებრივი ნიჭი, რომელიც ერთბაშად ხიბლავდა გარშემომყოფთ. შეუძლებელს აკეთებინებდა. აქ წესად იქცა. ბიჭები შეიძლება სხვებზე მეტად იყვნენ გადაღლილნი, მშიერ-მწყურვალნი, უძინარნი, მაგრამ მაინც პოულობდნენ ძალას შეშველებოდნენ მოხუცთ, დავრდომილთ, ბალღებს. მძიმე დრო იყო. უკვე ვიწვნიეთ გაგრის ტრაგედია. ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობდით, როგორ ვუახლოვდებოდით კატასტროფას. მაშინ იგი მართლაც წარმოუდგენელი იყო ყველა ჩვენთაგანისათვის. თანდათან იხატებოდა რეალური სურათი. ჩვენ მოუ-

მზადებელნი შევედით აფხაზეთში. მერე, დიდი ხნის მერე დაიწყებენ ამაზე კამათს - იყო კი ეს საჭირო? ვითომ სწორი იყო ეს ნაბიჯი? სამხედრო ძალები გაუბედავად მოქმედებდნენ. მარტო აფხაზ სეპარატისტებთან პირისპირ როდი აღმოვჩნდით. პირველი დღიდანვე ცნობილი გახდა, რომ მათ მხარში ედგნენ რუსეთის რეაქციული წრეები, ათასნაირი ჯურის „კონფედერატები" და იოლი გამდიდრების მაძიებელნი. ესენი უპირატესად ჩრდილო კავკასიიდან იყვნენ. იყვნენ ოსები, დნესტრისპირელები, კაზაკები, შუაა ზიელი მანქურთები... ამასთან, როგორც ცნობილი გახდა, აფხაზებს ადგილობრივი სომხების ნაწილიც მიემხრო. რით უნდა დავპირისპირებოდით მათ? სამაჩაბლო გმინავდა. დედაქალაქში კრიმინოგენურმა ვითარებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. მისახედი იყო ქვემო ქართლი. რამდენი რამე უნდა გაეთვალისწინებინა პატარა საქართველოს? თავიდან ეს არავინ გაითვალისწინა. არადა, უკვე მაშინ უნდა გვცოდნოდა, როგორ გავემიჯნეთ ერთმანეთს, როგორ დავქუცმაცდით და დავკარგეთ ერთსულოვნება. აფხაზეთში შესვლამდე ჩვენმა ჯარებმა რამდენიმეჯერ „აიღეს" სამეგრელოს ქალაქები და სოფლები. ამან იქაური მოსახლეობა გააღიზიანა. არადა, აფხაზეთის პრობლემა სამეგრელოზე დაყრდნობით უნდა

მოგვარებულიყო. არ იყო ერთსულოვნება თვით აფხაზეთის მოსახლეობაშიც. გარე შეკაცის მზერის კუთხე მაშინვე გამოიტაცებდა: იბრძვის პატარა საქართველოს პატარა ნაწილი, ამ ნაწილის სათავეში გენო ადამიაც იდგა. მის ისედაც დაჭრილ გულს ემატებოდა და ემატებოდა სისხლიანი ნაჭდევები... ეს გაგრისათვის... ეს ფსოუდან გარეკილი ქართველებისათვის. მაშინ აფხაზებმა ორ დღეში „გაწმინდეს" ფსოუს სანახები... გარედან ისე ჩანდა - თითქოს მთელი საქართველო მხარში ედგა ჩვენს მებრძოლებს... ფიზიკურად, ეკონომიურად... მაგრამ ეს გარედან ჩანდა ასე... ზედაპირულად, სინამდვილეში სულ სხვა მხარით შემობრუნდა. ხშირად მათი მისამართით გაგზავნილ უფლებასაც ართმევდნენ. იკარგებოდა საომარი საჭურველი, მძიმე ტექნიკა. ერთი სიტყვით იყო ომი და არც იყო ომი, ზოგი ომობდა, ზოგი ომობანას თამაშობდა, ზოგი ჯიბეს ისქელებდა, ტურისტული ფირმები ხომ მთლად გადაირივნენ, - თბილისის აეროპორტში ერთი პატარა თვითმფრინავი თუ ივსებოდა აფხაზეთისაკენ მიმავალი მებრძოლებით, მათ გვერდით უზარმაზარი ლაინერები ვერ იტევდა უცხოეთის ქვეყნებში „სამოგზაუროდ წამსვლელთა მსურველებს"...

გენო თითქოს წინდაწინ გრძნობდა, სად შეიძლებოდა გართულებულიყო ვითარება. მართლაც! სწორედ მაშინ გამოჩნდებოდა თავისი ბიჭებით. (ასე ეძახდა დაცვას), როცა ყოველგვარი იმედი გადაწურული იყო და მტრის ჯარბი ძალების შემოტევისაგან დაბნეული ჯარისკაცები პოზიციებს ტოვებდნენ. ეს საშინელი შესახედავია. ფსიქოზი უცებ აგორდება. ტალღასავით გადაუვლის საცეცხლე წერტილებს, აბნევს და აპანიკებს ჩასანგრებულ მებრძოლებს. წუთები წყვეტენ ბრძოლის ბედს. ხოლო ბრძოლის ველიდან გაქცეულ ჯარისკაცზე დამამცირებელი სანახაობა არც არსებობს. აი, მაშინ გამოჩნდებოდა გენო. წინა ხაზზე, იარაღით ხელში. მრისხანე გრიგალი. ასე იყო მუდამ. როგორც ვიცი, ადრე, მას შეხების წერტილიც არ ჰქონდა სამხედრო სამსახურთან. მაგრამ უნდა გენახათ მისი შტაბი - დახვეწილი პროფესიონალიზმი, ბრწყინვალე არტილერია, რომელიც უმაღლეს შეფასებას იმსახურებდა. ერთი უაღრესად დადებითი თვისებაც ჰქონდა გენოს - არასოდეს ზღუდავდა მათ. ახლა ძნელია თქმა, ვის მოუვიდა აზრად ჯავშნოსანი მატარებლის გაკეთება. თანადროულ ომში. შეიძლება ეს პრიმიტიულადაც გამოიყურება. მაგრამ მაშინ, ლოკალური ბრძოლებისა-

თვის, უკეთესს ვერ მოიფიქრებდი. გენომ უცებ შეაფასა მისი დადებითი მხარე. ნებისმიერი ბატარეა ერთ გარკვეულ წერტილში მოქმედებს. ჯავშნოსანი კი გამოცანა აღმოჩნდა მტრისთვის. ერთდროულად რამდენიმე წერტილიდან ხსნიდა ცეცხლს... სოხუმში, ბარათაშვილის ხიდის გასწვრივ, გვირაბში შედიოდა ნაბრძოლი. ფაქტიურად - უვნებელი - მტერი დიდხანს ვერ მიხვდა ამ საარტილერიო „ე შმაკობას", რაიც დიდ ზიანს აყენებდა - ანადგურებდა მის ცოცხალ ძალასა და მძიმე ტექნიკას.

***

დავით გულუა: მე კიდევ ერთ გასაოცარ თვისებასაც მინდა გადაგახედოთ. გენოზე მოგახსენებთ. გენოს მთელი ომის მანძილზე გვერდიდან არ მოუცილებია თავისი ვაჟები. მახსოვს, როცა შრომის ოპერაცია მზადდებოდა, პოზიციების დაზვერვა იყო საჭირო. გენომ თავისი ორი ვაჟი გაგზავნა. ეს ბატალიონის თვალწინ ხდება, ყველას დასანახად. მებრძოლები გრძნობენ, - მათი სარდალი არავითარ შეღავათს არ ავრცელებს შვილებზე. პირიქით, ყველაზე სახიფათო დავალებებს იტოვებს მათთვის. რომელი ერთი გავიხსენო? ასეთი მაგალითები ბევრია. მაგრამ აგერ ყველაზე სახიფათო შემთხვევა ამოტი-

ვტივდა გონებაში. ჰო, ეს ოთხმოცდათორმეტი წლის აგვისტოში მოხდა. მდინარე გუმისთის სანახებში. მებრძოლებმა რომელიღაც ნაწილის ოფიცერი მოიყვანეს. საბუთები ეჭვს იწვევდა. ეჭვს იწვევდა თვით „მისი" „დაბნევის" ფაქტიც. შტაბის მონაცემებით, იმ ოფიცრის ნაწილი ხიდს გაღმა უნდა მდგარიყო. საერთოდ, მაშინ ძალზე არეული დრო იყო. დანამდვილებით არავინ იცოდა, სად, რომელი ნაწილი და შენაერთი იდგა... ოფიცერი კი დაჟინებით ითხოვდა ნაწილში დაბრუნებას. გენომ თავისი შვილები მოიხმო. თქვენ გააცილეთ... თანაც ვითარებას დაზვერავთო... იმ ხიდის გადავლა საეჭვო ოფიცრის თანხლებით გარდაუვალი სიკვდილის ტოლფასი იყო, ძლივს დავითანხმე გენო, რომ მეც გავყოლოდი ბიჭებს... მე არ მინდა ახლა დაწვრილებით აღვწერო ის განცდები, როცა ტყვიის წვიმაში მივაბიჯებდით გაღმა ნაპირისაკენ.

ეჭვი მღრღნიდა. ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, - ჩვენს წინ მიმავალი „ოფიცერი" გვიტყუებდა, რომ გაღმა ნაპირზე, მის მიერ მითითებულ ბორცვს იქით ჩვენი ნაწილები კი არა, ხაფანგი გველოდა... ისე აგისრულდათ ყველაფერი! ამ ომში ჩვენ ბევრი მოღალატე გვყავდა. ერთ-ერთი ის - „ოფიცე-

რიც" იყო. გაღმა რომ გავედით, ელგუჯას და გოჩას გავძახე, ჩამორჩით მეთქი. ამის თქმა და წინ მიმავლის შემობრუნება ერთი იყო. პისტოლეტი დავინახე, სროლის ხმა კი არ გამიგონია. ან რას გაარჩევდი იმ საშინელ კონონადასა და ქვემეხთა გრიალში?! მაგრამ ის კი აშკარად გავარჩიე, რა უცნაურად დაიწმაწნა პისტოლეტმომარჯვებული მამაკაცი და მოწყვეტით დაენარცხა მიწას... ჩვენ სამივემ ერთდროულად ვისროლეთ. მტრის პოზიციას ოცი, ოცდაათი მეტრი თუ გვაშორებდა. აი, ასეთი არეული ვითარება იყო გუმისთაზე. როცა სასწაულებრივად გადარჩენილები დავბრუნდით უკან. იქაც ბრძოლა იყო. გენომ ყველაფერი იცოდა. იგი დურბინდით გვადევნებდა თვალს. მე გამაოცა მისმა მშვიდმა გამომეტყველებამ. თითქოს ჩვეულებრივი გასეირნებიდან დავბრუნდით, ისე შეგვხვდა. მე მაინც გავუბედე, აშკარა სიკვდილზე გაგვაგზავნე მეთქი! შემხედა. რაღაც უცნაურად გაკვესეს მისმა თვალებმა. „აქ, ვისაც ხედავ, თითქმის ჩემს ხელში გაზრდილი ბიჭები არიან... მათაც ჩემს შვილებად ვთვლი... მათ უნდა ნახონ, რომ ჩემს შვილებსა და მათ შორის განსხვავება არ არსებობს. აქ ომია. ჩვენ ყველანი ერთ სამშობლოს ვიცავთ..."

ჰაერი დენთითა და კიდევ რაღაც სიმყრალის სუნით იყო გაჯერებული. გაიწელა დრო. სამყარო ერთ მცნებად იქცა ჩვენთვის: ახალგაზრდები დაუზოგავად იბრძოდნენ თითოეული გოჯისათვის. ამასობაში ზამთარიც დადგა. აქაური სანახებისათვის რბილი და შედარებით თბილი, იანვრის შემოტევა გველოდა წინ. იგი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა გენოს ბატალიონისათვის. ერთ დღეს ოთხი მეომარი დავკარგეთ. დიდი იყო დაჭრილთა რიცხვი. მაგრამ უფრო დიდი ზარალი იგემა მტერმა. მათი განცხადებით, - ორას ორმოცდაათზე მეტი მებრძოლი დაკარგეს. დაჭრილები კი ამაზე მეტი ჰყავდათ. გენო აქაც თვითონ მონაწილეობდა ბრძოლაში. იარაღით ხელში წინ მოუძღოდა ჯარისკაცებს, მისი მოქმედება აღაფრთოვანებდა ყველას. მხნეობას მატებდა. უშიშარს ხდიდა. ომის დროს მეთაური სათვალთვალო პუნქტიდან უნდა ხელმძღვანელობდეს ოპერაციებს... მაგრამ ეს სხვა ომი იყო. მას არ ჰქონდა ლოგიკა. არ ჰქონდა სახე. პარტიზანულს უფრო გავდა. სწორედ ეს გარემოება ითხოვდა მეთაურის ყოფნას უშუალოდ ბრძოლის ხაზზე, ბრძოლის გულისგულში. იყო შემთხვევები, როცა მეომრები ტოვებდნენ პოზიციებს, უკან იხევდნენ ძლიერი შემოტევის დროს. იქმნებოდა არეუ-

ლობა... ამას ყველაფერს წინდაწინ ითვალისწინებდა ოცდამესამე ბატალიონის სარდალი... იგი სწორედ ასეთი გარდატეხის წუთს გამოჩნდებოდა მათ შორის. „მე თქვენთან ვარ. იარაღით. დამატებითი ძალებით. არ შეშინდეთ! რომელი ეპიზოდი გავიხსენო? მარტის შემოტევა? მაშინ ექვსი ათასი კაცი მონაწილეობდა მოწინააღმდეგის მხრიდან, გვიტევდნენ ჰაერიდან. გვიტევდნენ გემებით, არტილერიით. ცა და მიწა ერთმანეთში გაითქვიფა. ცეცხლი და ჯურვი ნთქავდა ყველაფერს. ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა ქალაქში. გენოს შტაბი არ მიუტოვებია. იგი ქალაქის ცენტრში განლაგებულიყო, ყოფილი პოლიტგანათლების შენობაში. ჰქედან წარმართავდა ყველა ბრძოლას და თავდაცვას. შტაბში იგი იმედად იჯდა. იჯდა ბომბებისა და ნაღმების გრიალში. მეომრებმა იცოდნენ ეს, გრძნობდნენ მის ყურადღებას. მის ბრძანებებს ისმენდნენ... მაგრამ როცა უკიდურესად დაიძაბა ვითარება, გენო მათ გვერდით დადგა, წინა ხაზზე. მტერი აჩადარასა და მის მიმდინარე რაიონებში შემოვიდა. ჩვენს თვალწინ იღუპებოდნენ მებრძოლები. თხელდებოდა რიგები... მაშინ სამოცდათხუთმეტი შესანიშნავი ჭაბუკი დავკარგეთ. ეს ერთი დღის მანძილზე! მაგრამ მტერი განვდევნეთ. დავითვალეთ და-

ჭრილები. ორასი დაჭრილი გვყავდა! მაშინ აფხაზეთის მხარემ გამოაცხადა, რომ ამ შეტაკებისას ორას ორმოცდაათი კაცი დაკარგეს, ხოლო დაჭრილთა რიცხვმა 1200 მიაღწია. მაგრამ მე ზუსტი ცონაცემები მქონდა. ათას სამასი! აი, რამდენი კაცი დაკარგეს მათ. ხოლო დაჭრილთა რაოდენობა ორჯერ დიდი იყო. ბიჭვინთიდან ლაზარევსკაიამდე მათი დაჭრილებით გატენილი იყო ჰოსპიტლები და საველე ლაზარეთები. ადგილები არ ჰყოფნიდათ. ახლა ჩემთვის ძნელია, რომელიმე ეპიზოდის გამოყოფა. საერთო ასპექტით ვზომავ გარდასულ დღეებს. თვალწინ ჩვენი გმირი ბიჭები მიდგანან. - თოვლში, წვიმაში, თაკარა მზეში... როგორ უცებ დაკაცდნენ ბიჭები, ჯერ წვერიც რომ არ ამოსვლოდათ ხეირიანად! როგორ უცებ დაბრძენდნენ. მათ უნდა შევხვდეთ, მათ, ალბათ, უფრო გამოკვეთილად ახსოვთ ყველაფერი თავიდან-ბოლომდე! ჩვენ კი, ბატონი გენო და მე თითქმის ყოველდღე გავდიოდით პოზიციებზე, ყოველდღე ერთიდაიგივე მეორდებოდა. დღეებიც ერთმანეთს გავდნენ. გენოს თითქოს ტყვია არ ეკარებოდა. საერთოდ, მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა - მას არც ეშინოდა სიკვდილისა. მაგრამ მაინც იცოდა თქმა, „დაასწარი, ვიდრე მოგკლავდეს!"

***

ᲒᲘᲐ ᲒᲣᲚᲣᲐ. ახლაც კარგად მახსოვს, როგორ შევედით სოხუმში. სამთავრობო ჯარები კელასურში დაბანაკდა. სამთავრობო ჯარები - სამთავრობო აგარაკზე! მაშინ მომეცა საშუალება ახლოს გავცნობოდი გენოს. მანამდეც შევხვედროდი - გვენცაძესთან და კიტოვანთან ერთად. ეს მაშინ, როცა არძინბასთან ვითარება დაიძაბა. როგორი იყო ჩვენი ადრინდელი შეხვედრა? ახლავე მოგახსენებთ, ჩვენ პირველად ვნახეთ ქართული დანაყოფები. მათი თავკაცები სოსო ახალაია და გენო ადამია. გენოზე ბევრი რამ მქონდა გაგონილი, მაგრამ მასთან შეხვედრა უფრო შთამბეჭდავი გამოდგა. მე მაშინვე მომეწონა იგი - ცოცხალი, მოძრავი მამაკაცი. სახეზე - ნებისყოფის ნიშანი. საერთოდ, მიძინებული ადამიანი არ მიყვარს. არც ის, მდორე ცხოვრებას რომ მიჰყვება. გენო სულ სხვა ყალიბით იყო ჩამოსხმული. ვულკანს ჰგავდა, რომელიც არ იცი, როდის იფეთქებს. „უკვე სხვისი იმედი აღარა მაქვს, ჩვენით ვჯახირობთ რაღაცას" - მითხრა. ეს უფრო თავისი ქვეყნის ბედით შეწუხებული კაცის გულის სიღრმიდან ამოღებული სიტყვებია. ან რა თქმა უნდოდა ამას - ყველაფერი ნათლად იკვეთებოდა - სოხუმში უმძიმესი ვითარება სუ-

ფევდა. ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჯარის ჩამოყალიბებას აპირებდა. მას მხარდაჭერა და დახმარება სჭირდებოდა. სახელიც მოუძებნე, მითხრა გენომ. ლაშქარი! მივხვდი ეს ყველაფერი ჯერ-ჯერობით გენოს ოცნებაში იყო ნალოლიავები. როდის შეესხმებოდა ფრთა ამ ოცნებას?! ის, რაც ჩვენ წარმოუდგენლად მიგვაჩნდა, გენომ რამდენიმე დღეში აღასრულა. დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. დიდი სამეგობრო და სანათესავო. ახალგაზრდობის პატრონი და დამკვალიანებელი ხომ იყო და იყო! ხელის აქნევა უნდოდათ თურმე, აიქნია გენომ ეს ჯადოსნური კვერთხი და მის გარშემო ხუთიათასიანი ლაშქარი განლაგდა! მერე თენგიზ კიტოვანთან შევხვდი გენოს. აქაც იგივე პრობლემა. მის მიერ შექმნილი ლაშქარი, მისი ამოცანები და შეიარაღება! ამასობაში სოხუმის კომენდანტად დავინიშნე. გენოს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი. ოპერაციებშიც ერთად ვმონაწილეობდით. პირველ ხანობას ბევრი მარადიორი დავიჭირეთ. ომმა მოიტანა ეს სიტყვაც. ზნეობრივ დაცემას რომ გამოხატავს. დავიჭირეთ. იარაღები ჩამოვართვით. გენოც დაესწრო ამას. დანა პირს არ უღებდა მათ შემხედვარეს. მხოლოდ მაშინ გახსნა წარბი, როცა მარადიორთა იარაღი გადავეცით. მა-

რთლაც, - თქვა ზიზღით, - რათ უნდა ამათ იარაღი! მერე, როცა მარტო დავრჩით , გახარებული მომეხვია. მე მივხვდი რას ნიშნავდა ეს ჟესტი, მის ბიჭებს იარაღი აკლდა. თვენახევარი ვიყავი სოხუმის კომენდანტი, გუმისთაზე ვითარება ჩაწყნარდა და მოლაპარაკებები დაიწყო, საერთოდ, აქტიური საომარი მოქმედებები არ იყო მაშინ, მაგრამ თოთხმეტი-თხუთმეტი მარტისათვის ძალზე დაიძაბა ვითარება. როგორც ვთქვი, გენომ ხუთასკაციანი ლაშქარი შექმნა. საბრძოლო მონაცემებში ეს ლაშქარი ბრიგადად მოიხსენიებოდა. საოცრად ჭრელი იყო ამ ბრიგადის შემადგენლობა, მაგრამ ყველას გენოს ავტორიტეტი აერთიანებდა. ასე ჩქარა და მოკლე დროში არანაირი სამხედრო ფორმირების შექმნა არ ხდება. მან კი - შეძლო! გასაოცარი კიდევ სხვა რამე იყო. გენო არ იყო სამხედრო პიროვნება. არც სამხედრო მეცნიერებას იყო დაუფლებული. ბრიგადა კი ზედმიწევნით იდეალური შექმნა - ყველა სტრუქტურებითა და უმკაცრესი დისციპლინებით. იმ რთულ დროს ჩავფრინდით სოხუმში. ღამე იყო. აეროპორტში გენო დაგვხვდა. სულზე ჩამოგისწარითო, მითხრა. რა ხდება? ვკითხე, თუმცა ყველაფრის საქმის კურსში ვიყავი. ვიბრძვით! - მოკლედ მოჭრა გენომ, სა-

ტრანსპორტო პოლიციის განყოფილების უფროსიც მოვიდა. „რამდენი კაცია დასაბინავებელი?" - მკითხა მან. „ასორმოცდაათი!" „რაღაცას გავახერხებთ!" იყო პასუხი. ქარი გლეჯდა ყველაფერს. ირგვლივ - თოვლიჭყაპი, უსაზიზღრესი ამინდი, ჩემი ხალხი რკინიგზის სადგურში საძილე ვაგონებში უნდა მოგვეთავსებინა, გენომ კარგახანს მიტრიალა. შევატყვე, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თავს იკავებდა. სიბნელეში ვერ ვხედავდი მის სახეს. ბოლოს ამოღერღა: გია, მე ვიცი, რასაც ნიშნავს ხალხის ღამე გაყვანა წინა ხაზზე. მაგრამ, შენი ჭირიმე, სწორად გამიგე, ამ საღამოსვე შენი ხალხი რომ არ მოგვაშველო, შეიძლება ყველაფერი ჯანდაბისაკენ გადაქანდეს... ჰაერივით გვჭირდება დამხმარე ძალა!"

მართალი გითხრათ, ამან ერთიანად ამაფორიაქა. გენოს ხმა, მკრთალი, შეშფოთებული. რა მიხვედრა უნდოდა - ვითარება იმაზე რთული იყო, ვიდრე მე თბილისში ამიწერეს. ჩემს ბიჭებს გადავხედე. აქ ოცდაათამდე თუ მოიძებნებოდა ისეთი, რომელსაც ბრძოლის გამოცდილება ჰქონდა. ესენი სამაჩაბლოში ნამყოფი თანამშრომლები იყვნენ. მაგრამ სხვები? უპირატესად ახალბედები იყვნენ. ავტომატიდან უმცდარად სროლა არ

ნიშნავს ჩამოყალიბებულ მებრძოლს. ამისთვის სხვა თვისებებია საჭირო. ვუთხრა ეს გენოს? განა თავადაც არ იცის? იცის? მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველი წუთი გადამწყვეტია. მივედი ბიჭებთან. ავუხსენი. ასეთ ერთსულოვნებას არ ველოდი. მაშინვე აღზევდნენ. მაშინვე გავიდნენ ფრონტის ხაზზე. განლაგდნენ და შეტევაც დაიწყო, მართლა კარგად იბრძოლეს! გენოს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. დილით ყველა სანგარი მოინახულა. მოეფერა ბიჭებს. ეს იყო მათი პირველი საბრძოლო ნათლობა. მეორე დღეს მათი შეცვლა გადავწყვიტე, მეც გავყევი ამ ცვლას. მაგრამ ნაომარმა ბიჭებმა შორს დაიჭირეს თავი, ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლითო... რა უთხრა გენომ ასეთი? რა ჯადოთი დაამაგრა იმ ყინვასა და თოვლჭყაპში? თანამშრომელთა სახელით „გურგენა" გამომეცხადა. გიორგი გურგენიძეს ეძახდნენ ასე. შევხედე. ერთ ღამეში რაღაც სხვანაირი გამხდარიყო. თვალებიც უცნაურად უპრიალებდა. მითხრა - ბატონო გია, ჩვენ ასე გადავწყვიტეთ: აქ უნდა დავრჩეთ და ვიბრძოლოთ. ვხედავთ, რაც ხდება. უჭირთ, ჩვენ კი უფლება არა გვაქვს, მათ გვერდით არ ვიყოთ!" ამბობენ, შური სხვადასხვანაირიაო. თითქოს კეთილი შურიც არსებობს. მე არ ვიცი, ეს კე-

თილი შური იყო, თუ ჩემი შინაგანი აღტაცება, უმალ გენო წარმომიდგა თვალწინ, ასე მეგონა. ჩემს წინ „გურგენა" კი არა, გენო იდგა. თავისი დიდი ბუნებით, ვაჟკაცობით, გულწრფელობით. ასე „მოიწამლნენ" ჩემი ბიჭები, მთელი ხუთი დღე გააფთრებულ შეტევებს იგერიებდნენ და ფეხი არ მოუცვლიათ სანგრებიდან. ეს მაშინ, როცა წინა ხაზი პრაქტიკულად მოუწყობელი იყო, ყველაფერი სახელდახელოდ იყო გაკეთებული.. იყო ასეთი სიტუაციაც. მკვდრებისა და დაჭრილების გამოყვანა! ეს თითქოს წინდაწინ შეთანხმებით ხდებოდა. შეწყდებოდა ბრძოლა, ჩამოვარდებოდა სიჩუმე და ორივე მხარეს საშუალება ეძლეოდა დახოცილთა გაყვანისა. მაგრამ მე ისიც მახსოვს, ტყვიების დელგმაშიც რომ გამოგვიყვანია ჩვენი დაჭრილები და მკვდრები... ეს იშვიათად, უფრო ხშირად კი უკიდურესად დაძაბულ სიჩუმეში ხდებოდა ეს. გასაოცარი რამ იყო. გაიყვანდნენ, გაიწმინდებოდა საბრძოლო არე და ყველაფერი თავიდან იწყებოდა... ისევ ისროდნენ. ისევ ხოცავდნენ ერთმანეთს.

***

თეგგო ბენდელიანი. რა უნდა ვთქვა ჩემზე? გენო ბიძიას დაცვაში ვიყავი. აეროპორტში მივედით. რუს გენერალს

შევხვდით. მგონი კუდინოვს. ჩამოვიდა. დავხვდით. მანქანებში განვლაგდით და აეროპორტიდან პირდაპირ კომენდატურისაკენ გავეშურეთ. გზაზე გენო ჩვენსკენ შემობრუნდა. ესენი განსაკუთრებული სტუმრები არიან. არძინბასაგან მოდიან. მაგრამ ასეა თუ ისე, სტუმარი მაინც ღვთისაა და რაც გვაქვს, იმით გავუმასპინძლდეთ... მოვიტანეთ ჰუმანიტარული დახმარებიდან პატარ-პატარა საჭმელ-სასმელი. დასხდნენ. ლაპარაკობენ. უცებ გენომ თავი ასწია. მე ვიცი, რისთვისაც ხართ ჩამოსულებიო. კუდინოვმა გაიკვირვა. საიდანო!... გენომ: რა ვქნა, პროფესია მაქვს ასეთი - ყველაფერი წინდაწინ უნდა ვიცოდეო. აბა, გაიხსენეთ რაც გითხრეს იქ (არძინბას გულისხმობდა!) ჩემზე, მაგრამ არ დაგიფიცავთ, ცოტა იმაზე უკეთესი ვარ, ვიდრე დამხატესო... კუდინოვს ახლდა ერთი პოლკოვნიკი და კიდევ ერთი - სამოქალაქო ტანსაცმელში. გადაკრეს. წაციცქნეს. ისევ გადაკრეს. ასე - ნახევარი საათი რომ გავიდა, გენომ მოიბოდიშა, თათბირზე უნდა გავიდეო. კუდინოვი ხვეწნად იქცა. ნუ წახვალო. დავჯდეთ ცოტა ხანს კიდევ. ვილაპარაკოთო. გენომ თავის ცხოვრებაზე უამბო. კუდინოვმა თავისაზე. არ ვიცი, რა მოხდა იქ ისეთი. შეიძ-

ლება მე მართლა გამომეპარა ის წამი, როცა მათ შორის საოცრად თბილი ურთიერთობა დამყარდა. მერე, როცა გარეთ გამოვედით, კუდინოვმა ხელი გაუყარა გენოს. მართალი კაცი ხარ. მე სწორედ შენს გასაცნობად და ამბის გასაგებად ჩამოვედი. გენომ გაიცინა. ჩვენსკენ გამოიხედა და თვალიც ჩაგვიკრა. მას შემდეგ კუდინოვი ბევრჯერ ჩამოვიდა აფხაზეთს. მაშინვე მოძებნიდა გენოს. ისინი დიდი ხნის უნახავი მეგობრებივით ეხვეოდნენ ერთმანეთს. ამით იმის თქმა მინდა, რომ გენო ბიძიას რაღაც განსაკუთრებული ალღო ჰქონდა ადამიანის გამოცნობისა. შეხედავდა თუ არა კაცს, მაშინვე მიხვდებოდა, რა ამოძრავებდა, რა ჰქონდა განზრახული... აი, ასეთი რაღაცეები იყო. იმ ხანად ბევრი საქმე გვქონდა. ერთი განსაკუთრებული. შეიძლება ეს არ გვევალებოდა, მაგრამ მაინც ვაწყობდით ქალაქში რეიდებს. განსაკუთრებით ახალგაზრდებს ვამოწმებდით. მათ შორის ბევრი იყო უსაქმური. გენო გვეტყოდა: ესენი უნდა გადმოვიბიროთ და გვერდში ამოვიყენოთ. სამხედრო კომისარი ვეკუა იყო. გენომ ვეკუას შეუთვალა. „ბეზდელნიკებს" მოგიყვან და შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამაო! მაგრამ ამ „ბეზდელნიკებიდან" ბევრი იყო

ისეთი, თავის შეწუხება რომ არ უნდოდა. იყო თავისთვის ცხოვრების დინებას აყოლილი. სწორედ ერთ-ერთი რეიდის დროს, სამოცამდე ახალგაზრდას მოვუყარეთ თავი. დაღუპულთა სტენდი გვქონდა. გენომ იმ სტენდთან მიიყვანა ახალგაზრდები. შეხედეთ. ესენი თქვენი თანატოლები არიან და თქვენისთანა უსაქმურებისათვის გადასდეს თავი. იმიტომ გადასდეს, რომ თქვენ მშვიდი ცხოვრება გქონდეთ, რომ თქვენსკენ გამოშვებულ ტყვიას გადაფარვოდნენ... აწი, დასკვნების გამოტანა თქვენზე მომინდვია!: სამოცი კაციდან ორმოცდაორი დარჩა ჩვენს რიგებში. იარაღი აიღეს და საბრძოლო პოზიციებისაკენ გაეშურნენ. შეიძლება განა სხვა რაღაც საფანელი მოუძებნო ამგვარ მიდგომას? მე ახლაც ჟრუანტელი მივლის, როცა ეს სცენა მაგონდება... ამბობენ, ჩვილი ბალღი - ეს ახალი ადამიანია ორი ბებერი ადამიანის სანაცვლოდ მოვლენილი. მაგრამ რამდენი დრო, საშუალება და ბრძოლაა საჭირო, რათა გაზარდო, ათბუნო, დააყენო. მაგრამ როცა ადამიანი კვდება, ქრება ჩვენი თვალსაწიერიდან, თითქოს არც არსებობდეს. თითქოს წამის ერთი გაელვება და რამდენიმე მტკაველი მიწაა საჭირო... ვითომ ასე იყო გენო ადამიას ცხოვრება?

***

დათო გულუა. მან საოცრად იცოდა ახალგაზრდების ამორჩევა, ოღონდ რაიმე ინიციატივა გამოეჩინათ. ოღონდ ევარგათ! ასეთებს აწინაურებდა, ცდილობდა გვერდში ჰყოლოდა, ერთი სიტყვით სამოქმედო არეს უთმობდა. მაგრამ რა დაუნდობელი იყო, როცა ფლიდსა და მეთავისეს წააწყდებოდა! მე მიკვირდა, როგორ იტანდა ასეთ გამუდმებულ სტრესებს. გული! ორჯერ გადაიტანა ინფარქტი. თითქმის ყველა მესამე დღეს „წვეთოვანის" ქვეშ იწვა. ჩამოთავდებოდა „სისტემა", ერთ - თხუთმეტიოდე წუთს გაყუჩდებოდა ბალიშზე დაყრდნობილი და მერე პირდაპირ ფრონტის ხაზზე მიეშურებოდა. რა იყო ეს? სულის მოუსვენრობა? უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა თავისი ქვეყნის წინაშე? მან ის საცალფეხო ბილიკი აირჩია, რომლითაც ველარ დაბრუნდებოდა უკან. მახსოვს, იანვრის თვე, მაშინ შევარდნაძე იყო აფხაზეთში. მისი დაცვაც რომ იკავებდა თავს, სწორედ ისეთ ადგილებში გაჰყვა გენო. გაჰყვა მეგზურად და დამცველად. ძლიერ ციოდა. ბატონ ედუარდს ქუდი ეხურა. შეხედა გენოს. რატომ ხარ თავშიშველიო? ჰკითხა. გენომ გაიღიმა. ჩვენ ძალზე ახლოს ვართ მტერთან. მათ, შეიძლება გაგებულიც

აქვთ რომ შევარდნაძე იმყოფება ფრონტის წინა ხაზზე. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ თეთრთმიანი არ ამოიღონ მიზანში. მე კი თქვენსავით ჭაღარა ვარ და იქნებ ამით მაინც გადაგარჩინოთ.. ახლა ბატონ ედუარდსაც გაღიმებია. „დიდი მადლობა, ჩემო გენო. მაგრამ რომ ააცილონ, მაშინ ვის მოხვდება? მტრისთვის შეუმჩნეველი არ დარჩა სახელმწიფოს მეთაურის „სტუმრობა". აყეფდა მათი არტილერია. სიკვდილი ყოველ ნაბიჯზე იყო დადარაჯებული. გენომ თითქმის ძალით ჩაიყვანა ბატონი ედუარდი სანგარში. ჩაიყვანა და იქ, სადაც ისინი ერთი წუთის წინ იდგნენ, ჭურვი აფეთქდა... საერთოდ, აფხაზეთში ბევრი სტუმარი, ცნობისმოყვარე და მეთვალყურე ჩამოდიოდა. ჩამოვიდა ვინმე ორლოვიც. გენოს ასტუმრეს. იგი გრაფი აღმოჩნდა და კანადის მთავრობის დავალებით ეცნობოდა აფხაზეთში შექმნილ ვითარებას. უკვე ბევრი რამის ნახვა და შეჯერება მოესწრო. მთელი დღე და ღამე დარჩა გენოსთან. იყო სუფრაც. მაღალი სტუმრის პატივსაცემად, მართალია არ გავდა ჩვენებურ მრავალსართულიანს. მაგრამ სტუმარი მაინც უზომოდ კმაყოფილი დარჩა - სუფრაზე გენომ არაყი გამოიტანა სათუთად გახვეული. სახეზე ეშმაკეული ღიმილი დასთამაშებდა. ფრ-

თხილად გახსნა და მაგიდის შუაგულში გამოსაჩენ ადგილას დადო. სტუმარმა ეტიკეტს დახედა. ორლოვი! აი, რა ეწერა ეტიკეტზე. აცმუკდა მარა რა აცმუკდა მისი უდიდებულესობა გრაფი! თითქმის შვიდი ათეული წელი მოვიყარე და ჩემი გვარის არაყი თუ არსებობდა, არ ვიცოდიო. თქვენი ჩამოსვლის აღსანიშნავად ჩამოვასხმევინეო. იხუმრა გენომ. ხომ ასეთი საშინელი დრო იყო, ხომ თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება არ გვქონდა, მაგრამ მაინც მოახერხა „ორლოვის" შოვნა. მე ახლაც არ ვიცი, რა არხებით მოახერხა ეს. ერთი შეხედვით თითქოს დიდი არაფერი მომხდარა, მაგრამ გენომ მაინც გათვალა ის პაწია სიხარული, რომელიც მან შორეული კონტინენტიდან ჩამოსულ სტუმარს მიანიჭა. მაგრამ უფრო მეტი განცვიფრება წინ ელოდა ბატონ ორლოვს. გენომ აფხაზეთის ომში დაღუპულთა სადღეგრძელო წარმოსთქვა. რა მნიშვნელობა აქვს, სადაური მხარე იღუპება? ისინიც, აფხაზებიც ჩვენი ძმები არიანო... ეს წარმოუდგენელი აღმოჩნდა სტუმრისათვის. ეს როგორო, გაოცებას ვერ მალავდა, ომი მძვინვარებს. იღუპებიან ქართველები. თქვენ კი ქართველებთან ერთად დაღუპული აფხაზების სადღეგრძელოსაც წარმოსთქვამთ. რატომო? უცნაურად უთახთახებდა

მხრები. თვალებში გაურკვევლობის ნიშანი. აბა, რა იცოდა მან, რომ გენო მთელი სიგრძე-სიგანით ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო. მისთვის უცხო იყო ექსტრემიზმი. ხომ ასეთი გამწარებული იყო, მაგრამ მის საჯარო გამოსვლაში ეჭვადაც არ გაჭოლილა ასეთი რამ... პირიქით, აფხაზმა და ქართველმა ერთად უნდა იცხოვრონ ამ მიწაზე... ხოლო ვინც ამღვრევს წყალს - ფაშისტები და სეპარატისტები დედაბუდიანად უნდა ამოიძირკვონ... აი, მაშინ იქნება სიმშვიდე და სულის სუფევა. წავიდა ორლოვი და გენოს სიყვარული და პატივისცემა გაიყოლა. მერე მე დიდხანს ვფიქრობდი გენოზე. მართლაც, როგორ ახერხებდა იგი სრულიად უცხო ადამიანთა გულის მოგებას? სამეგობროდ განწყობას? ერთი მართლაც შესანიშნავი ჭაბუკი დაგვეღუპა. შეძლებული ოჯახიდან იყო. თანაც - დედისერთა. თავისი მდგომარეობით მას თავისუფლად შეეძლო ნებისმიერ მშვიდობიან ქვეყანაში გადაბარგება, მაგრამ გენოს ხათრით ჩაეწერა ლაშქარში. გენოს გვერდით დადგა. ეს ეამაყებოდა. გენო ბიძია სახვალიო საქმეს აკეთებს და მე როგორ ვუღალატოო. დაიღუპა. გმირულად დაიღუპა. გენომ ისე განიცადა ეს, თითქოს ღვიძლი შვილი მოუკლეს. მაგის დაღუპვა ჩემი ბრალიაო

უთხრა დედამისს. მე რომ არ ვყოფილიყავი, შეიძლება ამ უბედურებას აშორებოდითო. მაშინ მწუხარე ქალმა ყველა გააოცა თავისი პასუხით: ჩემი შვილი შენთან თუ არ იქნებოდა, აბა, სად უნდა ყოფილიყოო!.. ეს მისი კაცობის დიდი აღიარება იყო. ასე იყო ყველგან. სადაც კი სამძიმარზე მივსულვართ გამწარებული, მწუხარებისაგან ცრემლგამშრალი დედები ამბობდნენ: დაე, ჩემი შვილი ბოლო მსხვერპლი იყოს ამ ომში!.. ოღონდ შენ იყავი კარგად და შენ იდექი ფეხზე! იგი იმედი იყო ყველასათვის... ყველას დამხმარე. მანუგეშებელი... მისი პიროვნების წარმოჩენა ბევრმა რამემ განაპირობა: განაპირობა ნიჭიერებამ, მისმა ხასიათმა, - აუცილებლად აღესრულებინა ჩანაფიქრი, არა ნებისმიერი გზებითა და ხერხით, არამედ კაცურკაცობით. თავისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულით არსებობდა. ნაღდი და უღალატო იყო. სულ იმას ნერგავდა, - ბედნიერება არის სამშობლოსათვის სიკვდილი! ყოფილა შემთხვევა, მე მითქვამს, - ამ ომში ყოველგვარი დათმობა და მოლაპარაკება არავითარ შედეგს არ გამოიღებს მეთქი. მოვიდოდა იგი. დაგვაფორიაქებდა. როგორ, შენ თუ არ გააკეთე, მეორემ თუ არ გააკეთა, მაშინ დაღუპული ყოფილა ახალგაზრდების საქმე. ახალგაზრდებმა

კი არ უნდა დათმონ, მათ უნდა იხსნან ქვეყანა! დედას ახსენებდა ხშირად, გაუნათლებელი ქალი იყო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივის თვისებები ჰქონდაო. თავად გამრჯე და მოუსვენარი, ზარმაცსა და თვალთმაქცს არ ინდობდა. პაწია შეცდომასაც არ აპატიებდა ვინმეს... „მე მისი ხასიათი გამომყვაო, - უთქვამს გენოს. - საწყალს, განათლება რომ მიეღო, საქართველოში ცნობილი ქალი იქნებოდაო, უთუოდ" თვით გენოს ოქროს მედალზე არ დაუმთავრებია სკოლა, მაგრამ ჩინებული მოსწავლე იყო. განსაკუთრებით მათემატიკურ საგნებში ყოჩაღობდა. მამა ადრე გარდაეცვალა. უფროსი ძმა დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო. მერე დიდხანს მსახურობდა ჯარში. მაიორის წოდებით გავიდა თადარიგში... გენო ნაღვლიანად იტყოდა: „ეჰ, რა ვუთხრა ამ ცხოვრებას. ჩემმა ძმამ ოცდახუთ წელზე მეტი შესწირა სამხედრო სამსახურს... მე კი ერთ წელიწადში გენერლობა მივიღე... რატომ საფლავში არ გადაბრუნდებაო!.. მარტის შემოტევა რომ დაიწყო, ფრონტის ხაზს მოვცილდი და ხალხი დავაყენე, - ინფორმაცია მქონდა, მოსალოდნელი უკანდახევის შესახებ. ჩვენ მათი შეჩერება და გაბრუნება გვევალებოდა. მოვარდნენ ბიჭები. მეუბნებიან: დიდი და პატარა უკან კი არა,

წინ, ფრონტის ხაზისკენ გარბისო... დილის სამ საათზე გენომ დამირეკა. ვიღაცეები წამოსულან და იარაღი არა აქვთო! როგორ თუ არა აქვთ? ვკითხე. დაუყრიათ მაგ შობელძაღლებს. შეშინებულან ალბათ. მართლაც, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ისინი გამოჩნდნენ. გავეგებე. რა მოგივიდათ, ბიჭებო? გულწრფელად მითხრეს, იქ ისეთი ამბავია, ცოცხალი აღარავინ დარჩებაო. სულ ყმაწვილები იყვნენ. გამოუცდელნი. ვიდრე მათ ველაპარაკებოდი, გენოც მოვიდა. „რა უყავით იარაღი" - იკითხა. ხმა - გამოკვეთილი, აუღელვებელი. მაგრამ მე ვგრძნობდი, რა დაძაბული იყო შინაგანად. გინახავთ უკიდურესობამდე დაჭიმული ზამბარა? გენოც ასე იყო. წადით ახლა შინ, - განაგრძო გენომ. „კოფე" დალიეთ. სანაპიროზე გაისეირნეთ. მერე დომინოს მიუჯექით და ასე, არხეინად ატარეთ დრო... ჩვენ კი აქ, თქვენს მაგივრად ვიბრძოლებთ. შევეცდებით, არ შეგაწუხოთ მტერმა... მაგრამ იმათ რას ეტყვით, თქვენს თანატოლებს, თქვენს მეგობრებს, ძმებს, ნათესავებს ახლა გუმისთაზე რომ დგანან ტყვიის ქვეშ... ისინი თქვენზე ნაკლებნი არიან განა? განა მათ არ უნდა „კოფე" და მშვიდი ცხოვრება? წადით, შვილებო... დაისვენეთ... შებრუნდა. ბიჭებმა ერთმანეთში რაღაც გადაი-

ლაპარაკეს, მე მოშორებით ვიდექი. ვხედავდი მათ ალეწილ სახეებს. ვხედავდი, როგორ კუმშავდნენ მუშტებს, თვრამეტი-ცხრამეტი წლის ბიჭები იყვნენ. საკუთარ თავს ებრძოდნენ, შიშსა და სირცხვილს ებრძოდნენ. უცებ - შებრუნდნენ. მწყობრად, შეთანხმებულებივით და წავიდნენ... თვალებს არ დავუჯერე. წავიდნენ გუმისთის მიმართულებით, ხიდისაკენ... რის პანიკა, რა პანიკა! არავითარი ამდაგვარი.

***

ლირიკული პაუზა.

ძვირფასო, უფლება მომეცით, დავასრულო ფრაზა. ეს ჩვენს უცნაურ ომს ეხება. ამ ფრაზის დასასრული კი ასეთი იქნება: ღალატი! დიახ, ჩვენ უდიდესი ღალატის მოწმენი გავხდით. უფრო უპრიანი იქნება ვთქვა, თანამონაწილენი მეთქი, რადგან წაგებული ომი ყველა ჩვენთაგანის სინდისზეა. ახლა ჩვენ დავდივართ და ვკითხულობთ: როგორ მოხდა, რომ ჩვენ საკუთარ მიწაზე ხიზნები და დევნილები აღმოვჩნდით? და საერთოდ - ყველაზე უმძიმესი კითხვა: ვინ არიან აფსუები? რა გვიან წავიშინეთ თავში ხელი, რა გვიან მოვიძიეთ ნავლით წაფარებული ჟამი, როცა ჩვენს ძირძველ მიწაზე ისტორიის

ქარმა არავინ უწყის, საიდან ჩამოაბერტა ეს უცხო თესლი. მართლაც! რომელ შტოს მოწყდა იგი, სად ედო ბინა, ვინ იყო მისი წინაპარი. შეიძლება ეს ტომიც კი არ იყო. რაღაც უჩინო თემი. რომლის სასაუბრო ენა ზმუილსა და ფსტვენას ჰგავდა. საერთო ადათწესები დღესაც წარმართულ დროისაკენ გვაბედებს. იქ ბევრია სისხლი და ბნელი ძალა. მზაკვრობითა და ათასნაირი მანქანებით იპოვეს გზა ქართველთა გულისაკენ. მოჩვენებითი ნათესაობა, მოჩვენებითი რაინდობა და ერთგულება... რამდენი საუკუნე ელოდნენ ამ წუთს... ათბუნებდნენ უსაშინლეს ვერაგობას - იმ ხალხის მოსრას, რომელმაც ინდო, შეიფარა და სრულუფლებიან მოძმედ მიიღო. ისინი იმ ხალხში გაითქვიფნენ, ჭეშმარიტ აფხაზებად რომ იხსენებოდნენ. აფხაზები, ჭეშმარიტი ქართველები, რომელთაც ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა უქადაგა. მუდამ მხარში ედგნენ ქართველ მეფეებს. დღეს ეს მცნება - „აფხაზები" სწორედ ასე, ბრჭყალებში მოიხსენიება. „აფხაზები" - აფსუები კრიჭაში უდგანან ქართველებს და მის განადგურებას იზრახავენ. გაქრა ქართველური ტომი. მოვიდა უცხო ტომი, ქართველთა მიმართ ბიოლოგიური სიძულვილი რომ ამოძრავებთ.

ტერმინმა ტრანსფორმაცია განიცადა და ერის უბედურებად იქცა. გადაშალეთ ჩვენი ისტორიის ნებისმიერი ფურცელი. სულთნები, შაჰები, ყეენები... რამდენ ვინმეს გაუმკლავდნენ ჩვენი წინაპრები. ძურძუკებსა და ჯიქებს ა შოშმინებდნენ. ჩვენ კი ვერაფერი გავაწყვეთ ერთ მუჭა აფსუებთან. ვერაფერი მოვუხერხეთ. მარტო გრძელი ლაპარაკი გამოგვივიდა. შეიძლება ეს დროის ბრალიცაა. სოციალური და პოლიტიკური კატაკლიზმებისა. ძნელია ქვეყნის მოვლა, გამოკვება, დათბუნება. მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, საქართველოს ღმერთი სწყალობს და წინ იმედის შუქიც მოჩანს. და ჩვენ ვამბობთ: რწმენა გადაგვარჩენს! რწმენამ უნდა იბრძოლოს! მაგრამ აქ დუნე და ორჭოფული მოქმედება ღალატს ედრება. ქრისტეს და ერის ღალატს. ისლამი კი უკომპრომისოდ იბრძვის და იმარჯვებს. მაშინაც დავთმეთ, როცა ე. წ. კონფედერატებმა ყრილობა სოხუმში ჩაატარეს. ჩვენ კი, ექსტრემისტებს ვუქადაგეთ: - ძმები ხართო. აფსუები კი კარგად უწყიან, ვისი ძმებიც არიან, ვის მიჰყიდეს სული. თურქეთში გადახვეწილ აფხაზებს ჩერქეზებს ეძახიან. იქ, ჩვენს მეზობლად თუ მიხვდნენ, საიდან მოდის მათი სისხლი, ჩვენ რაღამ დაგვაბრმავა? ერი,

რომელიც საერთოდ არ არსებობდა ერად შევქმენით, უძველესი ქართული ტომის ჩრდილში მოვაქციეთ და ახლა ისტორიას კი არა, ჩვენს მიწასაც გვედავებიან და გვტაცებენ... მართლები ვიყავით. უძველესი, შეუვალი ერი ვიყავით გვეგონა...

***

თენგიზ ცანავა. ჩემი მეგობრები უსათუოდ ახსენებდნენ აგვისტოს. ჰო, მეც გავარვარებულ თვისკენ მივაპყრობ თქვენს ყურადღებას. ჯერ კიდევ 1992 წელია. ქალაქი თითქოს ცხელ ტაფაზე დევს. სიტუაცია - უკიდურესად დაძაბული. ყველა ვგრძნობთ სეპარატისტთა განზრახვას. უკვე შექმნილია ე. წ. აფხაზური გვარდია. გენო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრთან შეთანხმებით საპირისპირო ნაბიჯს დგამს. მაგრამ რეალურ საფრთხიდან გამომდინარე იქმნება რკინიგზის ობიექტებისა და ტვირთების დაცვის ბატალიონი. იგი მოქმედებს. მისი ხელმძღვანელები თვით გენო, დავით გულუა და მე - სატრანსპორტო პოლიციის ოპერატიული თანამშრომელი. ამ ბატალიონის სამუშაო სტრუქტურების შედგენა მე დამევალა. გენოს არ დაუმალავს ბატალიონის შექმნის უმთავრესი მიზანი. ქართული მოსახლეობა

უნდა დაგვეცვა, მაგრამ ეს კი იყო - ბატალიონის არსებობის საჭიროება არავითარ ეჭვს არ იწვევდა და კანონის მთელი სიმკაცრით მოქმედებდა. არ დაგვცალდა, თოთხმეტ აგვისტოს ომი დაიწყო. ჩვენ ახლა ვამბობთ, რომ არ ველოდით ამ ვერაგობას. არ ველოდით ასეთ უსაზიზღრეს ღალატს. მაგრამ ხომ აშკარად ვგრძნობდით, როგორ იშმუშნებოდა ბნელი ძალა, როგორ ერთიანდებოდა, როგორ ისხამდა იარაღს. მაშინ გენომ გააკეთა ის, რაც ალბათ, წარმოუდგენელი იყო ყველა ჩვენთაგანისათვის. სულ რაღაც რამდენიმე დღეში ჩამოაყალიბა ბატალიონი.

უპირატესად ახალგაზრდობამ მოიყარა თავი. გენოს გაზრდილებმა. ბევრზე ამაგი ჰქონდა. ბევრი - მის ავტორიტეტს გამოჰყვა, ნაღდი პატრიოტები, მამაცები. შემდეგ სწორედ ამ ბაზაზე შეიქმნა თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადა. ტამიშის ბრძოლების შემდეგ ოჩამჩირე-სოხუმის მონაკვეთი პარალიზებული აღმოჩნდა. - აფეთქებული აღმოჩნდა, როგორც სარკინიგზო ხიდები, ისე - საავტომობილოც. მიბარებს გენო. მეუბნება. ახლა შემოდგომაა. ტვირთები ზღვით შემოდის. მაგრამ კარს მომდგარი ზამთარი კარგს არაფერს გვიქადის. აირევა ამინდი, ზღვა გაფუჭდება და ჯანდაბისკენ გაქანდება ყველაფერი. სასწრაფოდ რკინიგზის

აღდგენა უნდა დავიწყოთ. მე ვუთხარი ჩემი გასაჭირი. იარაღი გვაკლდა. ვერც შეთხელებული რიგებით გავაწყობდით რამეს. იარაღიც მომცა და ცოცხალი ძალაც. მართლაც - თავი არ დაგვიზოგავს. აღდგა ეს მონაკვეთი. დაიძრა ეშელონები. შემოვიდა სურსათი. საომარი საჭურველი. დგას ნოემბერი. სოხუმში შეიქმნა საბრძოლო გარნიზონი. მისი მეთაური ბატონი გენო ადამიაა. მისი ბრძანებით მე აფხაზეთის რკინიგზის კვანძის უფროსად ვინიშნები. ოჩამჩირე-სოხუმს შორის აღდგა სარკინიგზო მიმოსვლა. მაგრამ, ზუგდიდის მხარეს, ინგირთან შეიქმნა ურთულესი ვითარება. ეს იყო ზურგში ჩაცემული ლახვარი, რომელმაც კატასტროფამდე მიიყვანა აფხაზეთი. მე არ ვიცი, რა უნდა ეწოდოს ამას. რა სახელით მოიხსენიებს ისტორია. მაგრამ ყველა ჩვენთაგანისათვის ეს სასიკვდილო განაჩენის გამოტანა რომ იყო, ნაღდია. თხუთმეტ მარტს სეპარატისტებმა ფართომასშტაბიანი შემოტევა დაიწყეს. უტევდნენ სოხუმს. ღამის სამ საათზე ტელეფონის ზარი გაისმა. ხაზზე გენერალი გენო ადამია იყო! „გისმენთ, ბატონო გენერალო!" - გამოვეპასუხე რიხით. „ნაღდი გენერალი მაშინ ვიქნები, თუ რეზერვს გამოვძებნი და გუმისთაზე წამოგვეშველებიო". მე ასეთი ჯგუფი მზად მყავდა. „აბა, გამოგივლი!" - მითხრა. მართლაც,

რამდენიმე წუთის შემდეგ გენოს მანქანა მოადგა ჩვენს სამყოფელს. ომში რა ჩქარა თენდება თურმე! უკვე გარკვევით ინიშნებოდა შენობათა სილუეტები. უცნაური თეთრი ზოლით გასერილი ზეცა. რამდენიმე წუთში ფრონტის წინა ხაზზე ვიყავით. გუგუნებდა, ტორტმანებდა, ქვემეხის უწყვეტი გრიალით იხლიჩებოდა გარშემო ყოველი. ომს ათასი .თვალი და ყური აქვს, მაშინვე ჟრუანტელივით გაირბინა სანგრებში: გენო მოვიდა! გენო ბიძია ჩვენთან არის! ამ დროს ყოველი კაცის გამოჩენა რაღაც იმედს ნიშნავს, მაგრამ გენო სულ სხვა მადლითაც იყო დაჯილდოვებული. ყველას მამა და მფარველი იყო. ყველას სატკივარი მას სტკიოდა. ყველას სადარდებელის გათავისება იცოდა. ამას გრძნობდნენ მისი მებრძოლები, უკვირდათ. „ხომ არ მოგწყინდათ, ბიჭებო?!“- წელში მოხრილი გადადიოდა სანგრიდან სანგარში. ხუმრობდა. უყვავებდა. ეფერებოდა. აქეთ-იქით კი თავისი შვილები მოყვებოდნენ... ისინიც ლომებივით იბრძოდნენ მამის გვერდით. მთელი ბრიგადის გვერდით... მაშინ ექვსი საათის მანძილზე ვიგერიებდით მტრის შემოსევებს. მე არ ვიცი, თუ საერთოდ შეიძლება ომის აღწერა. ან რა გულისა უნდა იყო, რომ იმ დელგმაში დაიმახსოვრო რამე. არის, ალბათ რაღაც გა-

რკვეული მონაკვეთი. ყურთან გაზუზუნებული ტყვია. შენს წინ, ორიოდ მეტრში დაცემული ყუმბარა, როცა შენი გადარჩენა მხოლოდ მის უდიდებულესობა იღბალზეა დამოკიდებული. როცა შენს გვერდით დაჭრილი თანამებრძოლი ებრძვის სიკვდილს და შენ არაფრის გაკეთება არ შეგიძლია. რაზე ფიქრობ მაშინ, რა გამოძრავებს... მხოლოდ ერთი სურვილი, არ მოუშვა მტერი. არ გადაათელვინო თავი! დილის ცხრა საათისათვის ერთბაშად ცხრება ცეცხლოვანი გრიგალი, ეს შეუთანხმებლად, რაღაც დაუწერელი კანონით ხდება. თუ საერთოდ, შეიძლება ასეთ ვითარებაში ამგვარი მცნების მოხმობა: ორივე მხარეს ბრძოლის ველიდან მკვდრები და დაჭრილები გაჰყავს! როგორ შეიძლება ამ დროს ადამიანის სიკვდილი გაგეხარდეს! ეს წარმოუდგენელი რამაა. მაგრამ ეს ომი ჩვენ არ დაგვიწყია. მოწინააღმდეგე მხარემ უდიდესი დანაკლისი განიცადა. ათასობით დაღუპულ-განადგურებული საბრძოლო ტექნიკა! გენო დაღვრემილი ზის ბრტყელ ქვაზე. ავტომატს დაყრდნობილი. თვალები უცნაურად უპრიალებს. ასეთი გასრესილი და მოტეხილი არასოდეს მინახავს. თითქოს ის, რაც აქ მოხდა, მისი ბრალი იყო და ამ ტრაგედიის მთელი სიმძიმე აწვა მხრებზე.

***

ლირიკული პაუზა.

იმხანად წვიმებმა დაიჭირა. თითქოს ადამიანთა უსაშინლესი ნამოქმედარის წარეცხვა უნდოდათ, ისე ძალუმად ასხამდა. მაგრამ აქ იმდენი ცოდვა იყო დატრიალებული, იმდენი სიბინძურითა და ვერაგობით დამძიმდა გარემო, ზღველაც ვერაფერს დააჩნევდა. მიწა სისხლითა და ფერფლით იყო გაპოხილი. მაშინ მაღალ წრეებში მუშავდებოდა ოპერაცია ტყვარჩელისა და ოჩამჩირის აღების შესახებ. ეს არ იყო რთული ოპერაცია. წარმატებაში არავის ეპარებოდა ეჭვი. ამით შეიძლება მართლა დასმოდა წერტილი აფხაზეთის ომს! რას ვაპირებთ? ეკითხებოდნენ ოფიცრები ერთმანეთს. რას ვაპირებთ? ამოიკითხავდი ათასობით აფორიაქებულ ადამიანთა გამოხედვაში? მთავარსარდლობა დუმდა. უფრო უპრიანი იქნებოდა გვეთქვა: ბჭობდა. საჭოჭმანო და საჩოთირო კი აქ არაფერი იყო! ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. მე არ ვიცი, რა სახელს მოუძებნის მომავალი ამდენ ჭოჭმანსა და გაუბედავ ნაბიჯს. ერთი ცხადია, ჩვენ ვმარცხდებით! თანდათან იკვეთება უაზრო ომის სახე. ასეა. მთავარსარდალი უცნაურ გადაწყვეტილებას იღებს. ტყვარჩელზე შეტევა

უნდა შეჩერდეს! საბაპი! ამით მსოფლიოს თვალში გავმართლდებით თითქოს. გავმართლდებით, რადგან ტყვარჩელისა, და თუ-გინდ, გუდაუთის აღება ეს უკვე გენოციდი ყოფილა თურმე! გენოციდი... აფხაზების მიმართ! შორიდან, ეს უაღრესად ჰუმანურ საჩურთში იყო გახვეული. მაგრამ ამ საჩურთს უფრო სიმწრისა და ისევ რაღაც თავის მართლების გემო დაჰკრავდა. მართლაც! ჩვენ „გადავარჩინეთ" აფხაზები გენოციდისაგან და საკუთარ თავს გამოვუტანეთ ვანაჩენი: ხარაკირის ტოლფასი იყო ეს. საკუთარ ხალხს მოვუწყვეთ გენოციდი! იმ გადაულებელ წვიმებში ერთი პოზიციიდან მეორეში დაბორიალობდა ჯმუხი გენერალი. იგი უხმოდ აშტერდებოდა მებრძოლთა სახეებს. იჭერდა მათ სევდიან გამოხედვას. სულის სიღრმიდან მოდიოდა ეს სევდა. ან შეკრთომის უეცარი პეპელა მათ ყმაწვილურ, მაგრამ უკვე გაუხეშებულ ნაკვთებს რომ აჯდა.

***

თენგო ბენდელიანი. როგორც უკვე გითხარით, გენო ბიძიას დაცვაში ვიყავი. ბევრს ჰყავდა მაშინ დაცვა. მაგრამ ბატონი გენო სულ სხვა ყალიბის კაცი იყო. მას საკუთარი თავისაგან უნდოდა დაცვა. მახსოვს,

ქალაქს უტევდნენ. ძლიერი იყო ეს შემოტე-
ვა. გენო ხელში დაიჭრა. წამოვიყვანეთ ჰო-
სპიტალში. სად მოგყავართო, - კითხულობდა
გზადაგზა. იცოდეთ, თუ ჩემს იქ დატოვებას
აპირებთ, არაფერი გამოგივათო. ძლივს მი-
ვიყვანეთ. მე დაჭრილი ლომი ფილმებში თუ
მინახავს. გამძვინვარებული. თითქოს საკუ-
თარი სხეულიდან გამოსვლას აპირებს... აი,
ეს გამახსენდა, გენო ბიძიას რომ ვუყურებდი.
ნახევარი საათიც არ იყო გასული. ყუმბარის
ნამსხვრევები ამოუღეს ხელიდან. თავზე ვა-
დგავარ. წუხს, წუხს, რომ საწოლშია! როგო-
რი მდგომარეობაა იქეთო. რა ვუთხრა? მიწა
ზანზარებს. ცა ლამის ჩამოიქცეს. ვამშვიდებ:
„არა უშავს" ცერად მიყურებს. თვალები
ოდნავ მოჭუტული აქვს. მაგრამ, ისეთი მზე-
რა აქვს, სული ამომიბრუნოს ლამის. გავიდა
კიდევ ნახევარი საათი. ჰო, ასე იყო. უცებ წა-
მოიწია. მომეხმარე, ჩავიცვათ და წავიდეთო.
ახლა კი ვიყავი მისი უფროსი. არ შეიძლება
მეთქი, ვიქეცი ხვეწნად. „მე რომ არ მივიდე
(ფრონტის ხაზს გულისხმობდა) მაშინვე
ხმას დაყრიან, გენო მკვდარიაო. ასე იქნება
ეს. შეშინდებიან ბიჭები. აფორიაქდებიან და
ვინ იცის, რა მოხდება" არაფერი გამოვი-
და. წამოდგა. ჩაცმაში მოვეხმარე. წამოვე-
დით, როგორც იყო, მივედით შტაბში. ა, ხომ

ხედავთ, ცოცხალი ვარო! თავი დაანახვა ყველას. მართლაც, თითქოს გულმა უაზრა, რომ პოზიციებზე ყველაფერი ვერ იყო რიგზე. ბიჭებს ხუთასი მეტრით დაეხიათ უკან. ვიღაცას უთქვამს, გენოს ტყვია შუბლში მოხვდა და დაიღუპაო. მაგრამ იმ წუთს, როცა გენო დაინახეს, ერთბაშად ყველაფერი შეიცვალა. თითქოს ხელახლა დაიმუხტა გარშემო ყველაფერი. მებრძოლები შემოესიენენ. სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდნენ. ვუყურებ გენოს, ვერაა კარგად. ძლივს დგას ფეხზე... მაგრამ მაინც პოულობს ძალას, თქვას: ეჰ, თქვე გლახებო, რამ შეგაშინათ. მე რომ მოვმკვდარიყავი, მაშინ ორმაგად უნდა დაგერტყათ მტრისათვის! - თბილი ღიმილი ახლავს მის სიტყვებს. მერე რა მოხდა? მივაწექით, გავედით, პოზიციები დავიბრუნეთ. მაგრამ იყო სასტიკი ბრძოლები. ისინი თითქმის შემოსულები იყვნენ ქალაქის მისადგომებთან, მაგრამ ვიმარჯვეთ. გენო მთელი ორი საათი იბრძოდა. მერე, მართლა ველარ გაუძლო და ძალაგამოცლილი მივიყვანეთ მანქანამდე. ახლა ადვილი წარმოსადგენია ეს, ხელში დაიჭრა. მაინც გავიდა პოზიციებზე. მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იმ დროისათვის ბატონი გენოს ჯანმრთელობა სასტიკად იყო შერყეული. გული! გამუდმე-

ბით სანგრებში ყოფნა, ათასნაირი საზრუნავი და სადავიდარაბო. ის კი მაინც იდგა ფეხზე, სიკვდილსაც ასე შეხვდა, მაგრამ ამაზე მერე. ახლა კი მეორე დღე მინდა გავიხსენო, როცა ჩვენ შეტევის ბოლო ფაზამდე მივედით, სნაიპერმა „დაგვიჭირა" ქუჩას გადავდივართ, წინ მე მივდივარ, უკან - გენო ბიძია მომყვება, მერე კოტე მეთოდიანი მორბის, მერე - ზაური ჩიქოვანი. ასე გავრბივართ ოთხივენი პოზიციებზე. მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იმ სნაიპერმა მანამდე „დაგვიჭირა". დაგვცხო უმოწყალოდ. ბედმა გადაგვარჩინა, რომ არავის მოხვდა. თავიდან - მოვასწარით წაქცევა. მე გენო ბიძიას მოვხვიე ხელი და მასთან ერთად წავიქეცი. ბიჭებიც დაწვნენ და ჩავემწკრივეთ ასე, „შპროტებივით" გვირტყამს სნაიპერი. ჯერ გენო ბიძია წევს, მერე მე, მერე კოტე და ზაური. წამოვიდა ტყვია, ზუილით გადაუარა გენოს, მეც, კოტესაც. კოტეს შარვალი გაუხვრიტა , გაიარა და ზურას ბეჭში მოხვდა. ზურა ყვირის, - „გორიმ! გორიმ!" „რა მოხდა, რა დაგემართა, ბიჭო?" - თავი წამოსწია გენომ. „ მგონი დავიჭერი, გენო ბიძია". „გამაგრდი.ნუ გეშინია, გავალთ და გიშველით!" - მართლაც! ჩვენი იქიდან გამოსვლა, ღმერთის კალთის გადაფარება იყო... იყო ღალატიც, დასჯაც, დახვ-

რეტები, ზურგიდან რომ გვესროდნენ. „სიენენ"შიც" აჩვენეს. ასეთი განწირული ვითარება სუფევდა ირგვლივ. პოზიციებს რომ მიეაღწიეთ, ვხედავთ - ბიჭები გამორბიან. მათკენ მივეშურებით. გენო ბიძიამ ერთ მათგანს ხელში წაავლო, სად გარბიხარ? რას სტოვებთუ იცი?... და ავტომატი წაართვა. ისევ ვუყურებ. ვხედავ - წამხდარია კაცი. სახეზე - მიტკლის ნიღაბი დაადეს თითქოს. იბომბება ქვეყანა. იქცევა, ინგრევა. ჩავედით ქვემოთ, შტაბში. ინფორმაცია ასეთია - გარღვეულია პირველი ბატალიონის პოზიციები. ეს ტელეფონით ხდება. „აბა, ქალაქში შემოცვივდნენ!" - ხმა გაებზარა გენოს. მერე გაბრაზებულმა დააგდო ყურმილი. გურამ ღრუბელეიშვილს მიუბრუნდა. შენ შტაბის უფროსი ხარ და აქედან ფეხი არ მოიცვალო. მე კი აქ არ უნდა ვიყო! - და, აბა, წავედით, ბიჭებოო! - შემოგვძახა. საოცარი იყო - გენო ბიძია თითქოს გუმანით ხვდებოდა, გარღვევის ადგილებს. საწყალი იურაც მაშინ დაიღუპა. კარგი მებრძოლი იყო. პირველი ბატალიონიდან. ფიზკულტურის ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. მოჭიდავე იყო. კელასურელი. ობლად გაზრდილი. ოჯახის შექმნაც ვერ მოასწრო. იქვე დავმარხეთ - კელასურაში. სამი დღე ვწვალობდით ცხედრის გამოტანას. სამი დღე

მზეზე იხრუკებოდა. ის ადგილი მიუდგომელი აღმოჩნდა. ტყვიის წვიმა არ წყდებოდა. თავის აწევას ვერ ვახერხებდით, მერე როგორც იყო, ავიღეთ ის სახლი, თხუთმეტი თუ ოცი რუსი მებრძოლი რომ გამაგრებულიყო და გამუდმებით გვიშენდა. ერთი სიტყვით, პირველ ბატალიონს მაშინვე დაერქვა იური ომანაძის სახელი. სააღდგომოდ გენომ დამიძახა. ხვალ ხომ იცი რა დღეა? მოემზადეთ, აუცილებლად უნდა წავიდეთ ბიჭების საფლავებზეო... მართლაც! სანამ ძალზე არ დაღამდა, ჩვენი მანქანა განუწყვეტლივ მოძრაობდა... რამდენიმე წუთით გავჩერდებოდით საფლავთან. ასე მეგონა, ყოველი საფლავის ნახვის შემდეგ, გენო თანდათან იხრებოდა მხრებში... ეს დარდი იყო. დაღუპულ ახალგაზრდათა სულის ძახილი. ამბობენ, სამშობლოსათვის დაღუპულ მებრძოლთა სული უკვდავიაო. რომ ადამიანი კვდება, მიიცვლება. სული კი ამ უკიდეგანო სამყაროში ტრიალებს და ის უცნაური ფორიაქი შენს სხეულს რომ მოსდებია, ამის მიზეზია ალბათ.

***

ᲚᲐᲜᲓᲐ ᲛᲐᲡᲮᲣᲚᲘᲐ. პოეტი. მე უფრო შორი დროისკენ მინდა გაგახედოთ. ეს არის 1980 წლის შემოდგომა. ოქროსფრად დაფე-

რილი ნაპირი და მშვიდი ზღვა. უკვე რამდენიმე დღეა სოხუმში ვიმყოფები. შეღამების ჟამს, პლაჟის შემდეგ - თითქოს სავალდებულო რიტუალი, ფინჯანი ყავა და ნავსადგური. სწორედ აქ ვხვდები ბატონ ვენოს. „საიდან, როგორ?" „აქ ვისვენებ" იგი იღიმება. უხარია ნაცნობთან შეხვედრა. ჩვენ ხომ ერთ ქალაქში დავიბადეთ და გავიზარდეთ. სენაკი-აი, რა გვაერთიანებდა ჩვენ. აღფრთოვანება ვერ დავმალე. მას მეგობრები ახლდა, წარმადგინა. „დღეს ჩვენი სტუმარი ხარ, რა თქმა უნდა, თუ გადაუდებელი საქმე არ გაქვსო". „ვისვენებ". - ვთქვი მე. „ჰოდა, ძალიანაც კარგი, ჩვენ სავახშმოდ მივდიოდით. დიდიხანია ჩვენს მეგობრებს არ შევხვედრივარ. ისე რომ, სასურველი სტუმარი იქნები" მერე მისამართი მკითხა. რუსთაველის ქუჩაზე ამადაამ სახლში გავჩერდი მეთქი. მან სახლის პატრონის სახელი მკითხა. ისიც ვუთხარი. გაოცდა. მერე ერთიანად გაუბრწყინდა სახე. მაგ სახლში ადრე გალაკტიონი ცხოვრობდა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, კარგახანს გატრუნული ვიდექი. სიხარულის ელდა იყო ეს, თანდათან სიამაყის სამოსელს რომ ირგებს. მერე რა იყო? ლამაზი სუფრა. ლამაზი სადღეგრძელო. ბევრი ღიმილი. მე ერთი სული მქონდა დიდ გალაქტი-

ონზე გამეგო რამე. უკვე ვიცოდი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სახლის უდიდესი ღირსება - 1956-57 წლებში მასპინძლობდა პოეტს. „ყმაწვილკაცობა სოხუმში გავატარე. - თითქოს ჩემს სანუკვარ ფიქრებს ჩასწვდა ბატონი გენო. - მეზობელი მყავდა. დათიკო ერქვა. რესტორან „ფსოუს" ერთი პატარა სამწვადე ემიჯნებოდა. სწორედ იქ მუშაობდა მებუფეტედ. მე და ჩემი მეგობრები მისი ხშირი სტუმრები ვიყავით. ერთხელაც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მაშინაც სექტემბერი იდგა, „ძია დათიკოს" გავუარეთ. უხასიათოდ გვეჩვენა. ნირწამხდარი. ამ დროს ათას რამეს გაიფიქრებს კაცი. მეც გავიფიქრე, ჩვენი მოსვლა ხომ არ ეწყინა მეთქი. მოვტყუვდი. ჩვენთან ჩამოჯდა. შემოგვჩივლა: „ბიჭებო, რაღაც უცნაური ამბავი მჭირს. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. იქნებ დამეხმაროთ..." და თავისი „გაჭირვების" ამბავი გაგვანდო. თვეზე მეტი ყოფილა მის სამწვადეში ვიღაც წვეროსანი მამაკაცი ას გრამ არაყს დაასხმევინებს, გადაკრავს, პურს წაიციქნის, მადლობას იტყვის და მიდის... მიდის ფულის გადაუხდელად... „შენც აიღე და ნუ დაუსხამ!" „აი, სწორედ ეგ მაგიჟებს, - განაგრძობს დათიკო, - ვიცი, რომ ფულს არ მომცემს და მაინც ვუსხამ. ვერ ვკადრებ რამეს. ისეთი თვა-

ლები და გამოხედვა აქვს, თითქოს მაჯადოებს... კარგია, რომ აქა ხართ... შეიძლება გამოიაროს... პაემანი მქონდეს თითქოს დათქმული. ერთსადაიმავე დროს მოდის... ახლაც მისი მოსვლის დროა. იქნებ თქვენ მაინც ჰკითხოთ, ვინ არის, რა კაცია. პასუხი მოსთხოვოთ იქნებ. ეს ასი გრამი მე არ დამაქცევს, მაგრამ ეს გაურკვევლობაც საშინლად მაღიზიანებს..."

გენომ გაიცინა, - ოღონდ ჩვენ არ წავსულიყავით, და სუფრა ათასნაირი საჭმელ-სასმელით დაგვიმძიმა. დავპირდით, დარდი ნუ გაქვს, თუ დღესაც არ გაგისტუმრა დანახარჯი, ისე გავასწოროთ, აღარ გამოიხედოს შენსკენ... მერე, სუფრას რომ შევყევით, სიმართლე გითხრა, სულ დაგვავიწყდა უცნაური წვეროსანიცა და ძია დათიკოც. იმ დღეს მან მართლა უღალატა ჩვეულ „გრაფიკს" და საკმაოდ დაგვიანებულმა შემოაბიჯა სასაუზმეში. გულმა რეჩხი მიყო. გალაკტიონი! ყველანი ფეხზე წამოვცვივდით. დათიკოს გაქონილი დახლის წინ იდგა პოეზიის მეფე - ოდნავ ხვეული თმითა და ხაკისფერი ხალათით. მაგიური მხრების რწევით მიადგა დათიკოს და თავის ჩრდილში მოაქცია. „ერთი დამისხი, ძამიკო!" დათიკოს სახეს ვერ ვხედავდით, მაგრამ იმას კი ვხედავდით,

როგორ გადმოიღო ბოთლი და ჭიქა გაავსო და ჩვენსკენ გამოაპარა მზერა. ფეხზე წამომდგარნი და აღტაცებულები რომ დაგვლანდა, ენა დაება. ამასობაში გალაკტონმა არაყი გადაკრა. ჯიბიდან ფული ამოიღო, - კეთილი კაცი ყოფილხარ, ძამიკო! რამდენჯერ გამიმასპინძლდი, მაგრამ ერთი არ გიკითხავს, ვინ ვარ და საიდან მოვედი. ფულიც არ მოგითხოვია. ამიტომ, რაც დავხარჯე, იმას ორმაგად გიხდი. - და ფული დახლზე დააწყო. დათიკო წახდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ისევ ჩვენსკენ გამოიხედა. ეს ბევრია, ბატონო. ამდენი არ მეკუთვნის! - დათიკოს გალაკტიონისკენ გაშვერილი ხელი უკანკალებდა... ნუ გააფუჭებ შენს კეთილ საქციელს, - უთხრა გალაკტონმა. ამ ახალგაზრდებს კი სასმელი მოუტანე. მეც ერთ ჭიქას დავლევ მათთან ერთად. - ჩვენი მაგიდისაკენ დაიძრა. რა ხდება ყმაწვილაცების გულში, როცა პოეზიის მეფე ინებებს მათ გვერდით დაბრძანებას? თქვა: რადგან ფეხზე წამოდექით, ალბათ, მიცანით. ვინც ვარ და თქვენ გაგიმარჯოთ ბიჭებო... დაგილოცავთ მიწა-წყალს, ხალხს, ვაზსა და ბარაქას ნუ გამოულევ სტუმართმოყვარე საქართველოს... ღმერთმა ნუ მოგვაკლოს კეთილი მასპინძელი, (ძია დათიკოსკენ გადა-

აქნია თავი. დათიკო დარცხვენილი და აფორიაქებული იდგა დახლის იქით); ღმერთმა ნუ მოგვაკლოს თქვენისთანა ზრდილობიანი ახალგაზრდები. ჭიქა მოსვა; დადო. გამჭოლი მზერა წამით მოგვაპყრო. თითქოს საფანტი მოგვაყარა, ისევ გაკვესეს მისმა თვალებმა. მკაცრი იყო ეს მზერა. მაგრამ - თბილიც, გულუბრყვილო ბავშვის ღიმილით გვიყურებდა. ღმერთკაცს გავს - მაღალშუბლიანი, ფართესახიანი, დაწყვართული თითები ნელ-ნელა ჩამოისვა წვერზე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა - თითქოს სულიერ სიმშვიდეს და სიდარბაისლეს სწორედ ეს წვერი ანიჭებდა. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, - შეიძლება მარადიულობაც. მაგრამ ამ მარადიულობის კვარცხლბეკზე ყოველთვის იკვეთება გალაკტიონის სახე, სახე, რომელიც ასე სათუთად გამოძერწა გენო ადამიამ და მისახსოვრა. დღეს ჩემი სიყრმის მეგობარი ცოცხალთა შორის აღარაა. იგი გალაკტიონის მიწისათვის დაეცა, ჩემი და თქვენი მიწისათვის... თვალწინ ცოცხლდება ის ოქროსფერი შემოდგომა. სევდიანი და ლამაზი. ზღვის სანაპირო. ლამაზი სუფრა და გენო ადამია! ხან ძალიან მშვიდი, ხანაც - ფიცხი, ქვეყანა ძველი გროშივით გაცვდა. მოგონება კი დარჩა...

***

გურამ მგალობლიშვილი. „კრიმინალური ქრონიკის" ფოტოკორესპონდენტი. მე ბედნიერება მქონდა მთელი წელიწადი გენოს გვერდით ვყოფილიყავი. დიახ, ჩემი სამსახურებრივი მივლინების გამო. ეს იყო ურთულესი ჟამი. ჟამი ადამიანთა შეცნობისა და დაკარგვისა. ეს იყო 1992 წლის ნოემბერში. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ოცდამესამე მექანიზებული ბრიგადის შტაბი ქალაქის ცენტრში იყო მოწყობილი. გენოს სამუშაო ოთახი. ფუტკრის სკა. მუდამ მოზუზუნე. მუდამ ხალხმრავალი. თვითონ - ხშირად მინახავს საბრძოლო პოზიციებზე. ავტომატით ხელში. ტალახში ამოგანგლული. უძილო. თითქმის ყოველთვის ერთიდაიგივე სურათი იქმნებოდა. თითქოს გუმანით გრძნობდა თავისი ბიჭების განსაცდელს. აიღებდა ყურმილს. ხუთ წუთში თქვენთან ვიქნებიო, - დაურეკავდა თავის ბიჭებს. და მიჰყვებოდა მისი გზა ტყვიების წვიმას. მაგრამ ესეც იყო - დილაუთენია ყოველთვის მოწესრიგებული ტანსაცმლითა და გაკრიალებული ფეხსაცმელით. უკან დაბრუნებულს კი ძლივს იცნობდით. სისხლი. ტალახი. მტვერი. სიტყვაძუნწი კაცი იყო. იშვიათად თუ მოხსნიდა გუდას. თავისთავზე

ხომ სიტყვას ვერ დააძვრევინებდი! გულში იკლავდა დარდს. თავის მტკივნეულიან გულში. მართლაც! უმძიმესი დრო იყო. ოფიციალური მონაცემებით საქართველო შიმშილის ზღვარზე იმყოფებოდა. ფიზიკური დაუძლურება. აი, რა ელოდა მას ხვალ - ზეგ. სპეკულანტებით, თაღლითებით, მეძავებითა და მარადიორებით გაივსო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ: მშიერი მამა ველარ უძლებს ოჯახის ვარამს და ინფარქტით კვდება. მშიერი ქალი ფერმიხდილი ზის ქუჩის კუთხეში და ვიღაცის გამოწვდილ ლუკმას ელოდება. ერთ დროს თავმომწონე მოხუცი თავის წილ პურს ჰყიდის ბაზრის შესასვლელში. ჭირისუფალთ, უსახსრობის გამო, სავადმყოფოდან აღარ გაჰყავთ მიცვალებულები! ლტოლვილნი და კუპონზე მომუშავე გაბითურებულნი სასოწარკვეთით შეჰყურებენ კომერციულ ჯიხურებში გამოფენილ ჰუმანიტარულ დახმარებას. აი, სანამდე მიგვიყვანა ერთმანეთისათვის კრიჭაში დგომამ, სიხარბემ, უზნეობამ, უდარდელობამ. ამას ჰქონდა სხვა საფანელიც: გაუკუღმართებული დემოკრატია და თავისუფლება. ახლა ბევრი რამ ხდება საცნაური, სად შევცდით. სად ვერ მოვიქეცით საკადრისად. აფხაზეთში რკინიგზების, საავტომობილო ხი-

დების და საერთოდ, ვითომ წესრიგის დასაცავად შევედით. გუმისთამდე კი ისეთი რიხით ვიარეთ, ბერლინის ბრძოლები მონაგონი თუ იყო! ათი კაცი იბრძოდა. ათი მაროდიორობდა. ერთი თუ დაიჭრებოდა, ხუთი იარაღიანი მიაცილებდა. მერე ის ხუთიც თავის იარაღიანად უგზოუკვლოდ იკარგებოდა. ავტომატის ხათრით ტყვია ზურგიდანაც მოხვედრია მომმეს. ჩვენ ვერ გავითავისეთ ეს ვერაგული ომი. ვერ გავითავისეთ თავისი სიგრძე-სიგანით. მზაკვრული ჩანაფიქრით, საფრთხითა და სისასტიკით, ვერ გაითავისეს ის უდარდელმა ახალგაზრდებმა, ნარკომანებმა, ლოთებმა, ქუჩებში რომ დაეხეტებიან და იგინებიან, მღერიან, ხარხარებენ, აბუჩად იგდებენ გამვლელებს. ეს მაშინ, როცა მათი ღირსეული თანატოლები ბრძოლის ველზე სწირავენ თავს უბედურ სამშობლოს, ვერც იმ გულქვა ქორვაჭრებმა და მოგზაურობის ჟინით აღტაცებულებმა, არხეინად, რომ დასეირნობენ შანხაისა და დუბაიში. ვენეციასა თუ მონტე-კარლოში... ამ დროს მათ მთასა და ბარში გადამთიელები დათარეშობენ. ვერ გავითავისეთ ეს ომი. სირცხვილისაგან არავინ წითლდება. ეს უზომო შემწყნარებლობამ მოგვიტანა. დაუდევრობამ და სიჩლუნგემ. ეს მოგვიტანა დრომ. მაგრამ დროს ხომ

ადამიანები წარმართავენ?! არ ვიცი, რატომ, მაგრამ ბატონ გენოს ყოველთვის უყვარდა ჩემი დამარტოხელება. ერთხელაც მირეკავს, - გურამ, აპარატები მოამზადე, მანქანით გამოგივლი და ჩამოგდებული თვითმფრინავის გადასაღებად წავიდეთო. ოცი წუთის შემდეგ გეზი სოფელ შრომისაკენ გვეჭირა. თხელი თოვლი. ზამთრის სუსხი. უკვე ყველამ ვიცოდით, შრომის თავზე სუ-27 ჩამოაგდეს! მანქანები. ცნობისმოყვარე მზერა. ერთ-ერთი დაყენებული სატვირთო მანქანის ძარაზე მკვდარი მფრინავი. სახელმწიფოს მეთაური ყურადღებით დასცქერის მფრინავის გვამს. მერე ბატონ გენოს მიმართავს. სთხოვე, გააპატიოსნონ მიცვალებული. ყველა ქრისტიანული წესი დაიცვან და გუდაუთაში გადააგზავნონ. მერე ყველა მთის მწვერვალისაკენ დავიძარით, სადაც ჩამოგდებული თვითმფრინავის ნამსხვრევები ეყარა. მთის მწვერვალზე ასვლას თოვლი ამძიმებდა. დაახლოებით კილომეტრი მაინც იყო გასავლელი. ირგვლივ თოვლი. თოვლის ქვეშ ხმელი ფოთლების საფარი. ვუყურებდი გენოს. მართალი გითხრათ, გულწრფელად მიკვირდა. ამოდენა ოპერაცია გამოვლილ კაცს დაღლა როგორ არ ემჩნევა მეთქი! „შავი ყუთი" თუ გინახავთ ამ ნამსხვრევებში? - იკითხა ბატო-

ნმა ედუარდმა, - შეუძლებელია აქარ იყოს სადმე. მაგრამ ყუთი არსად ჩანდა. მაშინ გენომ სოფლის ბიჭები შეკრიბა. დიდი ჯილდო შეპირდა მნახველს. გვიან გავიგე, სოფლის ბიჭებს მართლა ეპოვნათ ეს ყუთი და ბატონ გენოსთვის მიუტანიათ. ცხადია, ამ საგანგებო დანადგარით ბევრ რამეს უნდა ახდოდა ფარდა. გენოსაც სიტყვა არ გაუტეხია. დიდი ფულადი ჯილდო გადასცა სოფლის ყმაწვილებს.

ვითარება. საქართველოში სამშვიდობო მისიით ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დელეგაცია. უნდა გაერკვიათ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისა და კონფლიქტების მიზეზი, ძირითადი და მთავარი მიზანი იყო შემოეთავაზებინათ ამ რეგიონში საქმის მოწესრიგების რეკომენდაციები. ჩამოსულ სტუმრებს თავიანთი თვალით ენახათ ყოველივე ის, რაც ხდებოდა რესპუბლიკის ამ რეგიონში. სპეციალური თვითმფრინავი „იაკ-40" სომხეთის პარლამენტის წევრებთან ტელევიზიისა და პრესის წარმომადგენლებთან ერთად სოხუმს გაფრინდა. ჯგუფს ხელმძღვანელობდა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ბატონი სანდრო კავსაძე. სოხუმი, ეს ზღვისპირეთის ულამაზესი ქალაქი იმ ბობოქარი დღეების შემდეგ ნელნელა, მაგრამ მაინც იშუშებს მიყენებულ

ჭრილობებს, გადატანილი ბრძოლებისა და ძალადობის შემდეგ. თანდათან ნორმალურად იწყებენ მუშაობას სხვადასხვა საქალაქო მეურნეობები. სოხუმისათვის, ქალაქის იერის დასაბრუნებლად ყოველდღიურდა გამოდიან სპეცდანიშნულების მანქანები. უკვე ხალხმრავლობაა ბაზრებშიც. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი სიუხვე ჯერ-ჯერობით არ არის მის თაროებზე, მაგრამ ბოსტნეულის და ხილის ყიდვა შეიძლება. საქალაქო ტრანსპორტს უკვე დაჰყავს მგზავრები. მუშაობენ შემნახველი ბანკები. ამუშავდა სტამბა. ქალაქის ერთ-ერთი დამახასიათებელი სურათი: ყავახანაში საუბრით იქცევენ თავს ქალაქელები, უკვე უკაცრიელ პლაჟებზე გამოჩნდნენ მოცურავენიც. მიუხედავად ამისა ტერორისტთა ჯგუფები თავის ნახელავს მაინც ამჩნევენ ქალაქსა და სხვა რაიონების ტერიტორიას. ბევრ წერტილებში დღესაც ისმის სროლების ხმა, კრიმინოგენულ სიტუაციასთან დაკავშირებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების დასავლეთის შენაერთების ხელმძღვანელობა მოუწოდებს მოსახლეობას გამოიჩინოს მაქსიმალური ყურადღება, კავშირი იქონიოს კომენდატურასთან, დაეხმაროს ბატალიონებს საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში. თვითმფრინა-

ვი სოხუმის აეროპორტზე დაეშვა. მანქანების კორტეჟი შტაბისაკენ გაეშურა. საგანგებო მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, მეორე დღეს გაეროს წარმომადგენლებთან ერთად გუდაუთაში წასულიყვნენ ბატონი თამაზ გამყრელიძე, ტელევიზიის დეპარტამენტის გადამღები ჯგუფი რევაზ ეგაძის ხელმძღვანელობით და „კრიმინალური ქრონიკის" სპეციალური კორესპონდენტი - გურამ მგალობლიშვილი. ესეც ბატონ გენო ადამიას წყალობით მოხდა. უკანასკნელ წუთს, როცა პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები მოგროვდნენ, ბატონმა გენომ თქვა: ყველას წასვლა საჭირო არაა. ორიც საკმარისია. ასე უფრო ივარგებს, მისი ნათქვამის ქვეტექსტს ყველა მიხვდა.

სამ სექტემბერს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული შეთანხმება ამოქმედდა. სახელმწიფო არაფერს არ იშურებს, რომ სწრაფად განხორციელდეს მოსკოვსა და სოჭში ხელმოწერილი შემაჯამებელი დოკუმენტების ყველა პუნქტი - განაცხადა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. ეს ყველამ კარგად ვიცით და საკმაოდ კარგად ჩანს, მაგრამ აფხაზეთის მხარე არ ასრულებს მიღწეულ მორიგებებს. აფხაზეთში შეგრო-

ვდნენ მოხალისეები, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის საქმეში. დასამალი არ არის, რომ უკანასკნელ ხანს რუსეთის პარლამენტის ზოგიერთ კომისიებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ცალკეულ საჯარო გამოსვლებში სულ უფრო ხშირად გაისმის აზრი იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში საქართველოს სამთავრობო ჯარები იყენებენ იმ იარაღს და საბრძოლო ტექნიკას, რომელიც მათ კონფლიქტის წინ გადასცა რუსეთმა. რესპუბლიკის ხელისუფლებას და თავდაცის სამინისტროს მიაჩნია, ასეთი გამონათქვამები არა მარტო ამახინჯებს აფხაზეთში მიმდინარე ამბების რეალურ სურათს, არამედ უწყობს კიდეც ხელს ცეცხლის გაღვივებას. ჩვენს ხალხს მტკიცედ სწამს ახალი რუსეთის, ენდობა მის დემოკრატიულ ხელმძღვანელობას, რასაც მოწმობს ის ნაბიჯი, რომელიც გამიზნულია კონფლიქტის ერთობლივი მოგვარებისათვის. ასეთ მოქმედებას იწონებს მსოფლიო საზოგადოებრიობა და მას უკვე მოაქვს გარკვეული დადებითი შედეგები. მეორე დღეს სპეციალურმა შვეულმფრენმა გუდაუთისაკენ აიღო გეზი. გუდაუთის სამხედრო აეროპორტი. იქვე ჩვენი შვე-

ულმფრენის მახლობლად ჩამწკრივებული იყო რაკეტებით აღჭურვილი სამხედრო თვითმფრინავები. მასპინძლებთან ერთად ჩვენი ჯგუფი არძინბას რეზიდენციისაკენ გაემგზავრა. მანქანები პროკურატურის წინ გაჩერდნენ და ჩვენ დამხვდურებთან ერთად შევედით არძინბასთან. ორიოდე წუთის შემდეგ არძინბამ „ლელიკატურად" გვთხოვა, - ჩემი სამუშაო ოთახი დასტოვეთო! ჩვენთან ერთად ოთახიდან „გამოუშვეს" აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძეც. ავტომატიანი ბიჭების თანხლებით მიგვიყვანეს ერთ პატარა ოთახში და გვთხოვეს, ოთახიდან არ გამოვსულიყავით. კარებთან და ფანჯარასთან შეიარაღებული მცველები დაგვიყენეს. 7 საათის განმავლობაში ჯგუფი არძინბას ტყვეობაში იმყოფებოდა. ამის შემდეგ ჩვენ გამოგვიშვეს იზოლირებული ოთახიდან და გაგვისტუმრეს აეროპორტისაკენ. ერთადერთი, რაც მოვასწარი, ის იყო, რომ გადამეღო იქ გამოფენილი ექსპონატები: აფეთქებული ჭურვების ნამსხვრევები, სად იყო ისინი „ნაპოვნი", კაციშვილმა არ იცოდა. 17 სექტემბერს სოხუმში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ედუარდ შევარდნაძე. იგი შეხვდა ქართველ დეპუტატებს, აფხაზ და ქართველ ინტელიგენ-

ციას, მეუფე დავითს. ძირითადი თემა - რაც შეიძლება ჩქარა მოგვარებულიყო კონფლიქტი და ამ მიწაზე დამყარებულიყო მშვიდობა, აღსანიშნავია, რომ უნდა შემდგარიყო არძინბას შეხვედრა ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან, „გენო ადამიამ თქვა: „თქვენ მართლა გგონიათ,რომ არძინბას ეს შეხვედრა უნდა?! ტყუილია მაგი! მაგას რაც უნდა, ჩქარა ნახავთ!" - მაშინ არავინ დაუფიქრდა მისი ნათქვამის ქვეტექსტს.

***

ჯანო ჯანელიძე: გენო ადამია მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი პირველად. ვიწრო, მეგობრული წრე შეკირიბა სოფელ ამჟაყვაში. იგი ჩემს პირისპირ მოხვდა სუფრასთან. თმაჭაღარა, სიმპატიური გარეგნობის იყო. ხავერდოვანი, ბოხი ხმა ჰქონდა, ასევე ბოხი ხმით იცინოდა და ყველას ყურადღებას იქცევდა. იქვე დავმეგობრდით და ბოლომდე მეგობრებად დავრჩით. 1992 წლის ზაფხულში აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭო შეიქმნა. ერთ-ერთ სხდომაზე იგი ბორის კაკუბავამ მოიყვანა და მისი საბჭოში მიღება ითხოვა. სწორედ ამ საბჭოს ინიციატივით შეიქმნა აფხაზეთში პირველი სამხედრო შენაერთი, რომელსაც მაშინვე სათავე-

ში სოსო ახალაია ჩაუდგა. ერთ-ერთი მეთაური ამ შენაერთისა ბატონი გენო ადამიაც იყო. ამჟაყვაში მას ყველა იცნობდა და პატივს სცემდა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ 23-ე ბრიგადა ჩამოყალიბდა და იგი ჩაუდგა მას სათავეში. ახალგაზრდები მისი სიყვარულითა და პატივისცემით მიდიოდნენ ამ ბრიგადაში და ეწერებოდნენ. როდესაც მე აფხაზეთის განათლების მინისტრად დამნიშნეს, უფრო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს მინისტრთა საბჭოს თათბირებზე... ხშირად მიხდებოდა სხვადასხვა საკითხებზე გამოსვლა და ცხარე კამათში მონაწილეობა. იგი ყოველთვის მხარს მიჭერდა და მაგულიანებდა კიდეც. - სიმართლე ხმალივით არის, - მითხრა ერთხელ - იგი მჭრელია, ოღონდაც გაბედული მოქნევა უნდა". ერთ-ერთ თათბირზე ცხარე კამათში გამოვედი, ვთქვი, რომ ჩვენს სამხედრო შენაერთებში არ იყო დისციპლინა, ერთიანობა, არ მოქმედებდა სამხედრო ტრიბუნალი და სამხედრო სასამართლო. არ ხდებოდა სამხედრო დამნაშავეთა გასამართლება. მოქმედებდა ომის პირობებისათვის აუცილებელი სამხედრო მექანიზმი, რითაც, თითქოსდა საგანგებოდ ხდებოდა საᲗხედრო დამნაშავეთა ხელშეწყობა და წაქეზება. ისიც აღვნიშნე, რომ სამხედრო მე-

თაურთა შორის ცოტა იყო პროფესიონალი. ეს ჩემი შენიშვნა რატომღაც გულზე მოხვდა გენო ადამიას და იქვე გამომეკამათა, მთავარი პროფესიონალიზმი (გული არისო, გული, ვის როგორ უყვარს სამშობლოო. პროფესიონალიზმი არც გულს გამორიცხავს და არც სამშობლოს სიყვარულს - თქო;) - არც მე დავუთმე და ისიც დავაყოლე, რომ თქვენ სრულიადაც არ მყავხართ მხედველობაში - მეთქი. არ დამიჯერა და ჩვენი მეგობრული დამოკიდებულება რამდენადმე გაცივდა. ერთერთ თათბირზე ისიც მითხრა, სიმართლის თქმა გიყვარს, მაგრამ სიმართლეს ბოლომდე არც შენ ლაპარაკობო. რა გაქვს მხედველობაში - მეთქი? რა და, იმ შენს მეგობარს 206 კაცი რომ ჰყავს და ფრონტის წინა ხაზზე არ გადის, რატომ არაფერს ეუბნებიო. მე გამეცინა და მივუგე, რა იცი, რომ არ ვეუბნები - თქო?!. მართლაც, მე და გივი მეშველიანი მესამე დღეს მივედით იმ მეგობართან. სამხედრო შენაერთი შევუმოწმეთ და რომ იძახოდა, სამასი კაცი მყავსო, 100-მდე კაცი ვერ დაგვახვედრა. და ისიც ვუთხარით, აქ პარკში ნუ ასეირნებ ამ შენს მებრძოლებს, ბრძოლაში გაიყვანეთ! და მართლაც, მალე გაიყვანა წინა ხაზზე და თვითონაც დაიჭრა კიდეც. ერთხელ ლიფტში შევხვდი გენოს, ჯერ ცი-

ვად ჩამომართვა ხელი, მერე ამხედ-დამხედა, გაიცინა და გადამეხვია. ასე დამთავრდა ჩვენი ბუტიაობა. ერთხელ, რამოდენიმე მინისტრი, გივი მეშველიანი და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი ბატონი ვახტანგ ფრუიძე გენო ადამიასთან მივედით ბრიგადის შტაბში. მისაღებში მისი დაცვა იდგა და გვითხრეს, ვიღაც სამხედრო ჰყავს კაბინეტში და ცოტა ხანს მოიცადეთო. ჩვენც კარგა ხანს ვიცადეთ, მაგრამ ის ვიღაცა არ იქნა და არ გამოეტია კაბინეტიდან, ჩვენ კი მისმა დაცვამ კაბინეტში არ შეგვიშვა. მაშინ მე გავბრაზდი და დავუცაცხანე ჩემს მეგობრებს, რას ვდგევართ აქ და ველოდებით ამდენი ხანი, თავმოყვარეობა მთლად დაგვიკარგავს თქო და მისაღები დავტოვე, სხვებმაც მე მომბაძეს და წამოვედით კორპუსიდან მინისტრთა საბჭოში. კაბინეტში არ ვიყავი შესული, რომ ბატონი გენო დამეწია, გადამეხვია და ბოდიში ერთი ხუთჯერ მომიხადა, დაცვამ გვიან მომახსენა თქვენი იქ ყოფნაო და ჩემი ბრალი არ არისო. მეც მაშინვე მომილბა გული და შევურიგდი. რამდენჯერ გავიდოდი ფრონტის წინა ხაზზე, თითქმის იქ ყოველთვის ვხვდებოდი ბატონ გენოს. უყვარდა მეომრებთან წინა ხაზზე გასვლა. სადაც ბრძოლა გაძნელდებოდა, თვი-

თონ მონაწილეობდა ბრძოლაში. ბოლოს მისი ავადმყოფობის შესახებ მესმოდა, რამდენჯერმე ისიც გავიგონე, რომ საწვეთურებს იყენებდა, შემდეგ დგებოდა და წინა ხაზზე გადიოდა.

ერთხელ საქართველოს რესპუბლიკის სხდომაზე, სადაც აფხაზეთის საკითხი იხილებოდა, სიტყვით გამოვედი და პაატა დათუაშვილი გავაკრიტიკე, მაგას რომ ვხედავ, თვალწინ გაგრის ტრაგედია მიდგას და მეშინია იგივე ტრაგედია დათუაშვილმა სოხუმსაც არ დააწიოს-მეთქი. დათუაშვილი შემხვდა თამაზ ნადარეიშვილის კაბინეტში და დამეტაკა, ჩემი მოხსნა გინდა და ჩემს ადგილზე ვის ნიშნავო? მე ვუთხარი, ხოლო ვინც შეგცვლის ეს მთავრობის მეთაურის საქმეა. როცა 1992 წლის 15-16 მარტის შეტევა მოვიგერიეთ გუმისთასთან და სოფელ შრომასთან, რამოდენიმე დღის შემდეგ ამჟაყვაში ერთ-ერთი მეგობრის სახლში სუფრასთან შევხვდი პაატა დათუაშვილს, გენო ადამიას და სამხედრო ხელმძღვანელობას. სუფრის თამადა მე ვიყავი და შევაქე გადახდილი ბრძოლებისა და იერიშის მოგერიებისათვის სამხედრო ხელმძღვანელობა. გენოს გაეხარდა. დათუაშვილიც შემირიგდა. მაგრამ ჩემი სიტყვა მაინც გამართლდა და გა-

გრის ტრაგედია, სამწუხაროდ, 1993 წლის სექტემბერში სოხუმშიაც განმეორდა. ომის პერიოდში რამოდენიმე შემთხვევა იყო, რომ სუფრასთან შევხვდი გენო ადამიას, მაგრამ არასოდეს ერთი წვეთი სასმელიც კი არ დაულევია. სოხუმის დაცემის ბოლო დღეებში ხშირად ვხვდებოდი გენო ადამიას, ყოველთვის სუფთად ჩაცმულ-დახურული და გაპარსული, ამ ბოლო დღეებში გაუპარსავი იყო და სახე მიტკლისფერი და გაფითრებული ჰქონდა. სოხუმის დაცემის ორი თუ სამი დღით ადრე ისევ მინისტრთა საბჭოს ლიფტში შევხვდი. გადამეხვია და გადამკოცნა. სახეზე მივაცქერდი და შევნიშნე, უჩვეულოდ გაფითრებული და დაღლილ-დაქანცული სახე ჰქონდა. მაინც ვკითხე, ბატონო გენო, როგორ ხარ-თქო?!. შემომხედა, სევდიანად გაიღიმა და მითხრა: „ბატონო ჯანო, ნეტავ ცოცხალი სულაც არ ვიყო და მომკლა, რა კარგი იქნებაო". ცუდად მეშინია, ასეთი სევდიანი ეღერადობა მის ყოველთვის იმედიან ხმაში. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი და საბედისწერო შეხვედრა. მისი დაღუპვის ამბავი ჭუბერის უღელტეხილზე გავიგე. გენო ერთ-ერთი ის პიროვნება იყო რომელიც ჩვენთან, ეროვნულ საბჭოსთან ერთად წინააღმდეგი იყო ჩვენი ჯარების განიარაღებისა და მძიმე

ტექნიკის გატანისა აფხაზეთიდან. პირდაპირ ხელჩართული ბრძოლები ჰქონდათ ბატონ გენოს და დათო გულუას განიარაღების მომხრეებთან. გაიმახოდნენ, - აფხაზების ნდობა არ შეიძლებაო, ისინი, როგორც ყოველთვის, ამ სოჭის 27 ივნისის ხელშეკრულებასაც დაარღვევენო. მათთან ერთად მეც წინააღმდეგი ვიყავი ჩვენი ჯარების განიარაღებისა და მძიმე საბრძოლო ტექნიკის აფხაზეთიდან გატანისა. მაგრამ ვაჟბატონი პასტუხოვი პირდაპირ აცხადებდა, თუ ხელს არ მოაწერთ ხელშეკრულებას, ქალაქი ფერფლად იქცევა და სისხლში მოგიხდებათ ცურვაო და ასედაც მოხდა - თუმცა ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ.

***

სულში დამიზნებული, მოწამლული ისარი.

უცხო თესლი.

უცხო სალოცავი და რწმენა.

ამ ომის უმთავრესი წარმმართველი ძალა.

შეგინებული ჯვარი.

ადრეც ასე იყო - ქრისტეს წამებამდე.

ჯვარი ადამიანის საბოლოო განწირვის უსაშინელესი სიმბოლო გახლდათ. ამ ჯვარზე ჩვენი მიწიერი ცოდვების გამოსახსნე-

ლად ეწამა და ევნო ძე ღვთისა. ასე იხსნა მან კაცობრიობა ჯოჯოხეთის სატანჯველისაგან და მარადიული სიკვდილისაგან. მისი გრძნეული შუქით გაიპობა ქართული მიწაც. იგი გახდა სასოების მიმცემი და უდიდესი სალოცავი. ჯვარის ტარება და პირჯვრის გადაწერა. ქრისტიანული მრწამსი - ანთებული სანთელი. სანთლის უარყოფა? წმიდათაწმიდა ნიშანი ღვთიური დიდებისა. და იგი იყო სანთელი აღნთებული და საჩინო; ხოლო თქვენ ინებეთ ჟამ-ერთ სიხარული ნათელსა მისსა...

... მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისა!

***

უცნაური ფერისაა ზღვა.

ძლივს შესამჩნევად ქანაობს მისი ზედაპირი.

ბიჭები დაზვერვიდან ბრუნდებიან - ტყვე მოჰყავთ.

ორმა გაწრიპულმა ბიჭმა წითური დევი „აიყვანა".

მზე საშუადღეოზე დგას. მაგრამ არ ცხელა. წითურა დევს იარალით ამაგრებენ.

გენო ბიძია!

გენო ბიძია!

ეს მას უხმობენ.

დგება.

- არა გაქვთ უფლება! - ღრიალებს წითურა დევი.

უმალ ირკვევა საქმის ვითარება.

ტყვე - ჩეჩენია.

- რა გინდა აქ? - ეკითხება გენო.

- როგორ თუ რა მინდა? ჩემს ძმებს ვეხმარები...

- შენს ძმებს?

- ჰო, აფხაზებს...

- ქართველებს რატომ არ ეხმარები?

- რა მესაქმება ქრისტიანთან?

***

უცნაური ფერისაა ზღვა.

ძლივს შესამჩნევად ქანაობს მისი ზედაპირი.

ეს მოჩვენებითი სიჩუმეა. იგი ხარბად ისრუტავს ამ სიჩუმეს.

ერთი რამ უმალ ენიშნა - თოლიები აღარ ჩანან.

ცაზე - გახლეჩილი ჭურვების გვირილები.

სიჩუმე ფიქრს აღძრავს.

ახლა მან იცის, - ომი დიდიხანია დაიწყო. ჩუმად, შეფარვით, როცა ასე ზანტად მოირ-

ხეოდა ზღვა.

აფხაზეთი რეიდზე მდგარ ხომალდს ჰგავდა...

მკვდარი ზიბი! - აი, რა ვერ გაითვალისწინეს ამ ხომალდის მესაჭეებმა - არის ზღვაოსანთა ამგვარი ტერმინი - როცა ზღვა საოცრად მშვიდია, და უშფოთველი; როცა ნიავის რხევაც არ იგრძნობა - აი, სწორედ მაშინ შეუმჩნევლად შეაქანებ გემს, შეუძლებელია არ მოგეწუროს გული, თითქოს შენს შიგნით რაღაც გაწყდა და უხილავი ძალა კატასტროფისაკენ მიგაქანებს...

გარეგნულად კი არაფერი ჩანს...

ზღვა საოცრად ლურჯია და მშვიდი.

ასე იყო ეს ომიც. იგი დიდიხანია დაიწყო. ჩუმად, შეპარვით, შეუმჩნევლად. ჰო, არის აშკარა ომი. არის ფარულიც. ძნელია ასახვა მისი მრავალსახეობისა.. ამათგან რომელია ყველაზე სახიფათო? ამის მისახვედრად ტვინის ჭყლეტა არ გჭირდება. გამოცხადებული ომის დროს ყველაფერი გარკვეულია. გესვრიან. ტყვიას გიშენენ. იძულებული ხარ თავი დაიცვა. ფარული ომის დროს კი... მოჩვენებითი სიმშვიდეა. არ ისმის ტყვიათა ზუზუნი. არ ისმის მუქარა. არც მის გამძვინვარებულ სახეს ხედავ. პირიქით - გიღიმის კიდეც. იგი საგულდაგულოდ მალავს

ზურგში ჩასაცემ მახვილს. სანამ ამ მახვილს შეამჩნევდე, გაიხედავ და უკვე მოუსწრია თავისი ავი განზრახვის აღსრულება. ამ ღიმილსა და ალერსში მოწამლული ისრები ჩამოურიგებია. მაგრამ იგი ჯერ არ აპირებს ფიზიკურ განადგურებას. მიზანი - ერის სულიერი მოკვდინება. მაშინ თითქოს გამოილანდა ასეთი ომის კონტურები. ეს იყო რელიგიური ომი. იგი დიდიხანია საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიწყო და მერე, თავადაც ვერ მივხვდით, როგორ თანადათან გადმოინაცვლა ჩვენს მიწაზე...

მართლაც!

გამოაცალე საქართველოს ქრისტიანობა და უმალ ჩაკვდება მისი მაცოცხლებელი სულიერი მუხტი.

სულში დამიზნებული, მოწამლული ისარი.

ახლა ფიზიკური განადგურების დრო დადგა.

გენომ იცის, რასაც უხდიან „ძმებს" ამ დახმარებისათვის...

***

ლერა ადამია: 16 სექტემბერი - შტაბის ეზოში ნაღმი აფეთქდა - თითქოს ცა ჩამოინგრა. „ლერა დეიდა, დაწექი!" - ყვირო-

დნენ ბიჭები, რომლებმაც სახლიდან წამომიყვანეს გენოსთან შესახვედრად. მათთან ერთად ჩემი უმცროსი ვაჟიც იყო. სიბნელეში დამეკარგა, მისი ხმა აღარ მესმოდა. ჩემი კივილი ცას წვდებოდა, ყველაფერი ზანზარებდა, საშინელი სიბნელე იყო. ნაღმების ელვის შუქზე ვერაფერი გავარჩიე. როცა გონს მოვედი, შტაბის შენობაში შეღწეულს თავზე ჩემი მეუღლე მადგა. იქვე, გვერდით, ბატონი ედუარდი შევამჩნიე, რომელიც ამ საშინელებას გაფითრებული სახით შესცქეროდა. რას ვიფიქრებდი, რომ ეს იქნებოდა ჩვენი ერთად ყოფნის უკანასკნელი დღე. რომ 37 წლის ერთად ცხოვრებას წერტილი დაესმებოდა. ცოტა მაინც მოვასწარით საუბარი ერთმანეთთან. რა დამავიწყებს მის სიტყვებს: „მე უკმაყოფილო ვარ ცხოვრებისა. ბევრი რამ, რისი გაკეთებაც შემეძლო და მინდოდა, ვერ მოვასწარი. ყველაზე მეტად სინანულის გრძნობა თანმყვება იმისა, რომ შენ, შვილებს, ოჯახს საჭირო სითბო დაგაკელით“. მის დასამშვიდებლად რაღაცის თქმა დავაპირე, უმალ შემაწყვეტინა, „ნუ მეტყვი ნურაფერს, ეს ასეა. ეს მე არ მომასვენებს, არც ცოცხალს, არც - მკვდარს”. ამ ნათქვამს ისეთი წერტილი დაუსვა, ვიგრძენი ზედმეტი იქნებოდა პასუხის გაცემა, მხოლოდ დუმი-

ლით და რამდენიმე წუთის პაუზით დამთავრდა ყველაფერი. გენომ თავზე ხელი გადამისვა და თვალები დაენამა.

როგორი იყო გენო ადამია - აწ განსვენებული ჩემი მეუღლის შესახებ, რა დამილევს მოგონებებს, მითუმეტეს არც ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ. ყველაფერი ჯერ კიდევ თვალწინ მიტრიალებს.

მიცვალებულზე ცუდს არ ლაპარაკობენ, ყოველთვის კარგად მოიხსენიებენ. მაგრამ მე მინდა გადაუჭარბებლად გავიხსენო ის ჭეშმარიტება, რაც სინამდვილეში მოხდა. ამ ჭეშმარიტების ნაწილს კი გაიხსენებენ მასთან ახლოს მდგომი მეგობრები, თანამებრძოლები, კოლეგები, ვისთანაც იხარჯებოდა გენოს მოზღვავებული ენერგია ჭირსა თუ ლხინში, სამსახურებრივ საქმიანობაში, ბრძოლაში, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულში, მის თავდადებულ შემართებაში. განსაკუთრებით კი მისი სოხუმი, ხატივით სალოცავი ქალაქისათვის უკანასკნელი სისხლის წვეთის გაღებაში. ვაი, რომ ვერ დაიხარჯა ბოლომდის.

მე ჩვენს ურთიერთობაში, შინაურული ყოფის მოგონებებში თუ გავიხსენებ მის ცხოვრებას. გენო იყო მკაცრი და მომთხოვნი ყველას მიმართ. იგი ყველაზე უფრო ვერ იტანდა სიცრუეს, რისი პატიებაც არ შეეძლო, იტყოდა ხო-

ლმე, „ოღონდ ტყუილი არ თქვას კაცმა, არ იცრუოს და სხვა დანარჩენს, ყველაფერს ეშველებაო". ასეც იყო. არ არსებობდა სიტუაცია, რომ მას გამოსავალი არ ეპოვა. ბევრი ახალგაზრდა დაუყენებია გზაზე. შეიძლება ითქვას - ჩვენს ოჯახში აღიზარდნენ ისეთი ახალგაზრდები, რომლებითაც, ვამაყობ ჩემს შვილებთან ერთად. ბევრი მათგანი დაეცა აფხაზეთის ომში.

გენოს თავდავიწყებით უყვარდა სპორტი და დიდ ყურადღებას აქცევდა პერსპექტიულ ახალგაზრდებს. მათთვის არაფერს იშურებდა. ცდილობდა მათთან ახლოს ყოფილიყო, დაყვებოდა შეჯიბრებებზე, ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათ. როცა შედეგს აღწევდა სპორტსმენი, იგი სიხარულს ვერ ფარავდა. ეს იყო მისი ერთ-ერთი ბედნიერება. ახალგაზრდებიც უბრუნებდნენ ამ სიყვარულს, მშობელში არ გამოერჩეოდათ, ჩემი ვაჟი - გოჩაც მოჭიდავე იყო და ალბათ, წარმოიდგენთ, თუ როგორი განცდების ქვეშ იყო იგი თავისი შვილის წარმატების თუ წარუმატებლობის შემთხვევაში.

გენოს უყვარდა ხელოვნება. მოუცლელობის მიუხედავად, მაინც ცდილობდა არ გამორჩენოდა ესა თუ ის სპექტაკლი, ფილმი, წიგნი... განსაკუთრებით მაშინ გახსნიდა

გულს, როცა ჩემი ძმა ჩამოვიდოდა ხოლმე სოხუმში. გენოს ეამაყებოდა, რომ ჩემი ძმა თენგიზ ჩანტლაძის თეატრში მუშაობდა. - თენგიზის პარტნიორი იყო სცენაზე. მას ძალიან მოსწონდა თენგიზ ჩანტლაძე. გენოს შვილების მიმართ განსაკუთრებული მიდგომა ჰქონდა. მკაცრი იყო. თვითონ შრომის ფასი იცოდა და უნდოდა შვილებსაც ჰქონოდა ეს ღირსება. უყვარდა ეზოში ფუსფუსი. მუშაობა. ყველას დაგვასაქმებდა. უმცროს ვაჟს სწავლასთან პარალელურად სამსახური გამოუნახა და ფიზიკურად ამუშავებდა. ეს სიმკაცრე და შეუბრალებლობა არაა, მას თავისი მეთოდები ჰქონდა ახალგაზრდების გამოწრთობისა. ამის მომსწრე ბედნიერი დედა ვიყავი და ვარ დღესაც. შვილები მხარში ედგნენ მამას და ტოლებისაგან არ გამოირჩეოდნენ არავითარი პრივილეგიებით. აფხაზეთის ბრძოლების დროს შვილებს არავითარი შეღავათი არ ჰქონიათ, პირიქით, მათგან უფრო მეტის მომთხოვნი და პუნქტუალური იყო იგი. ეს იციან მისმა თანამებრძოლებმა და ამის მტკიცება ზედმეტად მიმაჩნია. სამი შვილიშვილი გვყავს, სამივე ვაჟი. ნატრობდა - ერთი ქალიშვილია საჭირო და ღმერთი მომასწრებსო. მოესწრო კიდეც, მაგრამ... გენო ისე წავიდა ამ ქვეყნი-

დან, რომ მის ნახვას ვერ ელირსა, ვერ მოიცალა, რომ ერთხელ მაინც მოფერებოდა ნანატრ პატარა ეკას. სიტყვას, „ვერ მოიცალა", განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი, ვინაიდან გენოს ნათქვამისათვის „სითბო დაგაკელითო", ეკას უნახაობა უდევს საფუძვლად. ეხლა კი პატარა ეკა სულ მალე ბაბუას საფლავზე პირველად მიიტანს ყვავილებს... ვერ მოიცალა! დიახ, ვერ მოიცალა გენომ იმიტომ, რომ იგი საერთო საქმეს ოჯახზე მაღლა აყენებდა. არასოდეს ვიყავით ლაღად და განებივრებული. ელემენტარული ცხოვრების პირობებიც კი არ გვქონდა, მაგრამ არასოდეს არ დამიწუწუნია, რადგანაც ვხედავდი, როგორი კმაყოფილი იყო, როცა სხვას უკეთებდა სიკეთეს. თავის საქმეს გადადებდა და მე კი მაიმედებდა: „გავაკეთებთ, ყველაფერს მოესწრები, ნუ გეშინია, დრო ჩვენს ხელთ არ არისო?" ამ იმედით ვცხოვრობდით. მთავარი ის კი არაა, როგორი კომფორტით იცხოვრებ, როგორ მოიხვეჭ ავტორიტეტს, არამედ მთავარია, როგორ შეგიძლია დაეხმარო ადამიანს. სუფთა იყო შენი სინდისის წინაშე. ასე ცხოვრობდა გენო ადამია და ჩვენ მასთან ერთად, მთელი ოჯახი. და ბოლოს - 27 სექტემბერი. უკანასკნელი ზარი. „მე მივდივარ საქმეზე

და მალე დავბრუნდები. უფროსი ვაჟი - ელ-
გუჯა არ ჩანდა, მეორე ვაჟი - გოჩა დაჭრი-
ლი, თბილისის საავადმყოფოში იწვა. ქალი-
შვილი თავისი პატარა ეკათი და მეუღლით
მოსკოვში მეგობარს ჰყავდა შეფარებული.
სოხუმი დაეცა. ორი დღის შემდეგ უფროსი
ვაჟი ჩამოვიდა, გენო კი არ ჩანდა. მე ვგრძ-
ნობდი, რომ სოხუმის დაცემა გენოს დასას-
რულიც იყო. იგი ვერ გადაიტანდა ამ ამბავს,
მაგრამ იმედის ნაპერწკალი მაინც ბჟუტა-
ვდა. ათასი მითქმა-მოთქმა კიდევ მაფიქრე-
ბინებდა - იქნებ ჯერ კიდევ ყველაფერი არ
დასრულებულა. მაგრამ ამაოდ, ის იმედის
ნაპერწკალიც ჩაქრა და ყველაფერი დასრუ-
ლდა. აფხაზეთის ომის დაწყების დღიდან
თითქმის ორი წლის განმავლობაში ერთი
ღამეც არ გაუთენებია გენოს სახლში. ჩემი
ვაჟები მოდიოდნენ, დროდადრო მომაკითხა-
ვდნენ, თვითონ კი იშვიათად გამონახავდა
ამისათვის დროს. რამდენიმე წუთით თუ შე-
მოირბენდა სახლში. ვიყავი მარტო, მეზობ-
ლების იმედით. მათ ვუზიარებდი მოახლო-
ებულ განსაცდელს. მე არ შემეძლო მიმე-
ტოვებინა ოჯახი, ქმარ-შვილი და წავსული-
ყავი სოხუმიდან. ბოლომდე ვიყავი სოხუ-
მში. ჩემი ვაჟები იბრძოდნენ. უმცროსი ვა-
ჟი გოჩა მამასთან ერთად იბრძოდა. უფრო-

სი ᲒᲘᲟᲘ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ მთავარი ექიმი იყო აგუძერაში და დღე და ღამეს ასწორებდა. ერთხელ გენომ შემოირბინა სახლში და მითხრა: „ბიჭს (გოჩას) უთხარი, ჩემგან წავიდეს და სხვა ბრიგადაში იბრძოლოს, მე ხელი მეშლებაო, შვილია და არავინ იფიქროს, სხვაზე მეტად უფრთხილდება მამამისიო". მე. რა თქმა უნდა ვუთხარი ეს გოჩას. მან კი ასე მიპასუხა: „მე მამას ვერ მივატოვებ, რომ დაიჭრას ან რაიმე მოხდეს, მასთან ახლოს უნდა ვიყო და მივეშველო". რა უნდა მექნა?... ამის შემდეგ მამა და შვილი ერთ-ერთ ბრძოლაში ერთად დაიჭრნენ. ბიჭი მძიმედ იყო დაჭრილი. გენომ ჰოსპიტალში ჭრილობაზე თავის შვილთან გაიკეთა შეხვევა და ისევ უკან გაბრუნდა. ინფარქტი ორჯერ ჰქონდა გადატანილი და მაინც არ ეპუებოდა არაფერს. ამბობდა - აქ ყველა ჩემი შვილია და სამშობლოსთვის ყველამ ერთნაირად უნდა გაიღოს ხარკიო. ასეც იყო. სხვისგან ამის გაგება მე არ მჭირდებოდა. მე ეს კარგად ვიცოდი, რადგან ჩემზე უკეთესად გენოს ბუნება და უანგარობა ვინ იცოდა?! ხანდახან გამეხუმრებოდა, - არ გეშინია, აქ მარტო რომ ხარ, მძინარეს ბომბი რომ დაგეცესო. მაგრამ მე იქიდან წამსვლელი რომ არ ვიყავი, ისიც იცოდა. ამიტომ ამის შესახებ სიტყვას არ გააგრძელებდა.

ერთხელ მცირე ხნით გავემგზავრე მოსკოვში ჩემი ქალიშვილის სანახავად. გენოს გზად სახლში შემოუვლია და მეზობლებისათვის გაუმჟღავნებია, თუ როგორ დავაკლდი, და როგორ განიცდიდა უჩემობას. როცა ჩამოვედი, ის უკმარისობა, რასაც ჩემი არყოფნის დროს განიცდიდა, მეც მითხრა - ახლა უკეთესად ვგრძნობ თავს, როცა აქ მეგულებიო.

ჩვენს სახლს ნაღმი დაეცა და ნაწილი ჩამოინგრა. გენოს დავურეკე აღელვებულმა. მან მიპასუხა: „შენ რა მშიშარა ყოფილხარ, აბა, რა გეგონა, ისვრიან იქიდანაც, აქ რა არის გასაკვირიო" ეს ნახევრად ხუმრობით იყო ნათქვამი. იმის შემდეგ თავს ვიკავებდი და ტელეფონით აღარ ვუკავშირდებოდი. თავისი ბიჭებისთვის უთქვამს: თქვენს დეიდა ლერას კარგახანია აღარ დაურეკავს და მართლა ხომ არაფერი მოუვიდა, გაიგეთო!

მასთან შტაბში მოვხვდი. ჟიულის დაბადების დღე ახლოვდებოდა. გენომ უთხრა, მე შენთვის რაღაც საჩუქარი მაქვს და მინდა მოგართვაო. ჟიულიმ უპასუხა: „ეჰ გენო, ეხლა მაგის დრო და ხალისი არ არის და თუკი საქმე კარგად წავიდა, ჩემი დაბადების დღეზე შენი საჩუქარი ჩემთვის დიდი სიამოვნება იქნებაო. მე წავიღე სახლში ის საჩუქარი. სათუთად ვინახავდი. ვაი, რომ ვერ მოესწრნენ

ამ სიამოვნებას და საჩუქართან ერთად ამ ღვთისნიერი ადამიანების სიცოცხლეც დარჩა სოხუმში.

ხანდახან ვიდეოკასეტას ჩავრთავ. იგი აფხაზეთიდან ჩამომიტანეს. გენო მაშინ ცოცხალი იყო, ახლაც ცოცხალივით ვხედავ. ოდესმე ვინმე თავგაძოდებული და მადლიანი რეჟისორი მაინც შეეცდება თავი მოუყაროს ამ ეპიზოდებს. ყოველი კადრი - საკუთარი სიცოცხლის ფასად. ასე მესახება გურამ გორელიშვილის აფხაზური მონაკვეთი. განუმეორებელი გმირობა! თავდადება! მე ვხედავ მას კადრს იქით - უჩინარ რაინდს, რომელმაც შემოგვინახა გენო ადამიას სახე. ვხედავ, როგორ მიჰყვება იგი დანაღმულ ბილიკებს, ცეცხლმოდებულ სახლებს, ყუმბარების გაუთავებელ გუგუნში, ადამიანის სასიკვდილო ამოძახილსა და წყევლას იქით უნდა შეიგრძნო ხვალინდელი დღის მოახლოება. შეიგრძნო თავგანწირვის არსი. თაობათა შორის რაღაც გაწყდა, რაღაც გაიხლიჩა და მოულოდნელად მივხვდით, რაოდენი დიდი ზღვარი იყო მამებსა და შვილებს შორის. ეს ომმა დაგვანახვა. ამბობენ, ომს სახე არა აქვსო. ამ ომს ჰქონდა სახე. ჩვენი პატარა ბიჭების სახე. მათი მოციციმე ღიმილის ჩერიდან იცქირება გენო ადამია. მე ვგრძნობ,

ეს გულღიმილა, მაგრამ სულის უკანასკნელ ფორამდე სევდიანი კაცი, როგორ ცდილობდა ამ ძეწკვის გამრთელებას. ომი არავინ იცოდა, არც გენო ადამიამ იცოდა. მაგრამ იყო შორეული, მძიმე ბავშვობა, სადაც ომის მცნება სადღაც ქვეყნის დასალიერეთიდან მოსული სამკუთხა ბარათებითა და უმამაკაცებოდ დარჩენილი ოჯახებით შემოიფარგლებოდა. თავისი ცხოვრების წყობით, გენო ადამიას არ უნდა აეღო იარაღი.

***

ლუდა სალია: ბატონ გენოზე რაიმეს თქმა ძნელიცაა და ადვილიც. ის იმედად და რწმენად ედგა აფხაზეთს, თავის სახლს. ჯიხასავით ძლიერად იდგა და გვეამაყებოდა... მისი დაღუპვაც სიმბოლური იყო. სოხუმის დაცემასთან ერთად წერტილი დაესვა მის სიცოცხლეს. თითქოს მის ნაიარევ გულში გადიოდა აფხაზეთის სასიცოცხლო არტერია. შემზარავი იყო ეს ამბავი, ისედაც გაოგნებულებს წებელდის გზაზე რომ წამოგვეწია, არცერთი წვეთი ცრემლი არ წამომსვლია. მაშინ მივხვდი, ძლიერი მწუხარება ცრემლით რომ არ იზომება.

გენო ადამია რომ გავიცანი, ახალბედა მედდა ვიყავი. იდგა 1979 წელი. სამტრედიელი

აბესალომ მანჯგალაძე თავის ოჯახთან ერთად ბიჭვინთის გზაზე ავტოკატასტროფაში მოხვდა და ჩვენს საავადმყოფოში მოათავსეს. გენოს ახლობლები აღმოჩნდნენ. აბესალომი უკვე ხანდაზმული იყო, თანაც ცალფეხა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში. მხსნელად და პატრონად გენო მოევლინა. ექიმები ფეხზე დააყენა - აბესალომს შეუნარჩუნეს სიცოცხლე. აქედან დამამახსოვრდა ბატონი გენო. მე მაშინ თითქმის ბავშვი ვიყავი. მახსოვს თქვა, - ჩემი უფროსი ვაჟიც საექიმოზე სწავლობსო. (აბა, ვინ იფიქრებდა, რომ გავიდოდა რამოდენიმე წელი, იქნებოდა ომი და მისი ვაჟი ელგუჯა ადამია სოხუმის გარნიზონის სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი ექიმი გახდებოდა, მე კი ამ ჰოსპიტლის მთავარი მედდა). ბატონი გენო - ქალაქის კოლორიტი. დახვეწილი მანერებით, რაინდული თვისებებით, საოცარი სითბოთი და ყურადღებიანობით მთელს სამედიცინო პერსონალს ატყვევებდა. როგორც კი გამოჩნდებოდა, მაშინვე ატყდებოდა თეთრხალათიანი ქალების ჩურჩული, სიოსავით რომ გადაუვლიდა განყოფილებას: გენო ადამია მოვიდა, გენო!.. და ქათქათა ხალათიანი მედდები საბაბს ეძებდნენ პალატაში შესასვლელად, რომ უფრო ახლოს ენახათ და გაეცნოთ იგი. მე მა-

შინ ამაზე ყურადღება არ გამიმახვილებია, ყოველივე ეს სუსტი სქესის ზედმეტ ცნობისმოყვარეობად თუ მიმაჩნდა. გენო მაშინ 42 წლისა თუ იქნებოდა. მართლაც, საოცრად მოხდენილი, ყოველთვის ლამაზად და გემოვნებით ჩაცმული მოდიოდა.

წლები გადიოდა. გენოს შორიდან თუ მოვკრავდი თვალს სადმე ქალაქში, ან თეატრში, უფრო პრემიერებზე. ვიცოდით, - გული აწუხებდა. მერე ქალაქში ხმა დაირხა, გენო ამერიკაში წავიდა და გაიკეთა გულის რთული ოპერაციაო.

მერე, მართლაც გამოჩნდა ჩვენს საავადმყოფოში, უკვე პროფილაქტიკის მიზნით დადიოდა სისხლ-ძარღვთა ქირურგიულ განყოფილებაში კონსულტაციებზე (გივი ღვინჯილიასთან, მისი ახლო მეგობარი იყო).

აქაც - გამოჩნდებოდა თუ არა, მთელი მედპერსონალის ყურადღების ცენტრში ექცეოდა. თვითონაც ყურადღებიანი და გულისხმიერი იყო ყველას მიმართ (საოცარი მეხსიერება ჰქონდა).

დრო გადიოდა. მერე იყო ეროვნული მოძრაობის გამოღვიძება, გენოს ინიციატივით შექმნილი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქომაგი", (რომელმაც ბევრი კარგი საქმე გააკეთა. თუნდაც, 1989 წლის ივლისის შეტა-

კებების დროს დარბეული და დამწვარი პირველი საშუალო სკოლის აღდგენა). შემდეგ კიდევ თურქი მესხების მოძალება ფსოუს საზღვართან - გენო ადამია ერთ-ერთი პირველთაგანი დაუხვდა მათ სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად. მერე კი აფხაზეთი - ცრემლებითა და მოურჩენელი ტკივილით სავსე.

და ბატონი გენო 23-ე ბრიგადის მეთაური.

მე კი, 23-ე ბრიგადის სამედიცინო სამსახურის მედდა. შემდეგ კი სოხუმის გარნიზონის აგუძერის სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი მედდა. ჩვენმა ჰოსპიტალმა (რომელიც ელგუჯა ადამიას თაოსნობითა და ძალისხმევით გაიხსნა) 28 სექტემბრამდე იარსება. გენო ადამიაზე ამ ხნის მანძილზე მოსაგონარი არც თუ ისე ცოტა მაქვს. მოგონებები ტკივილიანი და ცრემლიანია. ომმა და ჩემმა სამსახურმა ძალიან დამაახლოვა ადამიების ოჯახთან. გენოს შეეძლო სულაც არ აეღო იარაღი ხელში, რთულ ოპერაცია გადატანილს და ორჯერ ნაინფარქტარ კაცს, შეეძლო წასულიყო საქართველოს ფარგლებს გარეთ, როგორც ეს ზოგიერთებმა გააკეთეს, მაგრამ გენომ უმძიმესი ტვირთი იტვირთა და საკუთარი სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად.

გაგრის დაცემის შემდეგ ბევრ ჩვენთაგანს. რაღაცნაირი რიდი გაუჩნდა ამ ადამიანის მიმართ, მერე როგორღა გავუსწოროთ თვალი-ო! - გაქცევა-დარჩენის ზღვარზე ნათქვამი სიტყვა იყო ეს. ომი წაგებულია, აფხაზეთი გაყიდულია, მაგრამ ახლა გენოს მიტოვება ღალატის ტოლფასიაო. ასეც იყო - უმეტესობა გენოს ხათრითა და იმედით დარჩა სოხუმში. აფხაზეთის ქართველობამ გვიან აიღო ხელში იარაღი, ზოგი საერთოდ გაერიდა ომს. ზოგ ოჯახიდან თითო მამაკაცი დარჩა საბრძოლველად, ხალხს არ ჰქონდა გათავისებული ამ ომის სიმძიმე. გენოს ოჯახში კი სამი მამაკაცი იყო და სამივე იბრძოდა.

ამასობაში გენოს ჯანმრთელობა ძალიან შეერყა, მაგრამ არ იმჩნევდა. უძილო ღამეები, გაუთავებელი ნერვიულობები, მძიმე ფსიქოლოგიური და ფიზიკური დატვირთვა, პოზიციური ბრძოლები, შეტევების მოგერიება - ეს ყველაფერი მძიმედ დააწვა მის გულს. გენო იმედი იყო ყველა მეომრისათვის, ვინც მას თან ახლდა ბრძოლებში. თანაც (გენოს „ბიჭები" - ასე ეძახდნენ მის ბრიგადას) ყველაზე საშიშ და რთულ პოზიციებზე გადიოდნენ. ბატონი გენო არ იყო კვალიფიცირებული სამხედრო მეომარი, მაგრამ კვალიფიცირებულ სამხედრო ოფიცრებს არაფერში ჩა-

მოუვარდებოდა, ჰქონდა გამჭრიახი გონება, უტყუარი ალღო: სამხედრო ოფიცრები მის აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ბრძოლებში უშიშარი იყო, ბიჭებიც შერჩეული ჰყავდა. თუ შეამჩნევდა რომელიმეს საბრძოლო სამზადისის დროს უგუნებობას, არავითარ შემთხვევაში არ წაიყვანდა პოზიციებზე. საოცარი წინათგრძნობა ჰქონდა. ასე იყო ბესო ჩაჩიბაიას დაღუპვის დღეს. რთულ ოპერაციაზე გავიდნენ. ბატონმა გენომ ბესო ჩაჩიბაია არ წაიყვანა, უფრო სწორად, წინა დღის ნაბრძოლი ბესო დაღლილი იყო. გენომ თქვა, ეგ ისე გათამამებულია ბრძოლით, დღეს სულის მოთქმის საშუალება უნდა მივცეთო. მართლაც, - ისე აპირებდნენ ოპერაციაზე გასვლას, ბესოსთვის არაფერი უთქვამთ. ბრიგადის ბიჭები ერთი-ორი საათის გასულები იყვნენ, როცა ბესო ჩაჩიბაია შტაბის კიბეებზე გამოჩნდა, ლამაზად ჩაცმული, წვერგაპარსული. გაიგო თუ არა, ბიჭები ოპერაციაზე გავიდნენო, კისრისტეხვით ჩაირბინა საფეხურები, მანქანაში ჩაჯდა და გაქრა. მერე ყვებოდნენ, თუ როგორ შემოუერთდა მათ ბესო რთულ და მძიმე წუთებში. ბევრი იბრძოლა იმ დღეს. ბიჭებს ძალიან მძიმე ყოფა ადგათ, (სწორედ მაშინ ბეწვზე გადარჩა გენოს უმცროსი ვაჟიც), ბესომ

ისევ სახიფათო ზონაში შეაღწია და სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა. მის მისაშველებლად წაწეულ პირველ მეომარსაც ბესოს ბედი ეწია. იმ დღეს შვიდი ბიჭი დაიჭრა იმ სნაიპერის ტყვიით. ბესო კი მკვდარი ჩაიგდეს მტრებმა. გამოისყიდეს რამოდენიმე დღეში, - გაცვალეს ცოცხლებში. ბესო რომ გამოასვენეს, არც ძვირფასი „დუბლიონკა" ეცვა და არც ის ოქროს ძეწკვი ეკეთა, ლამაზი ჯვარით - გაეძარცვათ.

ბატონ გენოს მისაღებში ყოველთვის უამრავი ხალხი ირეოდა. ხშირად მიღებაზე მისული ვიცე-პოლკოვნიკი ელგუჯა ადამია თავის რიგს ელოდა გენერალ ადამიას კაბინეტთან.

ერთხელ, მახსოვს, ასეთი შემთხვევაც. ბატონ გენოს მისაღებში უამრავი ხალხი ირეოდა. პირველ რიგში ღებულობდა ბატალიონის მეთაურებს და სამხედრო პირებს, ერთი ახალგაზრდა ქალი დილიდან ევედრებოდა ადიუტანტს, ადამიასთან შემიშვიო. მისი დისშვილი ვარო. ადიუტანტი გაფრთხილებული ჰყავდა გენოს, ნათესავები და ახლობლები საერთოდ არ შეეშვა, ან დღის ბოლოს, თუ დრო დარჩებოდა, მაშინ. ამიტომ ეს ქალბატონიც ყველაზე ბოლოს მოხვდა მიღებაზე. მისი წასვლის შემდეგ გენო გაცოფებული-

ვით გამოვარდა კაბინეტიდან, ძალზე გაგულისებული: ის ქალი ვინ შემოუშვა ჩემთან! - გენო ბიძია, დილიდან მისაღებში იჯდა, მეხვეწებოდა, დისშვილი ვარ და შემიშვი, ძალიან საჭირო საქმეზე ვარ მოსულიო, - უპასუხა ადიუტანტმა.

- ღმერთო დიდებულო, - წამოიძახა გენომ, - და არა მყავს, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, გათხოვება ვერც კი მოასწრო. აბა საიდან უნდა ყოფილიყო ჩემი დისშვილი?!

- ბატონო გენო, ასეთი რა გითხრათ ასე გაავებული.რომ დაგტოვათ - მეთქი, - შევაპარე.

- მაიმუნი! - თქვა გენომ. გაოცებისაგან პირი დავაღე. (გენო იუმორით სავსე კაცი იყო, ზოგჯერ ქარაგმებიც უყვარდა, ვიფიქრე, ალბათ მეხუმრება-მეთქი). რა მთხოვა და მაიმუნი! - გაიმეორა გენომ. - მაკაკა. მაიმუნთასაშენში რომ ჰყავთ, ის მთხოვა, ჩემი პატარა ბიჭისთვის მინდაო....

„როგორ, ბატონო გენო, ქალი ამ ომში იმ სიშორიდან ჩამოვიდა და ბავშვისთვის მაიმუნი გთხოვათ? ვის აქვს ახლა მაიმუნის შენახვის თავი?"

„განა ვერ ვხვდები, რისთვის უნდოდა მაიმუნი, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა? თურქეთში წასაყვანად და გასაყიდად!

დიახ, ასეთი ამბები ხშირად ხდებოდა. როცა ბრძოლით დაღლილი გენერალი კაბინეტს მიაშურებდა, იქაც არავინ ასვენებდა, ზოგი მაიმუნს სთხოვდა და ზოგი თვითონ იყო მაიმუნი. ზოგი კი იმისთვის შეუვარდებოდა კაბინეტში, თურმე შენი ვაჟები გადამალული გყავს რუსეთში და ჩემმა რატომ უნდა გაწიროს თავი შენი გულისთვისო. დიახ, გენოს ხშირად სრულიად დაუმსახურებლად დიდ ტკივილს აყენებდნენ! ისიც ხვდებოდა, რომ ამ ხმებს მტრები უვრცელებდნენ.

გულის ხშირი შეტევები ჰქონდა, აუცილებელი იყო მკურნალობის სრული კურსის ჩატარება. არავითარი საავადმყოფო, დრო არა მაქვს, სამკურნალოდ და დასაწოლად სად მცალია! ბოლოს დიდი ხვეწნა-მუდარით ძლივს დავიყოლიეთ, წვეთოვანები იქ, შტაბში, მოს. სვენებელ ოთახში გვედგა. ლაბორანტები და ექიმები იქ მოგვყავდა, რადგან თვითონ ვერ იცლიდა. ანალიზები ცუდი ჰქონდა, არც კარდიოგრამა იყო სახარბიელო. მე აგუძერის ჰოსპიტლიდან მოვდიოდი, მანქანას თვითონ მიგზავნიდა (ძალიან პუნქტუალური იყო) თანაც ტყუილს სასტიკად ვერ იტანდა. ს ყვარული იცოდა უსაზღვრო და ასევე უს ღვრო სიძულვილიც. საერთოდ, ძალიან რთული და საოცარი პიროვნება იყო.

მასთან ურთიერთობა არ იყო იოლი, არც საუბარი იყო ადვილი. ზედმეტ ან უადგილო სიტყვას ვერ იტყოდი მისი თანდასწრებით, თითოეულ სიტყვას ფხას უსინჯავდა. თუ რაიმე არ მოეწონებოდა, პირში გეტყოდა. ძლიერ მტერთან დაუნდობელი იყო, დამარცხებული მტრის მიმართ კი - მიმტევებელი.

თავის პატარა მოსასვენებელ ოთახში, სადაც წვეთოვანებს ვუდგამდით, 3-4 საათი იწვა. ისმოდა ტელეფონის გაუთავებელი ზარები.

ახლაც თვალწინ მიდგას ტახტზე გულალმა მწოლიარე, მარცხენა ხელში ყურმილი ეჭირა.

- არ გაბედო, დააკავეთ. - ჩასძახოდა იგი ყურმილში, - აფრენის ნება არ მისცეთ, არავითარი „სნგ" - ს ოფიცერი არ ვიცი მე, უთხარით ადამიას ბრძანებაა! ჩემი ბრძანებაა, არც ერთი თვითმფრინავი არავითარ შემთხვევაში არ აფრინდეს დღეს აეროპორტიდან... ეს ვილაცას ტვირთი გააქვს გასაყიდად, ისედაც მშიერი და დაცემის პირას მისული აფხაზეთიდან.

ერთხელ მოსკოვიდან მეგობარმა სოხუმელმა ქართველმა ებრაელმა ჩამოაკითხა. გენო წვეთოვანს იღებდა. ადიუტანტმა თავი შემოჰყო ოთახში და გენერალს მოახსენა, გე-

ნო ბიძია, ილო ჩამოვიდა თქვენს სანახავად და შემოსვლას ითხოვსო. შემოუშვეს. მოიკითხეს ერთმანეთი დიდი სიყვარულით. მერე ილომ მიიხედ-მოიხედა, უხერხულად შეიშმუშნა, მე და ექიმი შეგვათვალიერა. გენო მიხვდა, რაღაცის თქმას აპირებდა ილო და ჩვენი ერიდებოდა. თქვი, ილო, ესენი ჩემი ახლობლებია, ნუ გერიდება, - შეაგულიანა გენომ. ილომ საფულე დააძრო ჯიბიდან, ფულის შეკვრა ამოიღო. ჩემო გენო, დაგენაცვლე, ეს ფული ოჯახს მოახმარე, ვიცი, აქ დალხინებული არ ხარ, ბევრი რამ გაკლია.

გენომ უთხრა: ილო, ამ ოთახიდან რომ გახვალ, მესამე ოთახში ფინანსისტები სხედან, იქ მოიკითხე მოლარე ბიჭი - გულადი, ეს ფული 23-ე ბრიგადას გადაურიცხე შენს სახელზე, შენთვისაც და ჩემთვისაც მეტი სახელი იქნება, ქვითარი გამოართვი და გამომიარეო. ილო გავიდა, ცოტა ხნის მერე ისევ შემოიხედა, ხელში ფულის გადარიცხვის ქვითარი ეჭირა, გამოგვემშვიდობა და წავიდა. ასე იყო ხშირად, გენოს უამრავი მეგობარი ჰყავდა, ისინი დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ 23-ე ბრიგადას.

გენოს ინიციატივითა და დახმარებით, ომის პერიოდში 23-ე ბრიგადამ საკუთარი გაზეთის გამოშვება დაიწყო, რაც კიდევ ერთი გმირო-

ბის ტოლფასი იყო იმ პერიოდისათვის. გაზეთს ერქვა „ჰოროლი". ამ სათაურით გამოვიდა რამოდენიმე ნომერი. მალე გენომ გაზეთს სახელწოდება შეუცვალა და „ჯიხა" დაარქვა. საოცრად მომეწონა ეს სახელი და ვუთხარი, გაზეთს თქვენი სახელი ჰქვია-მეთქი. ეს როგორო, მკითხა მან. როგორ და ასე, ჯიხა ციხე-სიმაგრეს ნიშნავს ძველი მეგრულით. თქვენც ჩვენი ჯიხა ხართ, ჯიხასავით დგახართ-მეთქი. „შტირლიცი" ხარო, მითხრა მან პასუხად. ელგუჯას გავენდე, გენო „შტირლიცს" მეძახის და რომელი მზვერავი მე ვარ-მეთქი, ელგუჯამ სიცილით მიპასუხა, გენოს ვინც ძალიან უყვარს და ჭკვიანად თვლის, მხოლოდ მათ ეძახის ასე, მზვერავიაქ არაფერ შუაშიაო. გენომ მეორედ თავის დაბადების დღეზე მიწოდა „შტირლიცი" ეს იყო 1993 წლის 8 მარტს. ამ დღეს გენო 57 წლის გახდა. 6 მარტს მე და ელგუჯამ ტელევიზიით შევიტყვეთ ბატონ გენოს გენერლის წოდება რომ მიანიჭეს.

8 მარტს, დილით, აგუძერიდან სოხუმში წამოსულებმა მშვიდობის პროსპექტზე, საპარიკმახეროსთან გენოს დაცვა შევნიშნეთ. ელგუჯამ თქვა, გენო უსათუოდ საპარიკმახეროშია და ლამაზდებაო. საოცარი კაცია, ამ ომში სად მონახა საკუთარი პარიკმახერი, მის გარდა თმას არავის აკრეჭინებსო.

ჩვენი მანქანა გაჩერდა, გადმოვედით და ბატონი გენოც გამოვიდა საპარიკმახეროდან, წამოვიდა ამაყად, ლაღად. მისი შეხედვა რწმენას მატებდა ადამიანს, ბიჭები რიგრიგობით გადაეხვივნენ და ულოცავდნენ დაბადების დღეს. მათ შორის მარტო მე ვიყავი ქალი. ვაცალე ბიჭებს და ყველაზე ბოლოს მე მივედი მისალოცად.

- რას მილოცავთ, - გამაწყვეტინა მან, - გენერლის წოდებას თუ დაბადების დღეს?

- რა თქმა უნდა დაბადების დღეს.

- გენერლობას? რატომ არ მოგწონს ჩემი გენერლობა?

- ბატონო გენო, თქვენ ჩემს თვალში სულ გენერალი ხართ. ჩემთვის აქ ახალი არაფერია, დაბადების დღეს კი გულით გილოცავ! - ვუპასუხე.

- „შტირლიცი" ხარ, - მითხრა მან ისევ ღიმილით. ჩვენს საუბარს ირგვლივ მყოფი ბიჭებიც ისმენდნენ, გულიანად გადაიხარხარეს (დღეს იმათგან ზური ჩიქოვანი, კოტე ლეთოდიანი და ზურაბ ნარმანია აღარ არიან ცოცხლები, ამ ულმობელ ომს შეეწირნენ). სიცილ-ხუმრობით ჩავსხედით მანქანებში, ახლა კი ჩემთან წავიდეთ შინ და იქ მომილოცეთო, - გვთხოვა გენომ. (მხედველობაში ჰქონდა უფროსი ვაჟის, ელგუჯას ოჯახი,

თორემ მისი სახლი ჭურვის მოხვედრისგან დაინგრა და საცხოვრებლად არ ვარგოდა).

სახელდახელო სუფრა გაიშალა. მე და ელგუჯამ პატარა სიურპრიზი მოვუმზადეთ, ჩვენს გენერალს 57 სანთლიანი ტორტი მივართვით, თან ვხუმრობდი, ისტორიული წუთია ჩემთვის, ბედნიერედ ვთვლი თავს და მეამაყება, რომ გენერალს ეს სანთლები მივართვი ჩასაქრობად-მეთქი. გენო აბა რა გენო იყო, თუ მხიარულებას მხიარულებით არ უპასუხებდა, ეს რა ამბავიაო, ასე როგორ აგიბრდღვრიალებიათ ეს ტორტი, რამდენი სანთელია აქ?

- 57 სანთელი.

- 57-57, გამომაჯავრა მან, - მერე ვინ მოგახსენა რომ 57-ისა ვარ?

- ელგუჯამ, - ვუპასუხე მე.

- მოგატყუა შენმა ელგუჯამ. 57-ისა კი არა, 17-ისა ვარ.

ატყდა სიცილ-ხარხარი. მე ვუთხარი, ერთ დათმობაზე წავალ, რადგან გეშინია რომ 57 სანთელს მარტო ვერ ჩააქრობ, ქალბატონ ლერა მოიშველე-მეთქი. ლერას გასძახა. ჟივილ-ხივილით, სიცილ-კისკისით, ერთი სულის შებერვით ჩააქრეს სანთლები ორივემ ერთად. ვაი, რომ ეს იყო ბოლო 57 სანთელი, რომელიც გენომ ჩააქრო იმ დღეს, აბა ვინ

იფიქრებდა, რამოდენიმე თვეში სამუდამოდ რომ წავიდოდა ჩვენგან და მარადისობის, უკვდავების კუთვნილება გახდებოდა.

7 მარტს შტაბშიც გაუმართეს სუფრა, მაგრამ მე და ელგუჯა არ დავსწრებივართ. არ გვეცალა. დაჭრილები გვყავდა მისახედი. სულ დროის უკმარისობას განვიცდიდით. ჰოსპიტლის გახსნის დღიდან შინ არავის გაგვითენებია ღამე, ჩვენს ლოგინში არ გვძინებია, არც მთავარ ექიმს, არც ქირურგებს, არც განყოფილების გამგეებს და არც მე. ჩვენთვის არ არსებობდა არც შაბათ-კვირა და არც სადღესასწაულო დღეები.

ჩვენს ჰოსპიტალში ხშირად მოყავდათ დაჭრილი ტყვედჩავარდნილი ბოევიკები.

ერთხელ მოიყვანეს აფხაზი დაჭრილი „ბოევიკი", ჯგერდელი სანგულია. ჭრილობა საშუალო სიმძიმის იყო, ფეხის ამპუტაცია დასჭირდებოდა. მისი მოყვანისთანავე გენერალი ადამიაც ჰოსპიტალში გაჩნდა, გვთხოვა, დაჭრილისათვის მიგვეხედა როგორც საჭირო იყო, არაფერი არ დაგვეკლო, განგრენის საწინააღმდეგო შრატი მე თვითონ გავუკეთე. ეცადეთ ფეხი შეუნარჩუნოთო, გვთხოვა გენომ, ტყვეს დაცვა დაუყენა (რომ არ მოეკლათ ჩვენს გვარდიელებს. ასეთი შემთხვევა არც თუ ისე იშვიათი იყო, აფხაზი ტყვე-

ების მოკვლა კი სასტიკად იყო აკრძალული, რადგან მათ ქართველ ტყვეებში ვცვლიდით).

თუ ამპუტაცია დასჭირდა, მით უკეთესი, - ვუთხარი მე გენერალს, - უფეხოდ ვერ იბრძოლებს-მეთქი.

-ამ არამზადას შვიდ ქართველში მიცვლიან და თუ უფეხოდ გავგზავნით, ის არაკაცები იფიქრებენ, რომ ფეხი განზრახ მოვკვეთეთ და იმ შვიდი ქართველიდან ერთ-ერთს მკვდარს გამოგვიგზავნიან,- გვითხრა გენომ პასუხად,- იცოდეთ, ამ ტყვეს ერთი ღერი თმაც არ ჩამოუვარდეს.

ტყვედ ჩავარდნილმა დაჭრილმა რამოდენიმე ხანს დაჰყო ჩვენთან, სულ სამიოდე კაცმა თუ იცოდა, რომ ტყვე გვყავდა პალატაში. გამოვესაუბრე დაჭრილს. ახლაც თვალწინ მიდგას მისი შიშჩამდგარი თვალები, უნდობლობის გამომხატველი, გამხდარი, წვერმოშვებული, შავგვრემანი, ჩია მამაკაცი, ალბათ ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე ხელში თოხი ეჭირა და სიმინდს თოხნიდა. ვაი, ბედის უკულმართობავ!

- რუსლან სანგულიას თუ იცნობ? - ვეკითხები.

- ვიცნობ, ნათესავია ჩემი.

- ჩემი მეგობარია, - ვეუბნები მე, - ახლა სად არის?

გულისფანცქალით მოველი პასუხს, გული საშინლად მეტკინება, თუ მეტყვის, ომობსო. მადლობა ღმერთს, მოსკოვში ყოფილა.

- სვეტა ქეცბა და ჟორა ზუხბა სადღა არიან? - ვეკითხები ისევ. გაოცებისაგან გაფართოებული თვალებით მიყურებს, ლამისაა მთელი სოფელი ჩამოვუთვალო (სვეტა ქართულ გამომცემლობაში მუშაობდა კორექტორად, ზუხბა - მისი მეუღლეა).

- ისინიც მოსკოვში არიან, - მეუბნება პასუხად.

- ხომ ხედავ, ყველა კარგი აფხაზი მოსკოვშია, არ ომობს, შენ რატომ კლავ?

პასუხს დუმილი არჩია.

- ჩვენ არ გვინდა ომი, - ვეუბნები, - აბა, რა გვაქვს გასაყოფი ერთი მიწაწყლის შვილებს?!

ისევ დიდხანს დუმს. სანამ ჰოსპიტლიდან არ გაიყვანეს, არ მოვცილებივარ. ვინმე რომ შემოვარდნოდა. მკერდით გადავეფარებოდი, იმ შვიდი ქართველის გადასარჩენად, თორემ ის კი იყო ტყვიის ღირსი.

და კიდევ ერთი აფხაზი ტყვე სექტემბრის ტრაგიკულ და სისხლიან დღეებში, ტყვე რომელიც ისევ გენოს სახელთანაა დაკავშირებული. ეს მოხდა გენერლის დაჭრამდე რამოდენიმე დღით ადრე. მოიყვანეს მძიმედ დაჭ-

რილი აფხაზი ტყვე, რომელიც დაზვერვის ბიჭებმა აიყვანეს. დაჭრილ ტყვეს ფეხდაფეხ მოჰყვა გენერალი ადამია. რენტგენის კაბინეტში შეყვანილ დაჭრილს ადამიამ რამოდენიმე შეკითხვა მისცა:

- გვარი?

- გვარანდზია.

- სად ცხოვრობ?

- სოხუმში, ჯგუბურიას ქუჩაზე, - უპასუხა მისუსტებული ხმით დაჭრილმა.გენერლის ტკივილით სავსე წამიერი დუმილი. შემდეგ ქართულად ჩაილაპარაკა:

- საკუთარ ქალაქში მოსულა მტრად. რატომ შემოიპარე მკვლელად მშობლიურ ქალაქში, საკუთარ ქუჩაზე ახლობლების მოსაკლავად, ან რას გარბოდი შენი ქალაქიდან, მოსულიყავი უიარაღოდ, განა ვინმე ხელს გახლებდა?

დაჭრილი დუმდა, სრულიად ახალგაზრდა იყო 22-25 წლისა თუ იქნებოდა, თვალები ნადირისა ჰქონდა, გამოხედვა ზიზღითა და ღვარძლით სავსე.

და ისევ გენოს ზებუნებრივად ადამიანური საქციელი და შეგონება, დამარცხებულისადმი მიმტევებლური, ლმობიერი მოპყრობა. აჭამეთ, მშიერი იქნება, ესენი არაკაცები არიან, ჩვენ მაინც მოვექცეთ ადამიანურად,

იქნებ რამე შევაგნებინოთ. დამამცირებელი სიტყვები არ უთხრათ, ამას თავისი უბედურებაც ეყოფაო.

მიხედეთ, არ მოკლათ, - დაგვიბარა გენომ.

ჩემთვის უკვე სულ ერთი იყო, მოკვდებოდა თუ მოკლავდნენ მას. იმ დღეს უამრავი ქართველი ვაჟკაცი დაგვეღუპა. ვერ ავუდიოდით დაჭრილების მიღებას, იმ დღეს მოკლეს კასპის გამგებელი ტარიელ შარიფაშვილი, რომელიც მიმღებ განყოფილებაში ესვენა, საკაცეზე ვერ ეტეოდა ეს დევივით ვაჟკაცი, ნაღდი ქართველი და ნამდვილი მამულიშვილი.

***

ლირიკული ჰაუზა:

ამ დაძაბულ დროში მე არ მეგულება ადამიანი, ნერვული სისტემა მოწესრიგებული ჰქონდეს. ამბობენ, თითბოს სტრესული მდგომარეობა - ერთგვარი შინაგანი განმუხტვა-აუცილებელიცაა. ეს, ალბათ, იმ ადამიანებზე ვრცელდება, რომელთა საქმიანობა ნორმალური სამუშაო დღითა და ურთიერთობებით განისაზღვრება. მაგრამ ჩვენ? ვისაც ძილიც კი შფოთიანი გვაქვს, დაძაბული და კოშმარებით სავსე?

საოცრად ძნელია შეინარჩუნო სულის სიწმინდე.

შეუმჩნევლად უხეშდები, ყოველდღიური ცხოვრების ნავლი თანდათან ფარავს შენს გრძნობებს. მაგრამ არა ისე მყარად, შეჭმუნვის ჟამს, როცა შენს წინ მდგომი ადამიანის გადარჩენაა საჭირო. მაშინვე არ მოაშიშვლოს სულის სილრმიდან ამოსროლილმა ქარმა.

ახლაც ასეა.

მართლაც!

ადამიანი კლდისაგან უნდა იყო ჩამოქნილი. დროის ამ უმძიმეს ქარტეხილებს გაუძლო, რაც მის თავზე დატრიალდა. იყო მის ცხოვრებაში გამოუვალი ვითარება? იყო. რამდენიც გნებავთ! არადა, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფს, სხვანაირად არც შეეძლო. ალღოს ენდო. არის ადამიანში რაღაც ისეთი, რომლის დათრგუნვა არ ძალგიძს.

***

ᲘᲐᲠᲚᲘᲢᲔ ᲮᲣᲑᲣᲐ: ყოველი მოკრძალებული, მართალი და სხვა თვისებების მქონე ადამიანის ჩამოყალიბებაში, საზოგადოებასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, ოჯახურ წრესა და გარემოცვას. გენო ადამია, რანაირ გარემოში არ უნდა მოხვედრილიყო, უთუოდ ყურადღებას მი-

იქცევდა. გამორჩეულიც იყო: ეს ხდებოდა სხვებისადმი დიდი მოწიწებით, სიყვარულით, გულითადი დამოკიდებულებით.

ბუნებრივია, როგორც შენ მოექცევი, სხვაც ისე მოგექცევა.

ეს თვისებები გენო ადამიაში გენით მოდიოდა. - მისი აღზრდაც ამგვარადვე წარიმართა.

ბაბუა - ონისიმე ხუბუა - ცნობილი პიროვნება იყო არა მარტო ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში, არამედ იმერეთსა და აფხაზეთში.

ონისიმე ზამთარ-ზაფხულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ჭეშმარიტი ვაჟკაცის შესახედაობისა იყო. მაღალი, მხარბეჭიანი, გამართული ტანის, ლამაზი სახის ნაკვთებისა, გეგონებოდათ ქანდაკებასავით იყო ჩამოსხმული. სიარულისას ტანს არ არხევდა. მუდამ ლურჯა ცხენზე იყო ამხედრებული. ცხენზე უფრო მისი ლაგამ-უნაგირი და აღკაზმულობა ფასობდა.

სოფლის ბერმუხა დინჯი მოსაუბრე იყო. ხმას არასოდეს აუწევდა და იმასაც აკვირდებოდა, ნათქვამი მსმენელებამდე დადიოდა თუ არა.

ონისიმეს მეუღლე - სალომე ყურაშვილი - ხუბუა ქმრის შესაფერისი იყო შეხედულე-

ბით და გონიერებით. მათ მრავალწვერიან ოჯახში დიდ სითბოსა და სიყვარულს იგრძნობდით.

ხუბუები თავისუფალი გლეხები იყვნენ და ნადელს აღარავის აძლევდნენ. გვარში ყველაზე უფრო მდიდარი ონისიმე იყო. იმ დროისათვის მისი ეზო-კარი 12 ქცევაზე მეტი იყო. ხოლო მდინარე მეტერიას ჭალებში იმდენი მიწა ჰქონია, უხვად ჰყავდა წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვი, ფრინველი. მაგრამ ოჯახის უფროსი, როგორც სოფელში იტყოდნენ, მაინც ცხენებს (მუდამ ჰყავდა 5-6 ცხენი) და კამეჩებს (ჰყოლია10-15 სული) აქცევდა ყურადღებას. თურმე იტყოდა - ოჯახის ბურჯი და ცხენი კამეჩიაო.

ონისიმეს სახლი იმ დროისათვის სასახლედ იყო მიჩნეული. რვა ოთახიან წაბლის ოდას სამი მხრიდან ფართო აივანი ჰქონდა და ამ აივანზე ყოველთვის ხალხმრავლობა იყო.

ონისიმე საუკეთესო ცხენოსანი ყოფილა, მაგრამ მხოლოდ დიდ ჯარობასა და ბაზრობებზე უჩვენებდა თავის ოსტატობას.

ყველაზე დიდი ბაზრობა ხონში იმართებოდა. ამ ხალხმრავლობაში ონისიმე გამორჩეული და საპატიო პიროვნება ყოფილა. აქ იმართებოდა გამოჩენილი ცხენოსნების შეჯიბრება. დღემდე იგონებენ, - 150 მეტრ

მანძილზე გაჭენებული ცხენით 30 შაურიანს დაყრიდა და მობრუნებისას 15-20 აკრეფდა, ხოლო მეტოქენი 5-7 ცალს ძლივს უყრიდნენ თავს.

მეფის ხელისუფლების დროს სენაკის მაზრის სოფელ ფოცხოში შედიოდა დღევანდელი სოფელი ფოცხო, უშაფათი, ლეაეძამე და ბეთლემი. ამ დიდი თემის მამასახლისად ონისიმეს 18 წელი უმუშავია და მისი მომდურავი არავინ ყოფილა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ონისიმე ცხენებით ვაჭრობდა. მთავრობისაგან მალულად ბევრი პირუტყვი ჰყოლია და მიუხედავად დიდი სიდუხჭირისა შეძლებულად ცხოვრობდა.

ორი ვაჟიშვილი თევდოტი და კალი, ორი ქალიშვილი მინუცა და ეფრო ჰყავდა. უფროსი ვაჟიშვილი თევდოტი მამას ჰგავდა ყველაფერში და ოჯახის ბურჯი იყო. ხოლო კალიმ დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და მუშაობდა ცხაკაიას პედაგოგიური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგედ, განათლების განყოფილების ინსპექტორად. 1942 წელს კაპიტანი კალი ხაბუა მოხალისედ წავიდა ჯარში და ყირიმის ფრონტზე დაიღუპა.

ქალიშვილებს დაწყებითი განათლება ჰქონდათ. გენოს დედა - მინუცა ძალზე აკურატული ქალი იყო, მომკითხავი და მიმხედვარი, მართალი და პირში მთქმელი, შვილების მიმართ მკაცრი და მომთხოვნი. სწორედ ამან განაპირობა გენოს პიროვნების ჩამოყალიბება. გენომ წარმატებით დაამთავრა ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლა და შემდეგ იყო სოხუმში დედის გამზრდელის იესო ქანდარიას შვილის ალექსანდრე ქანდარიას ოჯახში. ბატონი ალექსანდრე პროფესიით ელექტროინჟინერი, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ორი წელი მუშაობდა ტყვარჩელში თბოელექტროსადგურში ინჟინრად, მერე გადაიყვანეს პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივნად, აქაც ორი წელი იმუშავა და ყველასათვის მოულოდნელად გადაიყვანეს პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად. იმდროინდელი სტრუქტურით პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი აკაკი მგელაძე-პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანიც გახლდათ. და ყველაფერს ა. ქანდარია ხელმძღვანელობდა. 1952 წელს ალექსანდრე ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად გადაიყვანეს. გენოს, როგორც ყმაწვილკაცის ჩამოყალი-

ბებას დიდად შეუწყო ხელი ბიძის ყოველმხრივ მისაბაძ ოჯახში ყოფნამ, ურთიერთობამ.

1989 წლიდან გენო ჩაება ეროვნულ მოძრაობაში, მაშინ იგი სოხუმის ქიმიურ ქარხანაში მუშაობდა გასაღების განყოფილების უფროსად. მისი დევიზი იყო თავისი ქვეყნის სიყვარული. აფასებდა სხვა ერის წარმომადგენლებს. თავიდანვე დაუკავშირდა იმ ქართველებს და აფხაზებს, რომლებსაც ერთაშორის სიყვარული, მეგობრობა ედოთ გულში და ამ მიმართულებით, ყველაფერს აკეთებდნენ ქართველთა და აფხაზთა ძმობა-მეგობრობისათვის.

როდესაც არძინბამ ე. წ. „საკუთარი ჯარი" ჩამოაყალიბა და ქართველებს ომი გამოუცხადა, გენო ადამია შეუდგა სახალხო ლაშქრის სახელდახელოდ შექმნას, მას მთელი ახალგაზრდობა, მოსახლეობა აჰყვა და რომ იტყვიან ქუდზე კაცი გამოვიდაო, ასეც მოხდა, - ათასობით ახალგაზრდა შეკრიბა.

იქმნებოდა ლაშქარი, მაგრამ იარაღი არ გააჩნდათ. ამ მხრივ, შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარნენ მოსკოველი, კიეველი, ლენინგრადელი ქართველი ბიზნესმენები, უგზავნიდნენ ფულს, ჯარისკაცთა ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. ყველას მის გვერდით

უნდოდა ყოფნა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

როდესაც მეთაური თვითონ უჩვენებს თავდადების, უშიშროებისა და თავგანწირულობის მაგალითს, მას უსიტყვოდ ბაძავენ ხელქვეითნი. გენოს ბრძოლებში თავისი ვაჟიშვილები ედგა გვერდით და რომელ პოზიციებზეც არ უნდა გამოჩენილიყვნენ, უშიშრად იბრძოდნენ, მათ გვერდით თავგანწირვით, კლდესავით იდგნენ ქართველი ახალგაზრდები და ყოველი ბრძოლა, შეტაკება „გენო ბიძიას" გამარჯვებით მთავრდებოდა. სინანულით იტყოდა: „თავიდან გაგვიჭირდა ცეცხლის გახსნა. ჩვენთვის ვფიქრობდით, ვის უნდა ვესროლოთ, ჩვენთან ერთად გაზრდილ აფხაზებს? ჩვენი ჭირისა და ლხინის მონაწილეებს, რომელებიც ქართველებისაგან გამოჩეული არ გვყავდა?!"

ასე გვქონდა გათავისებული. არც აფხაზები იყვნენ ჩვენთან პირად დამოკიდებულებაში ურიგოდ. თითქოს ერთმანეთის პატივისცემითა და სიყვარულით ვერ ვძღებოდით. მაგრამ ეს მათგან მხოლოდ მოჩვენებითი ყოფილა, რადგანაც ქართველებისადმი ნახევარსაუკუნოვანი სიძულვილის დათესვით, აფხაზ ნაციონალისტებს, სეპარატისტებს, ისე დაუბნელებიათ გონება, რომ ჩვენ ერთი წამითაც

არ გვინდობდნენ და ჩვენც იძულებული გავხდით, სამაგიერო პასუხი გაგვეცა.

საოცარია ისიც, რომ როცა ტყვედ ჩავიგდებდით ზოგიერთს, ნაცვლად მონანიებისა, ქართველთა წინააღმდეგ ყოველგვარ სიბინძურეს, შხამს ანთხევდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, სინანულს რომ გამოთქვამდნენ, - მაიძულეს, მომკლავენ რომ არ ებრძოლოთ, ჩვენი თავი ჯანდაბას, მაგრამ თუკი ოდნავ თანაგრძნობას გამოვიჩენთ ქართველების მიმართ, ცოლშვილს, ნათესავებს ამოგვიწყვეტენ არძინბას მომხრენი და მათ მიერ დაგეშილი პოლიციელებიო.

ბატალიონი თანდათან გადიდდა და ბრიგადად იქცა, ჩამოყალიბდა ბატალიონები, დივიზიონის, ასეულები, ოცეულები და ა. შ. ქვედანაყოფებს გენოს რეკომენდაციით სათავეში ჩაუდგნენ ისეთი გამობრძმედილი მეომრები, როგორიც იყო საარტილერიო დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ნოდარ ჯიშკარიანი (ჯიშკარიანი წლების მანძილზე მსახურობდა რუსეთის ჯარში და აფრიკის ქვეყნებში, როგორც საარტილერიო საქმის დიდი სპეციალისტი. ფრონტებზე არსებული მდგომარეობისა და მომავლის ამოცანებზე გამართულ თათბირებზე გენო ხშირად იტყოდა, ნოდარი არამარტო თავისი საქმის მოყ-

ვარული და სპეციალისტია, არამედ დიდი პასუხისმგებლობის მეთაურიცაა. რომელსაც შეუძლია არტილერიის ჭურვი, თუ საჭიროა კასრში ჩააგდოსო. ასევე დიდად აფასებდა შტაბის უფროს გურამ ღურბელეიშვილს, ბატალიონის მეთაურის მოადგილეებს: ვალერი კურტანიძეს, იური ომანაძეს, ასეულის მეთაურს მოსე შამათავას და სხვებს. II ბატალიონის მეთაურს თ. ზარანდიას.

დღე ერთი იყო და ბრიგადის მეთაური გენო ადამია, არამარტო რაციით და ტელეფონით უკავშირდებოდა პოზიციებს, არამედ ფრონტის ყველა წინა ხაზს შემოივლიდა. ადგილზე ამოწმებდა საბრძოლო ვითარებას და ადგილზევე ღებულობდა საჭირო ზომებს.

დიდ ყურადღებას აქცევდა მის მიერ შემოწირულობის ხარჯზე დაარსებული ბრიგადის გაზეთს „ჯიხას". ის სახელწოდებაც თვითონ შეარჩია. „მე სენაკში დაბადებული კაცი, ბავშვობაში ჩვენს წინაპართა აშენებულ ჯიხას - გალავანშემოვლებულ ციხე-სიმაგრეში ვთამაშობდი, მაკვირვებდა მისი სიმტკიცე - საძირკველიდან ქონგურამდე. აქ ყველგან ქრისტიანული ტაძარი და ეკლესიებია. ისლამის მიმდევარი ჩრდილოეთ კავკასიელი ტომების რაიმე შენობა, ნაგებობა, მეჩეთი ნახეთ, თუ დგას სადმე"

გაზეთ „ჯიხას" ერთ-ერთ ნომერში გენო წერდა: „ქართულ მიწაზე მცხოვრებ აფსუა-აფხაზებს, რომლებსაც სისხლით და ხორცით ნათესავნი ადიღეიში, ჩერქეზეთში თუ ჩეჩნეთში ჰყავთ, იბრძვიან აფხაზეთის მათთან გასაერთიანებლად. მათ იციან, რომ მათი მიწა არ არის და უნდათ ხელიდან გამოგვტაცონ. მაგრამ ქართველური მოდგმის აფხაზებს - გვარამიებს, სიჭინავებს, კვარაცხელიებს, კობახიებს, გოგუებს, ლასურიებს, ბარგანჭიებს, ჩაკვეტაძეებს, ლადარიებს, ახვლედიანებს, თაყაიშვილებს, ნოზაძეებს, სხვებსა და სხვებს რა ნათესაური კავშირი აქვთ ჩრდილოეთ კავკასიელებთან, მათ სამურზაყანოში, სამეგრელოში ჰყავთ თანამოძმეები, ანდა ხომ ვიცით, რომ გუდაუთიდან, ოჩამჩირიდან ათასი წლის წინ და უფრო ადრე გადმოვიდნენ. სხვადასხვა მიზეზით აფხაზები დასახლდნენ ზუგდიდის, სენაკის, გალის რაიონებში და ქართველები არიან. ისე, როგორც ოდითგანვე იყვნენ. მაგალითად, დიმიტრი ანდრიას ძე ხვარწკიას (ცხოვრობდა და მისი მოგვარენი დღესაც ცხოვრობენ გუდაუთის რაიონის სოფელ ჯიხაკაში) მუშაობდა კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, პარტიის საოლქო კომიტეტში, პარტიის გუდაუთის რაიკომის პირველ მდი-

ვნად, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად, სოხუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავჯდომარედ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში რეფერენტად და სხვა თანამდებობაზე. მკვიდრი ბიძა მამიდან მე-9 საუკუნეში რაღაც მიზეზის გამო დასახლდა ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში; გვარი ხვაწკიას მაგიერ გადაიკეთა ხვარძიძეიად და დღეს შამდონაში 10-დე ოჯახი ხვარძიკია ცხოვრობს. ბიძაშვილებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან. ერთნი იყვნენ აფხაზები, მეორენი ქართველები.

ასე იყო ცნობილი აფხაზი მწერალი პლატონ ჭკადუა – ზუგდიდიდან გადასახლდა სოხუმში. ისწავლა აფხაზური და გააფხაზდა. პლატონის ქალიშვილი მუშაობდა აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში. ცნობილი აფხაზი ფილოლოგია და ქართველთა მოსისხლე მტერი. ასეა დღეს აფხაზეთში, არამარტო მანამდე, არამედ XX საუკუნეში ან ჩასულ-დასახლებული, შემდეგ გააფხაზებული ქართველები, რომლებსაც ძმები, მათი მოდგმა სამეგრელოს რეგიონში ჰყავთ: ასეთებია, მებონიები წალენჯიხიდან, სიჭინავები ჩხოროწყუდან და მრავალი სხვა."

***

ლირიკული პაუზა:

ახლა წარმოიდგინე, - ადამიანი გაჩნდა თუ არა, მაშინვე იარაღისაკენ გაექცა თვალი. ჰო, ე. წ. აკვნის ხანასაც ვგულისხმობ. როცა ხიდან ჩამოძვრა, იმავე ხის ტოტი დაითრია - მიწასაც ამუშავებდა და თავისი მტრის თავებსაც. მიწის მეთარგეობით მან ვერ შესძლო საკუთარი ცივილიზაციის დამკვიდრება. ეს ყოველთვის მხოლოდდამხოლოდ მეომრის მეშვეობით ხდებოდა. რა ღუოდა იმ ბუნდოვან ეპოქებში მეომრის სულში? სად იდო ასეთი აღგზნება ღმერთების გასაგონად მიმართულ გამარჯვების ყივილში? თვითანალიზი: იარაღი - ეს ერთგვარი ფალიური სიმბოლოა, რომელიც, როგორც წესი, ეროტიული ქვეცნობიერების გარეშე, უძლეველობის სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ თავად შენ, შენ როგორ ფიქრობ, იარაღი მართლა იძლევა ვაჟკაცობის გარანტიას? მე მინახავს არაერთი იარაღასხმული ლაწირაკი, რომელსაც თავი სუპერმენად მიაჩნდა. ვითომ მართლა იძლევა იარაღი ამის შეგრძნებას? ალბათ, ეს ასეცაა. ვისაც ერთხელ მაინც სჭერია ხელში იარაღი, მე მგონი, მას უსათუოდ გაუჩნდებოდა ასეთი გრძნობა. თი-

თქოს უნებურად ამოფეთქდება - შორეული, გენეტიკური კოდი. იშმუშნება, მოეონავს უცნაური, გაურკვეველი განცდა რაღაცის მოქმედებისა. თითქოს შენში ერთბაშად უთვალავი ცეცხლოვანი ვარსკვლავიც გაბრწყინდა, და თუ არ განიმუხტე, შეიძლება დაიფერფლო კიდეც.

იარაღი ბადებს ძალაუფლებას!

***

ᲘᲐᲠᲝᲚᲘᲢᲔ ᲮᲣᲑᲣᲐ: ერთი ასეთი შეხვედრა მოეწყო სოფელ კელასურში.

იმ დროისათვის სოფელ კელასურიდან ფრონტზე დაიღუპა 20-მდე ახალგაზრდა და მათ შორის პირველი ბატალიონის მეთაურის მოადგილე იური ომანაძე, იგი მთელს ბრიგადაში დიდი სახელითა და პატივით სარგებლობდა. 15 მარტს ერთ-ერთი პირველი შეებრძოლა აფხაზთა ბანდას, ის რამდენიმე მებრძოლით შეიჭრა აჩადარაში მდებარე შენობაში სადაც 10-ზე მეტი მომხდური იყო. პირველ სართულზე მყოფ ჩვენს ბიჭებს ზედა სართულიდან ესროლეს ხელყუმბარა 2-ჯერ. ორჯერვე სტაცა ხელი ამ ხელყუმბარებს იურიმ და ზევით გაგზავნა ყაჩაღთა წინააღმდეგ და მოსრა ისინი. გადარჩენილი ჩვენი ბიჭები მეორე საბრძოლო ოპერაციის ჩასატარე-

ბლად წავიდნენ 16 მარტს დილით, გამთენიისას და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ.

კელასურში შეხვედრაზე მოვიდა ომში დაღუპული თენგო ძაძამიას მამა, რომელმაც ითხოვა ის ავტომატი, რომლითაც მისი დაღუპული შვილი იბრძოდა: „ახლა მე ვიბრძოლებო"

შეხვედრის შემდეგ კელასურის სასაფლაო მოინახულა. ყველა დაღუპულს თავად დაუნთო სანთელი.

1993 წლის მაისის პირველ რიცხვებში გენოს ინიციატივით პირველი ბატალიონის პირად შემადგენლობასთან ტურისტულ ბაზაში ჩატარდა სამგლოვიარო მიტინგი - პირველ ბატალიონს იური ომანაძის სახელი მიენიჭა. შეკრებას შტაბის მუშაკებსა და აფხაზეთის ხელმძღვანელობის წარმომადგენლობასთან ერთად ესწრებოდნენ სოფელ კელასურიდან მოსახლეობის წარმომადგენლები და იური ომანაძის დედა. მგლოვიარე დედამ მადლობა უთხრა ბრიგადის მეთაურს, დალოცა პირადი შემადგენლობა და გამარჯვება უსურვა მათ.

გენომ იურის დედას დახმარების სახით გადასცა 50 ათასი მანეთი.

27 ივლისიდან ცეცხლი შეწყდა აფხაზეთის ფრონტზე. „დამყარდა" მშვიდობა. 23-ე ბრიგადის ჯარისკაცები დემობილიზაციისა-

თვის ემზადებიან. სოხუმიდან და სხვა ფრონტებიდან გაჰყავთ ტექნიკა. მებრძოლები სიხარულით ცას წვდებიან...

გენოს შესთავაზეს შინაგანი ჯარის სარდლობა, რომლის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო 996 კაცი. მას დაერქმეოდა შინაგანი ჯარის ბატალიონი და დაბანაკდებოდა აგუძერაში. ბატონმა გენომ შინაგანი ჯარის ბატალიონის მეთაურობაზე უარი თქვა და ამ თანამდებობაზე წამოაყენა მისი პირველი მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი სპარტაკ მასხულია.

მოხალისე ლაშქრის მებრძოლებს ენანებათ გენოსთან დაშორება, მოდიან მასთან ცრემლნარევი სიხარულით, ემშვიდობებიან, ეხვევიან, კოცნიან და სიტყვას აძლევენ ვაჟკაცურს - არ დაგივიწყებთ, ყოველთვის მოვალთ თქვენთან, მოგნახავთ. თქვენს გვერდით ვიქნებით ჭირსა და ლხინში.

„გენო ბიძიას" უფრო უმძიმს მათთან დაშორება.

ერთ დღეს, აგვისტოს პირველ რიცხვებში გენომ ვიწრო წრის თათბირი მოიწვია და გვითხრა: გადაწყვეტილი მაქვს შევქმნათ სავაჭრო-სამრეწველო ფირმა სახელწოდებით „ჯიხა"-23. ეს იქნება ჩვენი ფრონტული გაზეთის და ბრიგადის ნომრის არ დავიწყება,

ემბლემა და მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩვენი ჩაბმა. გენოს აზრს ყველამ ერთხმად დავუჭირეთ მხარი. მეორე დღეს მოიწვია ბრიგადის მეთაურთა და ჯარისკაცთა კრება. შეიქმნა ფირმის დამფუძნებელი კომისია. კონცერნის პრეზიდენტად ერთხმად დამტკიცდა გენო ადამია.

მაგრამ...

გენოს არ სჯეროდა აფხაზი სეპარატისტების, ხშირად - ხომ ხედავთ, აფხაზები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მუხლებს არ ასრულებენ, როგორც ირკვევა ტექნიკა არ გაჰყავთ, არ უბრუნდებიან 1993 წლის 14 მაისის ხაზს. შრომა-ახალშენს არ ტოვებენ, პირიქით ამაგრებენ, საგრებს ამზადებენ.

16 სექტემბერს, აფხაზებმა მესამედ დაარღვიეს ხელშეკრულება. მოგვიხდა კბილებამდე შეიარაღებული აფხაზი და მათ მიერ დაქირავებული ბანდების წინააღმდეგ შიშველი ხელებით ბრძოლა. გენო ადამიას წონასწორობა. არ დაუკარგავს, შტაბში თითქმის არ იყო და სულ წინა ხაზებზე ხან ერთ ადგილას, ხან მეორე პოზიციებზე ჯარისკაცებთან ერთად იბრძოდა.

გენომ სოხუმი არ დატოვა.

სოხუმმა თვითონ დაიტოვა. როგორც მა-

მულის, წინაპრებისა და მშობლიური ქალაქის დამცველების, დაღუპულების დარაჯი. და გვიცდის...

***

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲑᲣᲡᲮᲠᲘᲙᲘᲫᲔ: იგი ყოველდღე სიკვდილს უცქერდა თვალებში.

ცხოვრებამ მე ბევრ საინტერესო და ცნობილ პიროვნებას შემახვედრა, მათთან ურთიერთობამ მრავალი ახალი შტრიხი შესძინა ჩემს ცხოვრებას, მაგრამ გენო ადამიასთან შეხვედრა სულ სხვა იყო, ხანმოკლე, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი. პირადად ჩემზე ამ კაცმა საოცრად მამაცი და გაბედულებით სავსე პიროვნების შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა ჩვენს შეხვედრამდე უკვე ვიცოდი ზოგიერთი რამ მის შესახებ.

გენო ადამიას პირადად შევხვდი 1993 წლის 10 ივლისს. სახელმწიფოს მეთაურის დავალებით ჩემი რაზმით ჩავედი სოხუმში. ომი მთელი ერთი წლის დაწყებული იყო. უმძიმესი დღეები იდგა იქ. უჭირდათ ჩვენს ბიჭებს. მიგვამაგრეს ადამიას ბრიგადას, ურთიერთშეთანხმებით, გვერდიგვერდ უნდა გვებრძოლა. ჩასვლისთანავე მეთაურთა თათბირზე შევხვდი გენოს, ყველას ახსოვს, ალბათ, მისი გარეგნობა, ბრგე ჭაღარათმიანი ვაჟკაცი. შეხვედრისთანავე გამოვეცნაურე ცხადია

ერთმანეთის შესახებ ბევრი რამ ვიცოდით, ოღონდ, პირადად არ ვიცნობდით. მითხრა, რომ ქუთაისში იყო ნამუშევარი და განსაკუთრებული სიმპათია ჰქონდა ამ ქალაქისა. ტკბილად მოიგონა. თათბირი ჩავამთავრეთ, მივიღეთ გადაწყვეტილებები და გავინაწილეთ საბრძოლო პოზიციები. მე ჩემი ბიჭებით ლინდავასთან მომიწია განლაგება. არ ვიცოდი, საიდან იქნებოდა შემოტევა; მივიღეთ ბრძანება და დილას უკვე სოხუმის მისადგომებთან შრომაში გადავედით. იქ გაგრის ბატალიონი იდგა და ისინი შევცვალეთ. ყოველი მხრიდან გვიტევდა მტერი, გვიშენდა საარტილერიო და სარაკეტო ცეცხლს, ავტომატების კაკანი ისმოდა, ბიჭები თავგამოდებით იბრძოდნენ. პოზიციები არავის დაუტოვებია. დასანანია, რომ ჩვენი ასეთი გმირული თავგამოდება მარცხით დამთავრდა. ბრძოლის იმ ველზე ერთი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, - მე კოლონის თავში ვიყავი, გადმომცეს, რომ ამ გახურებულ ომში ადამია გვეწვია და თქვენთან შეხვედრას ითხოვსო. იმ წუთებში ბრძოლა მიწყნარდა. თითქოს შესვენების დრო დადგა, სასწრაფოდ დავავლე ჩემს მოადგილეს რომან ნებიერიძეს, რომელიც გამუდმებით მახლდა თან, რომ ჩემს ადგილას დარჩენილიყო, სამეთაურო

პუნქტისაკენ გავემართე გენერალ ადამიასთან შესახვედრად. ის-ის იყო მივედი, უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი, მტერმა საარტილერიო ცეცხლი გახსნა, სანამ რამეს ვიღონებდით ჩემს ახლო-მახლოს 26 კაცი დაიჭრა, თითქოს ღვთის განგებით, ადამიამ სიკვდილს თუ არა, მძიმედ დაჭრას გადამარჩინა.

ძნელი დღეები გვადგა, ერთმანეთთან შესახვედრად ვერ ვიცლიდით, ყოველ წამში იყო მოსალოდნელი მტრის ძლიერი შემოტევა, ბევრი ჯარისკაცი დავკარგეთ, უფრო მეტი - დაიჭრა, 8 დღე და ღამე გვეკავა ის პოზიციები, თითქმის თვალი არ მოგვიხუჭავს, საკუთარი თავისათვის ვის ეცალა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იდგა, ბიჭების თავგამოდებამ ზენიტს მიაღწია, უჭირდათ და მაინც მედგრად იდგნენ. სიკვდილს თვალს უსწორებდნენ. ამ დროს ჩვენი მხარის დამჭერი, დამხმარე, და თუ გნებავთ პატრონიც, აბა, სხვა რა დავარქვა, როცა კაცს არ ავიწყებოდა - პროდუქტით, იარაღით თუ სხვა რამით მომარაგება - ყოველნაირად გვიწყობდა ხელს, გვაკითხავდა. არ გვტოვებდა უყურადღებოდ. ეს მაშინ, როცა მთელი ფრონტის ხაზზე უნდა შეემოწმებინა საომარი მდგომარეობა, ჩვენზე მზრუნველობას ერთი წუთით არ გადადებდა, არ შემიძლია განსაკუთრებულად არ აღვნიშნო მისი გული-

სხმიერება და ადამიანებისადმი თანადგომა, გულითადობა. პირად საუბარში, ეს სამხედრო პირი, საოცარ სითბოს ავლენდა, ახალგაზრდულად ოცნებობდა, შენატროდა იმ დროს, როცა მშვიდობა დაისადგურებდა აფხაზეთსა და სრულიად საქართველოში. მახსოვს, ეს ის დრო იყო, როცა მოლაპარაკება მიდიოდა ქართველთა და აფხაზთა შორის შერიგებაზე. უნდა გენახათ, როგორ იყო გახარებული, ბიჭები ადგილს ვერ პოულობდნენ იმის იმედით, გვეშველებაო. მხოლოდ ომგამოვლილმა ადამიანმა იცის, რას ნიშნავს სანგარში გამუდმებული ჯდომა. ჩვენი ბიჭები ადამიას დანახვაზე იმედით ივსებოდნენ, იმდენად იმედიანი იყო ეს კაცი. სხვებსაც რწმენით ავსებდა, რადგან გენერალიც და ჯარისკაცები ერთდროულად ერთნაირად უყურებდნენ თვალებში სიკვდილს. ჩვენ 156 კაციდან 51 დავრჩით უვნებელი. განწირულივით იქცეოდა გენო ადამია, მან არ იცოდა შიში და უკან დახევა.

ძნელია გაიხსენო სამუდამოდ წასული კაცი, მითუმეტეს, როცა მის გვერდით ხანმოკლე, მაგრამ ხიფათით სავსე დღეები აქვს განვლილი. სოხუმის უმძიმეს დღეებში ჩვენი მასპინძელი გენო ადამია აფხაზეთის ტანჯული მიწის მარადიულ მკვიდრად და-

რჩა, დაგვიტოვა მოგონებებით გამოწვეული მძიმე სევდა.

***

ლირიკული პაუზა:

რა საფასელი უდევს მეხსიერებას?

ალბათ, ეს ის ძალაა, რომელიც გაყუჩების უფლებას არ აძლევს სინდისს.

დღეს ხშირად გვესმის - ეს ყველაფერი არ ჩაივლის უკვალოდ, რომ დადგება ჟამი, როცა მემატიანე პირუთვნელად იტყვის სიმართლეს. ყველაფერს თავის სახელს მოუძებნის და დაარქმევს. რა ადგილს დაიჭერს ეს ომი საქართველოს ისტორიაში? ალბათ, ეს კიდევ ერთი სისხლიანი ლაქა იქნება.

არის ვითომ ამის ნიშანი?

მემატიანე უსათუოდ იტყვის, როგორ ვერ გაითავისა ომი სრულიად საქართველომ და როგორ გადაიარა მისმა ქარიშხალმა მხოლოდ ერთეულთა მხრებზე. როგორ ენაცვლებოდა ერთმანეთს ქართველთა დაცემა და ამაღლება. გმირობა და სილაჩრე, თავგანწირვა და ღალატი. როგორ იფეთქებდნენ თავს მტრის პირისპირ დარჩენილი ჩვენი პირტიტველა ბიჭები.

წამით, მხოლოდ წამით დავხუჭავ თვალს. ეს საკმარისია, რათა წარმოვიდგინოთ ფრო-

ნტის წინა ხაზიდან თავქუდმოგლეჯით გამოქცეული, თავით ფეხებამდე იარაღასხმული ბატალიონები. იღუპებოდნენ ერთნი, ხოლო მათი დიდების ჩრდილქვეშ ხელს ითბობდნენ მეორენი. ძმათა დაღვრილ სისხლზე. დიახ, სრულიად საქართველომ ვერ გაითავისა ეს ომი. ვერ გაითავისა დამარცხება და მისგან გამომდინარე შედეგები.

მაგრამ მე ახლა ისევ მესმის სროლის ხმა.

ვხედავ, როგორ იხლიჩება სოხუმის ცა.

როგორ ლოკავს ცეცხლის ენა ღრუბლის ლაბირინთს.

ეს განცდა კიდევ უფრო გაღრმავდება, როცა „მონოლოგების" ბეჭდვის დაწყებისთანავე, სრულიად უცხო ადამიანები მთავაზობენ თავის სამსახურს.

დაღლილი სახეები.

ტკივილიანი გამოხედვა.

ერთი ნათელი წერტილი ჩვენს ურთიერთობაში:

გენო ადამია!

ამ ადამიანთა უსაზღვროდ თბილ, ზოგჯერ უთავბოლო ნაამბობში ვცდილობ გამოვყო ერთი მთავარი ძარღვი, ურთიერთობათა ის უხილავი სიმი, რითაც სამუდამოდ დაუკავშირდნენ სოხუმს, მის ცეცხლოვან დღეებს. სისხლიან წვიმას, - და დაფლეთილი გულით

აქამდე შემოინახეს მათ ცხოვრებაში გაელ-
ვებული ადამიანის პორტრეტი.

მაინც, რა არის მეხსიერება?

ალბათ, ის, რისი გაყუჩების უფლებას არ
გაძლევს სინდისი.

***

გენო ადამია მეცენატობდა ახალბედა სპო-
რტსმენებს, ერთხელ მასთან დარბაზში ყმა-
წვილი გამოცხადდა.

- რას საქმიანობ? - ჰკითხა გენომ.

- არაფერს.

- გამოდის, უსაქმური ხარ? ვის ხარჯზე
ცხოვრობ?

- მშობლები მყავს.

გენომ გვარი ჰკითხა.

- ვიცნობ მამაშენს. კარგი კაცია. მშრო-
მელი. შენ რამ მოგიყვანა?

- ჩხუბი მინდა ვისწავლო!

გენომ გაიცინა.

- ესე იგი შენ ტკივილი გინდა მიაყენო
შენს ახლობლებს, ასეა?

- მე რომ მაყენებენ?! - გაწიწმატდა ყმაწ-
ვილი.

- ეგ ვერაფერი გამართლებაა, - დაფიქრე-
ბით წარმოსთქვა გენომ. - შენ გინდა იყო ისე-
თი პიროვნება, რომელსაც ყველა პატივს
სცემდეს და მორიდებით ეპყრობოდეს?

- რა თქმა უნდა! - სახე გაუბრწყინდა ყმაწვილს.

- მაშინ სიკეთის ქმნა ისწავლე!

***

ბაკურ გულუა: იგი დაიბადა 1936 წლის 8 მარტს, ქ. სენაკში.

წლების მანძილზე ერთ ქალაქში ვცხოვრობდით, ერთმანეთს კი არ ვიცნობდით; ასაკი განსხვავებული გვქონდა და, ამასთან, სხვადასხვა გზებით ვიარეთ. გაცნობა ომში მოგვიწია. მანამდე ბევრი რამ გაგვეგო ერთმანეთზე და ამიტომ „ფუთი მარილის" ჭამა არ დაგვჭირვებია. საქმეზე პირდაპირ გადავედით. კაცმა რომ თქვას, სად იყო საამისო დრო.

გენოადამიამ თავისუფალი ცხოვრებით იცხოვრა, მე - რეჟიმულით. ამ ბოლო დროს შევიტყვე ასეთი გზაც რომ უცდია, მაგრამ მინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსიდან გაურიცხავთ 1956 წლის 9 მარტის ამბებთან დაკავშირებით. მოგვიანებით უმაღლესი საინჟინრო განათლება მაინც მიულია. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაშიც უმუშავნია საამქროს უფროსად. ქარხნის ერთ-ერთ საინჟინრო სამსახურსაც უძღვებოდა თურმე, შემდეგ ხელმძღვანელ თანამდებობაზეც ყოფილა.

მისი ცხოვრების შემდგომი წლები და სა-

ყვარელი ადამიანების სახელები მის ტანზე აღმოჩნდა ამოკვეთილი, რამაც სხვათაშორის, გააადვილა მისი ნაწამები ნეშტის ამოცნობა.

ნუთუ ამაზეც წინასწარ იფიქრა.

აფხაზეთში განგაშის ზარებს რომ შემოკრეს, გენო ეროვნულ მოძრაობაში მისულა, ყურადღებით მოუსმენია მათთვის და ჩვეული პრინციპული სიტყვაც უთქვამს ყველას გასაგონად - სასტიკი წინააღმდეგი რომ იყო მშვიდობიანი მოსახლეობის შეიარაღებისა, მოსალოდნელ უბედურებაზეც გაუფრთხილებია „შინაური" და „გარეული"

კარგად მივხვდიო „აგიტატორების" უკან ვინც და რაც იდგაო. ბოლოს მაინც გახადეს იძულებული იარაღი აეღო ხელში...

ამბობენ აფხაზ „მეამბოხეთა" შორისაც ბლომად ჰყავდაო ყოფილი მოწაფეები. (მათ სიკვდილის შემდეგ უფრო დაუმტკიცეს ერთგულება) - ფეხბურთელები, მოჭიდავეები, მოკრივეები, საერთოდ – ძლიერი ბიჭები. ყველამ იცის გენოს ქომაგობა სპორტსმენებისადმი. განურჩევლად ეროვნებისა, ოჯახური პირობებისა, როგორ თან ჰყვებოდა, ამაგრებდა მორალურად და მატერიალურად. რამდენს აკეთებდა ნამდვილ კაცებად მათ ჩამოსაყალიბებლად. თავისი ვაჟებიც მათს შო-

რის ჰყავდა. ჩემპიონებად, მამულიშვილებად და ნამდვილ მეომრებად რომ გამოუზრდია...

... თავის დროზე მისი მეცადინეობით „მხარეებს" ერთმანეთში გაუცვლიათ „აგიტატორების" ტექსტები, კარგად მახსოვს ირონიული ღიმილით რომ მითხრა - ვერ მუშაობდნენო სუფთად. ქართული და რუსულ-აფხაზური სააგიტაციო ტექსტები ზოგჯერ სიტყვასიტყვით ემთხვეოდა ერთმანეთს და მეტად აგრესიულ გრძნობებს აღძრავდაო ქართველობასა და აფხაზებში.

თან საოცარი სინანულით დაუმატა: „საერთო დამკვეთი" ჩვენთან შედარებით, გაცილებით ჭკვიანი და ვერაგი აღმოჩნდაო. მიუხედავად ამდენი გარჯისა, როგორ ტექნიკურად დაგვაჯახაო ერთმანეთს...

პირველად ქართულ-აფხაზური თეატრისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გათიშვა ჩვენთვის გაუგონარი, რასობრივ-ეთნიკური ნიშნით ქართველობის ერთმა ნაწილმა აგრესიულად რომ მოითხოვა, ჯერ არასერიოზულად მივიღე, მაგრამ მათი გადარწმუნება ვერანაირი გზით რომ ვერ შევძელი, დიდხანს ვიმტვრიე თავი ამ უცნაური კვანძის ამოსახსნელადო. შემდგომმა მოვლენებმა ამ ტრაგიკომედიის ავტორებიცა და ჩანაფიქრის სიმუხთლეც კარგად და-

მანახაო. ყველა „პატრიოტის" გვარი დამახსოვრებული აქვს, დღეს ისინი ძალზე კარგად გრძნობენ თავს, „ხაზეინისაგან" ამაგი დაუფასდათო, ხვალ კი შეიძლება ზოგიერთი მათგანი დიდ თანამდებობაზეც „დაგვისვანო" „დამკვეთები" ერთგულ ხალხს ბოლომდე პატრონობენ, მათი შეუვალი წესი ასეთიაო.

გენო ადამია უკანასკნელად 21 სექტემბერს ვნახე სოხუმში, სინოპის მთაზე. გაცოფებულმა იარაღით ხელში გაიწია ერთერთ ქართველ გენერალზე (რუსის ჯარის ყოფილ ოფიცერზე). ძლივს შეაკავა გია ყარყარაშვილმა. ამბობენ, ეს გენერალი დიდი გულმოდგინებითა და სიბეჯითით ასრულებდაო ქართული ჯარის განიარაღებისა და სოხუმის გარშემო თავდაცვითი ზღუდეების მოშლის დავალებას (კიდევ მაინც უტრიალდებათ ენა და უარტილერიო, უსანგრო, უზღუდო მეომრებს აბრალებენ სოხუმისა და აფხაზეთის დაცემას). ქართველებს ხომ ვერავინ სჯობს „უცხოთა" დავალების შესრულებაში. იმედია, ყველას დაუფასდება „ამაგი"

იმავე დღეს, იქვე, უკანასკნელად გადავეხვიე ჟიული შარტავას. ფოტოგრაფირება შემოგვთავაზეს, უცბად იუარა, მერე დაყაბულდა - ყამირის შემდეგ ერთად არ გა-

დაგვიღიაო მე და ბაკურს სურათი... იქნებ, ფოტო და ფოტოგრაფი მაინც გადარჩა... გვერდზე ლევან თედიაშვილი და მისი ვაჟი იდგნენ. მათაც ერთად ყოფნის ბოლო დღე ჰქონდათ თურმე.

...„ დამკვეთებს" სულაც არ აძლევდათ ხელს შეირაღებული, ძნელად სამართავი და ამბოხებული გენო ადამია. ბოლოს, როცა გასული წლის ივლისის მოლაპარაკებისა და ქართველთა განიარაღების წინააღმდეგ წავიდა, თითქოს შემომჩივლა: ახლა, ალბათ, რაღაცას გამომიგონებენ, მაგრამ ვერაფერს გახდებიან, რადგან მათ არ იციან ჩემი არგუმენტების ძალაო. ისე, ყველაზე კარგი გამოსავალი ახლა ჩემი „გასაღება" იქნებოდაო. განიარაღებული ბიჭები მტრის პირისპირ როგორ დავტოვო, ორიენტაციას დაკარგავენ, თორემ კარგად ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეო. გენო და ჟიული ისე მოიქცნენ, როგორც ჭეშმარიტ ქართველ კაცებს ეკადრებოდათ. თუმცა, საუბედუროდ, გამართლდა გენოს შიში - საქართველოს რუკაზე დღეს თქვენ ვერ იპოვით სოხუმის 23-ე ბრიგადის დისლოკაციის ადგილს. სამშობლოს ერთგულებით, უღალატობით, ვაჟკაცობით, მეომრული შემართებით, თავიანთი მეთაურისადმი სიყვარულითა და პატივისცემით მტკიცედ შეკრულმა ქართული ჯა-

რის ნაწილმა მეთაურთან ერთად მართლაც დაკარგა კომპასი და ქვიშაზე გარიყულ გემს დაემსგავსა. (მგონი, ახლა სახელიც კი შეუცვალეს). ვინც არ უწყის 23-ე ბრიგადის შექმნისა და საბრძოლო ჩამოყალიბების ისტორია, ის ვერ ახსნის 14 თვის განმავლობაში სოხუმის დაუცემლობის საიდუმლოებასაც; თუ როგორ მოხერხდა ამდენ ხანს მსოფლიოში ყველაზე სასტიკი და მუხანათი „მტერ-მოყვარის" შემოტევის მოგერიება.

თბილისიდან, საქართველოს ყველა კუთხიდან იქ ჩასული ბიჭების დიდი უმრავლესობა კარგად ხედავდა ყოველივეს და თავგანწირვით იბრძოდა მათ გვერდით. იხოცებოდნენ და მაინც არ ტოვებდნენ საბრძოლო პოზიციებს. გენო ადამიას ამაზეც ჰქონდა თავისი შეხედულება. - დიდად დავალებულად თვლიდა თავს ყველა არასოხუმელის წინაშე. გამორჩეული ყურადღებითა და სიფრთხილით ეკიდებოდა იქ ჩასული ყველა მეომრის, ჟურნალისტის, მწერლის, მსახიობის სიცოცხლეს.

რომან გვენცაძე იხსენებს (იმ დროს უკვე რიგით მებრძოლად ჩასული): 6 აპრილის თავზე დამადგა, წინა ხაზზე გავიდეთო. უცბად გზიდან აუხვია და ერთ-ერთი მებრძოლის ოჯახში წამიყვანა, მშვენიერ ქართულ სუ-

ფრაზე (ომში, ჭურვების გრუხუნში) დაბადების დღე მომილოცა, ასეთ დროს ოჯახიდან მოწყვეტით იქ ყოფნის გამო მომიბოდიშა კიდეცო... და ასეთი რამდენი რამ „უცნაურობები" ახსოვთ ბიჭებს და არც დაუვიწყებენ არასოდეს... ზაფხულის ერთ მთვარიან ღამეს (მერედა, რა სანახავი იქნებოდა მთვარიანი სოხუმი) თბილისელ თანამებრძოლებთან ერთად ოპერაციაზე მიმავალი გენო ადამია უცებ გაჩერებულა. მე აქ, ამ ადგილას უნდა დავიმარხოო, უთქვამს დაბეჯითებით და ერთ-ერთი ლამაზი ბორცვისაკენ თითი გაუშვერია. თან თითქოს თავისთვის ჩაულაპარაკნია - სულერთია, სოხუმიდან ცოცხალი მე მაინც ვერ გავალო...

ბიჭებს რატომღაც დაუმახსოვრებიათ ეს ბორცვი. რატომ? ვინ იცის, რატომ. ომსა და მეომრებს თავიანთი წესები და კანონები აქვთ, სხვისთვის გაუგებარი.

სოხუმი მაშინ საქართველო იყო ყველა მეომრისათვის და ისინი უპირველესად თავიანთ ვალს იხდიდნენ ქვეყნის წინაშე, მაგრამ გენო ადამია, ამასაც თავის პირად ვალად თვლიდა. განსაკუთრებით დაჭრილები, ხეიბრები და დალუპულები აწუხებდა. სპეციალური დახმარების ფონდი შექმნა ბრიგადაში. მისი უამრავი მეგობრის მიერ გამოგზავნილ

თანხებს დაუყოვნებლივ უნაწილებდა მათ ოჯახებს. ერთხელ უკითხავთ, თქვენი სახელით ხომ არ გადავცეთო დახმარება. - არა, საქართველოს სახელით გადაეცითო, ობლების წინაშე მთელი ქვეყანაა ვალში, ობლებს არ შეიძლება რომელიმე ჩვენთაგანის პირადი ვალი ემართოთო!

ესეც დიდი გაკვეთილია ჩვენთვის, ცოცხლად დარჩენილთათვის!

გენო ადამიამ თავის ორ შვილთან ერთად იომა პირველივე დღიდან. სოხუმის დაცემისას მამა და შვილი მძიმედ იყვნენ დაჭრილი, შვილი ჰოსპიტალში გაისტუმრა, თანამებრძოლებიც სამშვიდობოს გაიყვანა, მაგრამ ორი მათგანი ვერაფრით მოიშორა გვერდიდან; და უკან, ცეცხლმოდებულ სოხუმში შებრუნდა... და ასე უხმაუროდ, მთელი შეგნებით, როგორც რიგითმა მებრძოლმა, თავის ერთგულ ბიჭებთან ერთად კაცურად გადააბიჯა სიცოცხლის ზღურბლს უკვდავებისაკენ...

მტერიც გაოცებული ჰყვება მისი ბოლო ბრძოლის ამბავს. ტყვიებით დაცხრილული გენო ადამია რევოლვერით ხელში უკანასკნელ გასროლამდე განაგრძობდაო წინააღმდეგობას...

დიდად დავალებული დაგვტოვა ყველა, ვინც თავის მართლებისა და არგუმენტების ძიების გზას დავადექით, ვინც სხვა-

დასხვა გარემოებას დავაბრალეთ დატრიალებული სირცხვილიანი ტრაგედია, ვინც დღემდე მოუნანიებლად ვაგრძელებთ სიარულს. რა პირით წარვდგებით გმირების წინაშე, რა ჩავძახოთ მათ საფლავებს, რითი გავამართლოთ ცოდვილიანი სიარული დედამიწაზე.

ეს ღვთიური სასჯელია ჩვენს თავს დატეხილი! სასჯელს კი მოხდა ამშვენებს.

მაშინ კი ამაყნი და ვალმოხდილნი შეეგებებით ერთმანეთს!

ომის შემდეგ გენოს მეუღლესა და შვილებს თბილისში უცხოვრიათ, ნაქირავებ ბინაში. უფროსი ვაჟი თავის მეგობრებთან ერთად ხუთი თვე იყო გადაკარგული მამის ნეშტის დასახსნელად, ბოლოს უცნაურად ლამაზი სასახლით დაუბრუნა მამის ნეშტი ოჯახს.

თბილისელმა დიდმა კაცებმა სასახლე მხრებზე შეიდგეს და ნაანდერძევის ასრულებას შეპირდნენ. მწამს, რომ ასეც იქნება - გენო ადამია იმ ლამაზი ბორცვიდან კვლავ გადმოხედავს მთვარიან სოხუმს! იქნებ, ეს მალე იყოს. საოცრად ნელა მიდის დრო, სულისგამაწვრილებლად ნელა...

...გმირი კაცის ნეშტი სათანადო პატივი-

თა და ქრისტიანული ადათ-წესით მიაბარეს თბილისის მიწას. მისი ხსოვნის წინაშე ქედი მოიდრიკეს ჭირისუფლებმა, თანამებრძოლებმა, ოფიციალურმა პირებმა, განუზომელი იყო თბილისელთა წუხილი და გარჯა გენო ადამიას სახელისა და ხსოვნის უკვდავსაყოფად. დედაქალაქმა მისთვის დამახასიათებელი გულითადობით კიდევ ერთხელ აამაღლა კიდევ ერთი ერთგული შვილი. სიკვდილმა კვლავ ერთმანეთის გვერდი-გვერდ დაგვაყენა ყველანი - ვალმოხდილნი და ცოდვილნი.

ეტყობა, ასე სჯობს ქვეყნისათვის, თორემ არ შეიძლება გენო ადამია სიკვდილითაც იმავე საქმეს, იმავ მიწას არ ემსახურებოდეს, რასაც სიცოცხლე შესწირა.

***

<u>ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲑᲝᲚᲝᲗᲥᲛᲐ</u>

ახლა დროის გადასახედიდან ჩვენ ყველამ ნათლად შევიცანით მისი პიროვნება.

არ გვცნობია იგი!

ეს იყო ფრიად უცნაური ადამიანი, თავისი ცხოვრებისეული წესით, აქამდე დაფარული შინაგანი სამყაროთი. მე ადრეც ვთქვი, -

მას არ უნდა აეღო იარაღი.

აიღო!

იგი იდეალისტი გახლდათ. ეს თვისებაც უცებ გამჟღავნდა მასში: იდეის გამო იბრძოდა, საქართველოს მთლიანობისათვის. მაგრამ სამყარო, რომლის გამოც იბრძოდა, ერთბაშად დაინგრა. თავად კი საკუთარ გულს შეასკდა. ასე შეასკდება ხოლმე ორიენტაციადაკარგული ფრინველი ხომალდის ანძას, ეს გაშლილ ზღვაში ხდება, ჩამოწოლილ ნისლში. გენო ვერ იტანდა ღალატს. ვერ იტანდა სიცრუეს. იგი სიცრუის ბადეში აღმოჩნდა. ამიტომ გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი. ვითომ მარტო საკუთარ თავს? ასე ჩასაძირად განწირული ხომალდის კაპიტნები იქცევიან მხოლოდ. უხომალდოდ დარჩენას მარადისობაში ქედუხრელად დარჩენა რომ ურჩევნიათ.

მისი სული ისევ ბოგინობს ჩვენს შორის.

ისევ გვიხმობს...

რადგან იქ, სოხუმის ლამაზ ბორცვთან მისი გაუთხრელი საფლავი ისევ სტკივა მიწას...

რედაქტორი კოტე კუპრეიშვილი
რედაქციის გამგე მამუკა თევზაძე
მხატვრული რედაქტორი
მაია ხურცილავა
ტექ. რედაქტორი ვანო ჯელიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
პაატა ვარდანაშვილი

Георгии Санадирадзе

Монологи о генерале павшем на поле боя

ფასი სახელშეკრულებო
ტირაჟი 500